ქართული ანდაზები

შეადგინა ა. კანდელაკმა

საბჭოთა მწერალი
ქ. თბილისი 59

ა

✦ ააფრინე ალალიო, რაც არ არის — არ არიო,
✦ ასვენა და აღარ დაასვენა.
✦ აბაზის საქმეზე მანეთის მაყარიჩი.
✦ ა, ბატონო, ბაწარიო, დავით მეფეს გასწავლიო,
✦ აბდალი თავის პატრონის ფეხებს მეტი შრომა აქვს.
✦ აბრა სხვაა, საქმე სხვაა.
✦ აგორებული ქვა ხავს არ მოიკიდებს.
✦ აგრე არ უნდა, თაყაო, შენ რომ მამული გაყაო.
✦ აგრე როდი წირავს ჩვენი მღვდელი.
✦ აგურის ნატეხი ლალს შეადარეს, აქაო და წითელიაო.
✦ აგურს რეცხდნენ და უარესი და უარესი წვენი გასდიოდაო,
✦ ა, დათვი და ა, კვალი.
✦ ადათია და წესია — ფეტვი ადგილზე თესია.
✦ ადათის ამოწყვეტას გვარის ამოწყვეტა სჯობია.
✦ ადამიანი ადამიანის მალამოა.
✦ ადამიანს ზოგჯერ მუადის სახელიც დაავიწყდება.
✦ ადამიანის დაბადება პირველი დღეა, ქორწილება — მეორე და სიკვდილი მესამე.
✦ ადამიანი სიცოცხლეს იწყებს წივილ-კივილით და ამთავრებს კვნესით.
✦ ადამიანის პანღური ვირის წიხლზე უარესია.
✦ ადამიანის პირის კანი ხახვის გარსზე უფრო თხელია, მაგრამ თუ ერთი გაიხა, კამეჩის ტყავზე უფრო გასქელდება.
✦ ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერს.
✦ ადე, დაბრუნდი, წისქვილო, დასჯერდი შენს ქონებასო.
✦ ადე, ნახე ჭირიო, დაჯე, ნახე ლხინიო.
✦ ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარი.
✦ ადრე ამდგომი შორს წავა.
✦ ადრე ადგომა მეტი სიცოცხლეა.
✦ ადრე ამდგარსა ყმაწვილსა დედა უმზადებს სადილსა.
✦ ადრე ამდგარი ჩიტი ნისკარტს იწმენდს, გვიან ამდგარი თვალებს იფშვნეტს.
✦ ადრე რომ ძროხა დაიბღავლებს, გვიან გამოიწველის.

✦ ადრე ამდგომს უხაროდეს, გვიან — მოსადილესაო.
✦ ადრე მოფრენილ მერცხალსა სუსხი სცემს და ყინვა აზროხს.
✦ ავადმყოფობა ბევრია, ჯანმრთელობა — ერთი.
✦ ავადმყოფი რომ მორჩება, ექიმი შესძულდებაო.
✦ ავად სახელის დავარდნას თვალის დავარდნა ამჯობინესო.
✦ ავადმყოფმა ქიშმიშს ცხრაჯერ უნდა უკბიჩოსო.
✦ ავადმყოფობა კაცის სხეულში ურმობით შედის და მისხლობით ძლივს გამოდის.
✦ ავაფურთხე — ულვაშს მოხვდა, დავაფურთხე — წვერებსაო.
✦ ავადმყოფს კითხავენ, საქმელი გინდა თუ არაო.
✦ ავ დარში ცოლი შეირთე, კარგ დარში გამოგადგება.
✦ ავი კაცი აქე და ერიდე.
✦ ავი მეზობლის მოშორება თუ გინდა, რამე ასესხე.
✦ ავი კაცი აღდგომა დღესაც ავიაო.
✦ ავი მაყარი ძილსაც მოცდა, ლხინსაცაო.
✦ ავი მეზობლისაგან ცეცხლიც ნუ გინდა.
✦ ავ მეზობელს ცეცხლიც საციქველი ეგონაო.
✦ არამუშა — კვირადღესო.
✦ ავი პაპა იყავიო — ავი ჭამაც გიყავიო.
✦ ავისა კარგი ნუ გინდა, ნურც მისი მოსაგებელი.
✦ ავია თუ კარგია, ქალო, შენი ქმარია.
✦ ავი შემნახველი ქურდზე უარესია.
✦ ავი შვილი დედ-მამის მაგინებელია.
✦ ავი შვილი მამას გზაზე უზამს ტაბლასო.
✦ ავი ცოლის ყოლას ავი ძაღლის ყოლა სჯობიაო.
✦ ავი ძაღლი არც თვითონ სჭამდა, არც სხვას აქმევდაო.
✦ ავმა მოციქულმა პირისპირ შეჰყარაო.
✦ ავმა სახლმა, ავმა კარმა ავად გამადედაკაცა, კარგმა სახლმა, კარგმა კარმა კარგად გამადედაკაცა.
✦ ავმა მოვალემ რაც მოგცეს, გამოართვი.
✦ ავ მოვალეს ნაცარი ვამოართვი და თვალებში შეაყარე.
✦ ავს არ მაკადრიანო, კარგს არ მაღირსიანო.
✦ ავი იქნება — თავისთვის იქნება, კარგი იქნება — თავის იქნება.
✦ ავი დასაჭერი ცხენი ავ დასაჭერს მოძებნის.
✦ ავი ძაღლი იყეფებს, იყეფებს, დაიღლება და დადგება.
✦ ავი კაცი თავისი თავის მკელელია.
✦ ავიც შეუძლია, კარგიც.
✦ ავმა რა ჰქნა ავის მეტი!.
✦ ავ მთქმელსაც კარგი გამგონე უნდა.
✦ ავს მოვალეს შავი ნახშირი აართვი.
✦ ავი კაცი ქრთამით მოიშორე.

✦ ავ კაცს შორიდან შემოუარე და გზა დაულოცე.
✦ ავი გასახედნი მოზვერი კარგი ხარი დადგებაო.
✦ ავს ნუ იზამ და ავისა ნუ გეშინია.
✦ ავქალაში ქორწილია, მცხეთაში დოლს უკრავენო.
✦ აზნაური მკადს არა სკამს, თუ მოშიედა, ჭირსაც მომკამს.
✦ აზნაურის მოკითხული სუფრაზე არ დაიდება.
✦ აზნაურისა ქებასა მე მოგიყვები ყველასა: ცოლი შიმშილმა მოუკლა, გადააბრალა სნებასა.
✦ აზნაურის ბზე არის კარგი, გლეხკაცის — პერიო.
✦ არზრუმში არ ვყოფილვარ, მაგრამ აზრით კი ვიცი.
✦ ათასი მტერი სჯობია ერთ უგვანო მოყვარესა.
✦ ათასი გიჟი გარბოდა, ყველას თავისი ერჩიაო.
✦ ათას უგულო მეომარს გულადი ორი სჯობია.
✦ ათ დავრიშს შეუძლია ერთ წამოსასხამზე დაძინება, ხოლო ორ მეფეს ვერ შეუძლია ცხოვრება ერთ სამეფოში.
✦ ათმა კაცმა მე მიჩივლა, ერთმა შენაო.
✦ აკიდებულსა ვირსაო ყველანი წაკკვრენ წიხლსაო.
✦ აკრძალული ხილი გემრიელია.
✦ აკურაში ერთი მღვდელი — ოცდახუთი დიაკვანი.
✦ ალაგო, ვისი ხარო და ვინც ზედ მადგიაო.
✦ ალალბედზე ცხოვრება არცხოვრებისთანა არის.
✦ ალალმა დამიბერაო და რაც ვიცოდი, სულ ძირს ჩამომაყრეეინაო.
✦ ალვის ხე მაღალია, მაგრამ შიგ არაფერი ყრია.
✦ ალიას დარდი ფლავიაო.
✦ ამყოლს აპყევი, დამყოლს დაჰყევი.
✦ ამ ჩემმა ღორმა მუცელმა ცეცხლზე დამისხა წყალიო.
✦ ამღერეულ წყალში თევზი ადვილად დაიჭირება.
✦ ამხანაგის ყოლა ბატონის ყოლას უდრის.
✦ ამხანაგი ნუ გძულსო, ნაშოვარი ნუ გშურსო.
✦ ამხილე ბრძენი, რათა შეგიყვაროს, ნუ ამცნობ უგუნურსა, რამეთუ შეგიძულოს.
✦ ანაბარის შენახვა მიწამაც იცის.
✦ ანაბარს მგელიც შეინახავსო.
✦ ან არ ვარგა ნავში ჯდომა, ანდა მენავესთან ბრძოლა.
✦ ანაღვლე ბრმას სანთლის გაძვირებაო.
✦ ანაღვლე ბეღელსაო, რომ ბზე ქარს მიაქვს და პური მეეალესაო.
✦ ანგარიში სწორე იყოს და ეს სოკო ხომ ბევრიაო.
✦ ანგელოზები რომ შენსკენ იყვნენ, ეშმაკი რას დაგაკლებსო!
✦ ანდერძი კაცს არ მოკლავსო.
✦ ანეული არეული, ფეტვი ზეზე მოხნულია.
✦ ან ვირი უნდა გაეხდე, ან ვირის პატრონი.
✦ ან ზღვაზე უნდა იდგე კაცი, ან მთაზეო.

✦ ანს დახედე, ბანს დახედე, სიგრძესა და განს გახედე.
✦ ან ღვინო უნდა იყო, ან წყალი.
✦ ანჩხლი ცოლი ქმარს ჭკუაზე შეშლის.
✦ ანწლი არ მოგვცემს ყურძენსო.
✦ არ გამიგონია ბერი ცხენის ჭრელი ლაგამ-უნაგირი.
✦ არას მომცემ და ყბასაც მომტეხ?!
✦ არა გიშავს რა, თუ არა გიჩანს რა.
✦ არა გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო.
✦ არა გშია, ზაქარია, თორემ მჭადიც შაქარია.
✦ არავინ არ იცის, ხვალინდელ დღეს რა მოაქვს.
✦ არამკითხე მოამბეო მიტყეპე და მიაგდეო.
✦ არავინ იცის ხვალ და ზეგ რა მოვა და რა იქნების.
✦ არამკითხე მოამბეო თაროს ჩამოუარეო.
✦ არა მწამს ქინძი ქონდრადა და მწვანე კიტრი გოგრადა.
✦ არა მჯერა, რომ ჭრიჭინამ კვერცხი დადოს არწივისა.
✦ არასოდეს არ გახმება წყალთა შინა ხეთა ძირი.
✦ არასოდეს არ ცხონდება უშეილო და პურაძვირი.
✦ არაქელას ფარჩას არუთინა ხევდაო.
✦ არ აშენდა ხუროს სახლი, არცა მონადირისაო, სამი დღით ადრე დაივსო მეთევზე-მებადურისაო.
✦ არ გათეთრდების ყორანი, რაგინდ რომ ხეხო ქვიშითა.
✦ არ ეშინია ბაადურს ბაკაკაურის ხმლისაო.
✦ არ ვარგა კაცი უმტერო, არც ეგრე მტერმორეული.
✦ არ ვარგა ქალი მეპორე, სოფლად ვაქკაცი მკვეხარი: გაუჭირდება, შედგება როგორც უღელში მჭლე ხარი.
✦ არმინდამ ცხრა ხინკალი შეჭამაო.
✦ არ მინდა, ჯიბეში ჩამიდეო.
✦ არ გაიხარა გაუხარელმა.
✦ არ გაგვიდა, თარხანო, ნიადაგ შენი ტყუილი.
✦ არ გამოდგეს ყვავი ყორნად, არც უგვარო გვარის სწორად.
✦ არა სცმია მამაშენსო, ნურც შენ დახევ მარმაშებსო.
✦ არა გყავდეს მეგობარი — ეძებე, როცა იპოვნო — ერიდე.
✦ არა მწამს რა დიაცისა, არცა მოწმენდილი ცისა.
✦ არ უნდა ჭირში გადრეკა თუ კაცი გონიერია, წავა და ყველგან დარჩება, სოფელი ღონიერია.
✦ არ ვიცი ერთია და ვიცი — ათასი.
✦ არვინ გეკითხება, ბარი ათ შაურადაო და თოხი ორ აბაზადაო.
✦ არ მინდა შენი შრეშიო, ოღონდ ნუ შემომხვნეშიო.
✦ არ მინდოდა ჯერ შობა, მერმე სიკვდილი.
✦ არზრუმს ვირი კიტრად ღირდა, ჯორი საგზლად უნდოდაო.
✦ არმად ნაშოვნი, არმად წავა.
✦ არნადი და ფიწალიო, მე ვეღარას ვისწავლიო.

✦ არ უწერია ტურასა ერწო-თიანეთს ღმუილი.
✦ არ უგვარობს მწერსაო, არ შეჯდება ხესაო.
✦ არცა ვიყავ რძალი კარგი, არცა შემხვდა ქმარი კარგი.
✦ არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლია: ძველი პური, ძველი ღვინო წლითწლობამდე გამყოლია.
✦ არცა ვქნა და არც ვთქვაო?
✦ არცოდნა არცოდვააო.
✦ არც შენი სიწმინდე მინდა და არც შენი სიმწარე.
✦ არც შენ შეგრჩება ერთი დრო, დაიცა, გიწევს სიბერე.
✦ არც ისე წვიმს, როგორც ქუხს.
✦ არც მწვადი დაწვა და არც შამფური.
✦ არც აციეა, არც აცხელა.
✦ არც მგელი მშიერი. არც ბატკანს ზიანი.
✦ არც დაარტყამს, არც დაირტყამს.
✦ არც გავიქცეეი, არც წავიქცეეი.
✦ არც დედაა და არც დედინაცვალიო.
✦ არც ერთ ბაღლინჯოს თავისი სუნი არ აწუხებს.
✦ არც მიწა გასკდება, არც ცა ჩამოვარდება.
✦ არცა ხნავდნენ, არც აცხობდნენ.
✦ არც მარტმა დამაყარა კარგი დღე და არც აპრილმაო.
✦ არცა მყოლია ბატონი. არც დამზნექია წელიო.
✦ არწივმა ორი ბარტყი იცის.
✦ არც თავისთვის უქნია ღმერთს და არც სხვისთვისაო.
✦ ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.
✦ ასე არ იქნება და როგორღაც იქნება.
✦ ასი ერთად ღირს, ზოგჯერ კი — ერთი ასად.
✦ ასეთი ხიდი გასდე, რომ შენმა შვილიშვილმაც ზედ გაიაროსო.
✦ ასი კაცი ცხენს კაზმავდა, ვაი უკაცობასაო.
✦ ასი წლის დედალს ერთი წლის მამალი სჯობნიდაო.
✦ ასი კონა ჩალა კაცს ქვეშსაგებადაც კი სჭირდებაო.
✦ ასი ურტყი დავითასა, მაინც იტყვის თავისასა.
✦ ასი წლის დედაბერმა იანვარში მარწყვი მოინატრაო.
✦ ასი მანეთი არა მაქვს, მანეთი არ ფულობს.
✦ ას კაცს ერთი ცხვარი უხაროდაო.
✦ ასმა კაცმა ასი კაცი იტიაო.
✦ ას კაცში რომ კაცს შეეშინდება, ზიარება არ უწერიაო.
✦ ასი მკარ, ერთი მათქმევინე.
✦ ასი ნათლიდედასაო და ერთი სვინასაო.
✦ ას მექოთნეს ერთმა მტეხელმა აჯობა.
✦ ას ძმას ასი ცხვარი ბევრი ეგონაო.
✦ ასმა კაცმა რომ ხეს შესძახოს, ხეც გახმებაო.
✦ ასმა კაცმა რომ გითხრას, ბრმა ხარო, უნდა დაიჯერო,

✦ ასლან წაიდა, უსლან მოიდა.

✦ ასლანს ერთხელ უთხრეს, ბესლანს ათასჯერა.

✦ ასლის პური ჯერ არ მიქამია და მუცელსა მგვრემს, რომ ექამო, უარეს არ მიზამს!

✦ ასტყდები, აღარ დადგები ოხერ ზენა ქარივითა.

✦ ასწიე ღონესა ჰქვია, დასწიე უღონობასა.

✦ ასწიე მძიმე-მძიმესა, მსუბუქი გადამეტია: თუ კაცი კაცსა ვერ იტანს, სიკვდილზე გადამეტია.

✦ აჭწყაეი ქერიო და ოხერი ვირიო.

✦ აფხაზს უთქვამს: ღმერთმა არც შენი გაცოდინა და არც სხვისა დაგაჯერაო.

✦ აქაო და რბილიაო, აბა, ულაპე ნინიაო.

✦ აქე და ერიდე.

✦ აქეთ მოეცდი ყაფასაო, გაღმა ქორწილობასაო.

✦ აქეთ პირი, იქეთ პირი, ყუა სადღა გაქვსო?

✦ აქ იყავი — არა მნახე, ვირზე შეჯექ — მოდი, მნახე.

✦ აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი შუაში გამოქეჭყესო.

✦ აქლემი ახლოს სძოეს და შორსა ხედავსო.

✦ აქლემი ისე არ დავარდება, რომ ვირის ტვირთი ვერ აიკიდოსო.

✦ აქლემი კლდეზე გადაეარდა, ვირმა ბღაეილი მორთო: ჩემი ამოსათრეეი გახდებაო.

✦ აქლემის კუნტრუში აღმართში გამოჩნდებაო.

✦ აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორიეე ქურდიაო.

✦ აქლემი ფარად იყო, ფარა არსად იყო.

✦ აქლემმა თქვა: ორმოცი კოზაკი გავზარდე, მაგრამ ტვირთი კი არც ერთმა არ ჩამომხადაო.

✦ აქლემმა თქვა, რომ არ დამაჩოქებდნენ, მთელ ქვეყანას აეიკიდებდიო.

✦ აქლემს საცერი დაადვეს, დაწვა, ააცალეს და ადგაო.

✦ აქლემს უთხრეს: კისერი გაქვს მრუდეო და მან უპასუხა, სხვა რა მაქვს სწორიო.

✦ აქლემს ქოქოლა დააყარეს: ჰაი, შე, კუზიანოო!

✦ აქლემს ასი აზრი ჰქონდა, მის პატრონს — ას ერთი.

✦ აქლემს არაბული ცხენი უჩვენეს და ჰკითხეს: როგორიაო — კუზი რომ ჰქონოდა, უკეთესი იქნებოდაო.

✦ აქლემის შუშპარი ხიდზე გამოჩნდებაო.

✦ აქლემის საპალნე ისე არ დაპატარავდება, რომ ვირის ტვირთი არ გამოეიდესო.

✦ აქ მე ვარ და გორს ამირანიო.

✦ აღარც მემხრობა, აღარც მეყრება.

✦ აღდგომა და — ხვალეო.

✦ აღმართი და დაღმართიო, არც ერთია წაღმართიო.

✦ აღმართმა თქვა: ვაქკაცი მოვღალე და ბერიკაცმა მომღალაო.
✦ აღმა ქარის, დაღმა წყალისა.
✦ აშელის მაგიერ ბაშელს მოჭრეს ყურიო.
✦ აშენება თქვი, თორემ დაქცევა ადვილია.
✦ აშვებული ძაღლი პატრონის შემნახველსა ჰგავს, დაბმული — დამნაშავესაო.
✦ აჩაჩამ უთხრა გუთანსა: გუთანო, პური მომიტეხეო. აჩაჩავ, მაშინ სად იყავ, მე რომ ყამირი გავტეხეო?
✦ აჩელიას ყანა მქონდა, ბაჩელიას — ნალიაო.
✦ აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია.
✦ აძუნძულდი, ღმერთს მოსძულდი.
✦ აწყინოს ქერმა ლურჯასა.
✦ ახალგაზრდობით მოგებული და შენახული სიბერის დროს ფარიაო.
✦ ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშასა.
✦ ახალ კიტრს და ახალ ამბავს ძვირად ნუ იყიდი, მალე გაიაფდება.
✦ ახალწელიწად დღეს ვირმა ბაგაზე გაიგო, დღემ მოიმატაო.
✦ ახალწელიწად დღესაო ქაქუჩა ჩხრეკდა ბზესაო.
✦ ახალი მეზობელი გაიჩინე, ძველს ნუ დაკარგავ.
✦ ახალი იბადება, ძველი კვდება.
✦ ახალი ჩალა დამიგეს, გვერდი ხუობს დაწოლასა.
✦ ახალციხეში ვირს მარილს აზიდვინებდნენ და არ ალოკვინებდნენ.
✦ ახლოს მყავდი — არ გიყვარდი, შორით — შენი ჭირიმეო.
✦ ახლოს ვიყავ, არა მნახე, შორით მომე სალამიო.
✦ ახლოსა ვარ, წვერსა მგლეჯავ, გამშორდები, რა იქნები!
✦ ახ, საქო, საქო, შენ ჩემო საქო, შე უვარგისო, მე როგორ გაქო!
✦ ა, ხუცესო, კორკოტიო, შენ ამისთვის მორბოდიო.
✦ აჰა, შენი ფარიო. მეც ჩახმახი მაქვს მარდიო.

ბ

✦ ბაბეს ეუბნებოდნენ, რძალს ასმენდნენო.
✦ ბაბუას შვილიშვილი ძველ დროს ასწავლიდაო.
✦ ბაგა არ მივა ძროხასთან.
✦ ბადრიჟანს რომ ფრთები ესხას, მერცხალი იქნებოდაო.
✦ ბავშვი დაასაქმე და უკან გაუდექიო.
✦ ბავშვის საყელოც კი სჭამსო.
✦ ბავშვი თუ არ იტირებს, ძუძუს არ მოაწოვებენო.
✦ ბავშვის მაღალი ტირილი თითის გალოკვა თაფლად ღირსო.

✦ ბავშვისაგან გაიგებ ოჯახის ავსაცა და კარგსაცაო.
✦ ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო.
✦ ბავშვსა და კატის კნუტს მკათათვეში ფეხები დააძრაო.
✦ ბავშვსა ჰკითხეს: რათა სტირიო? გამდის და ვტირიო.
✦ ბავშვს კვერს ნუ დაჰპირდები და თუ დაჰპირდები, კიდეც შეუსრულე.
✦ ბავშვს ის არგებს, რაც დიდებს არ აწყენს.
✦ ბავშვს რომ გაუცინებ, მუშტს გიჩვენებსო.
✦ ბავშვის პირით სიმართლე ღაღადებსო.
✦ ბავშვი აკვანშივე იცნობაო.
✦ ბავშვი — ტირილისა, გოჭი — ჭყივილისა.
✦ ბავშვი ტირილში გაიზრდება.
✦ ბავშვმა ჩასველება იცოდა, წამალი უყვეს და ქვეშ გასველაც ისწავლაო.
✦ ბალი წვერში გამწარდება და ტყემალი ძირშიო.
✦ ბამბის მპენტავს თეთრი ძაღლი სძულდაო.
✦ ბარაქალამ მაზარალა, ოლოლემ ვერა მიყო რაო.
✦ ბარი — ბარში, თოხი — ტარში.
✦ ბარში რომ ჭკუა დაიკარგება, შთაში მოძებნიანო.
✦ ბატის პატრონს ქათამი არ დაეკირებაო.
✦ ბატკანი ერთი ბღაოდა, ძუძუ ყველას უნდოდაო.
✦ ბატონი გადაგიდგეს, თემს შეეხვეწე, თემი გადაგიდგეს, მთას იქით გადიხვეწე.
✦ ბატონის კაცს ნუ გალახავ, მაგრამ თუ ხელს შეახებ, ისე გალახე, რომ სიკვდილის პირს მიდგესო.
✦ ბატონის ნახვა თუ გინდა, ჯერ მისი კარისკაცი უნდა ნახო.
✦ ბატონის საყვარელი გველი ყმისაგან უბეში ჩასმას მოელისო.
✦ ბატონის სურვილი ყმისათვის კანონიაო.
✦ ბატონი ყმასა წუნობდა, ყმა კიდევ მასთან ყმობასო.
✦ ბატონი ცხენზე ვერ შეჯდა, მეჯინიბეს უწყრებოდაო.
✦ ბატონმა რომ თქვას: მუხას ეაშლი ასხიაო, შენც უნდა დაეჯერო.
✦ ბატონმა მოურავს დაავალა, მან კიდევ — მოსამსახურესო.
✦ ბატონმა ცხენი გაუბოძა, მეჯინიბე წყრებოდაო.
✦ ბატონს ზურგი სტკიოდა და ყაზახები სტიროდენო.
✦ ბატონს ყმა უყვარდა უსმელ-უჭმელი, ტან-ფეხ ჩაუცმელი.
✦ ბატონო, ჩხიკვი მომიკვდაო, მე მისი დაბადებაც არ გამიგიაო.
✦ ბატონისა ჯავრობაო შენ გეგონოს ჯვარობაო.
✦ ბატონის ნება არ არის, აღმა იზამს ფეხებს თუ დაღმა?!
✦ ბატონს ბატონურად მოექეცი და ყმას — ყმურადაო.
✦ ბატონიშვილის შვილიო ათი ბათმანი ტილიო.
✦ ბატონიშვილის მუცელი ადლი და ნახევარია, საწყალი გლეხიკაცისა არც მისი ნახევარია.

✦ ბატონი რომ ყმას უწყრება, იმედიაო.
✦ ბაღდადს ვირი კიტრად იყო, კიტრი — კი არსად იყო.
✦ ბაყაყი — გუბეში, ვაშლი — უბეში.
✦ ბაყაყს გადაშიმული გზისა, აბა, რა ეცოდინება!
✦ ბაყაყი ხალიჩაზე დააბრძანეს, ისკუპა და ისევ გუბეში ჩახტა.
✦ ბაძვა სჯობია შურსაო.
✦ ბებერი რომ მოხუცდება, მიუჯდება კერასაო, ნატეხს პურს რომ ვეღარ შეჭამს, მთელს დაუწყებს ცქერასაო.
✦ ბებერი — მოგონებითა, ჯეილი — მოლოდინითა..
✦ ბებერი ხარის რქანიცა ხნავსო.
✦ ბებერმა კვერცხი თავით დაიდო, ეგებ აღდგომა მალე გამითენდესო.
✦ ბებია, წირპლიან თვალში იმიტომ გაკოცებ, რომ კვერი გამომიცხო.
✦ ბებრის ქორწილში ,ქერის ლავაშს, აბა, ვინ დაიწუნებს!
✦ ბებერსა, სარძლოდ მორთულსა, უფრთხილდი, მოერიდეო.
✦ ბებერსა სცემეს და კარი მერმე გამოკეტესო.
✦ ბებიას გამომცხვარი კვერი თბილის-ქალაქს შემხვდაო.
✦ ბებიას გამომცხვარი კვერი ტკბილია.
✦ ბებიას გამომცხვარი კვერი ახალციხეს ცხელი დამხვდაო.
✦ ბებიაჩემის გამომცხვარმა ხაჭაპურმა ცხრა მთას იქით ყელი დამწვა.
✦ ბებიამ იოსტატაო, თხელ-თხელს დაუწყო ცხობაო, ბაბუამ იოსტატაო, ოროლს დაუწყო ჭამაო.
✦ ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მაიდანი.
✦ ბედაურებსა სჭედნენ და ბაყაყმაც ფეხი აიშვირაო.
✦ ბედაური ბოლოსაო.
✦ ბედაურიდან ჩამოვარდნილი ვირმაც არ შეიჯინაო.
✦ ბედაურიდან ჩამოხტი და ვირზე დავჯექ.
✦ ბედაური მათრახს არ დაიკრავს.
✦ ბედაურის მოგებულს ვირი შესჭამსო.
✦ ბედაურ ცხენს გაკრეჭილ კვიცს არ შეაჯიბრებენო.
✦ ბედი მას ჰქვიან, რომ კარზე მოგადგეს უშრომლად.
✦ ბედი მომეცი და სანეხვეზე დამაგდეო.
✦ ბედი სამჯერ მოგიკაკუნებს, თუ კარს არ გაუღებ, სხვაგან მივა.
✦ ბედის მორჩილი მონობაში მოკვდებაო.
✦ ბედი ხნავს და ბედი სთესავს, ბედი მოიყვანს ყანასო.
✦ ბედმა თქვა: ვინც მომიხმარს, წელიწადში ერთხელ ყველას კარზე შემოვჯდებიო.
✦ ბედნიერთა მონაგები, უბედურთა წანაგები.
✦ ბედნიერი კაცისა მამალიც კვერცხსა სდებს, უბედურის კი ქათამიც არაო.
✦ ბედნიერების საღამოს გაადილავებს ზენაო.
✦ ბედნიერი შეესწრო, უბედურმა არ აჭამა.
✦ ბედნიერება თუ მოგეპარდა, ცოლი შეირთე.

- ბედნიერს უთოვდეს, უბედურს უქროდეს.
- ბედში კაცს გვიან იცნობ, უბედურობაში გამოიცნობ.
- ბევრი ვეცადე შენთვისო, ძლივს გავაკეთე ჩემთვისო.
- ბევრი ლაპარაკი — ბევრი თავის ტკივილი.
- ბევრი რად უნდა დედასა, ერთი სჯობს სახელოვანი.
- ბევრის მცოდნე ბევრჯერ შეცდება.
- ბევრის მჭამელსა ცოტას მჭამელმა აჯობაო.
- ბევრი ქალი სახლში — ბევრი დარდი.
- ბევრი ცემითა რკინაც გაიდრიკებაო.
- ბევრი შეშისა დამწველი ტყეში მალიმალ გარბოდა.
- ბევრი ხალხისა ტალახიც კარგიაო.
- ბევრი ხელის ჭირიმე და ერთი პირისაო.
- ბევრი ხელი ჯაფაშიო, ცოტა პირი ჭამაშიო.
- ბევრი ყოყმანი კაცს წაახდენს.
- ბევრის მოლაპარაკეს ცოტას მთქმელმა აჯობა.
- ბევრი ჰოი-ჰოი ხარს უკუღმა წაიყვანს.
- ბევრი შვილი ჭირიაო, ცეცხლიც არის, ვერცხლიც არის.
- ბევრი მჭამელი კაცის მოსამსახურე და ძაღლი მშიერი დარჩება.
- ბევრის მდომი ცოტასაც დაკარგავსო.
- ბევრის მსურველი კეთილს ვერა ნახავს.
- ბევრს ნუ იჯავრებ, მალე დაბერდები.
- ბევრი გამზრდელი ბავშვს ვერ გაზრდის.
- ბევრის მჭამელმა ცოტაც ვეღარ ჭამაო.
- ბევრის მჭამელი და ცოტას მჭამელი ერთბარად გამოდისო.
- ბევრი ფული — ბევრი დარდი.
- ბევრი ბოდიშის მოხდას ბევრი თავის დაკვრა უნდაო.
- ბევრი გამზრდელის ხელში ბავშვი უზრდელი გამოვაო.
- ბევრნაირად ჭრელ წინდასა ერთი ფეხი სცვეთსო.
- ბევრჯერ ვნახავ ივანესო, კარზე შემომჩივანესო.
- ბერდებოდე — ბედს ელოდე.
- ბერიკაცი ბერდებოდა, ცხენს უკუღმა შეჯდებოდა.
- ბერიკაცმა თქვა: ნურც მაჭმევ, ნურც მასმევ, ცეცხლზე გამათბეო.
- ბერი რას იზამს, თუ მოლოზონი არ შეცდაო.
- ბერმა და მოლოზონმა ჯოჯოხეთი აავსოვო.
- ბერმა ლამაზი იშოვნა და მიზეზი შეუტანაო.
- ბერო, არ გინდა ბერობა და ღმერთმაც ნუ გაცხონოსო.
- ბერს ბერობა შეშვენის და ერს — ერობა.
- ბერო, გაუშვი ბერობა, ქალებს დაუწყე მტერობა?
- ბერო, მადლი წაგიწყდა და მოლოზონო, სალოცავი.
- ბერო, ერთი მადლი გქონდა და ეგეც მოგეღოვო.
- ბეღურა და ბეღურა ჩიტი სხვის სანაკელეზე იბრძოდაო.
- ბეღურას ზარბაზანს არ ესვრიან.

✦ ბზეს დრონი გაპყიდიანო.
✦ ბზობასა და აღდგომას ერთნაირი ამინდი იცის.
✦ ბიჭი ის არის, ვინც ორი შაურით აჭმევს ცოლ-შვილს პურსაო.
✦ ბიჭობა გამორთმეცა კი არა — მიცემაა.
✦ ბნგლში ფუტუროც ანათებს.
✦ ბოლოკის ძირი თხელი სჯობია.
✦ ბოლოკმა თქვა: თავს თუ არ მომჭრი, ერთ ჭირ თავჭირს მოეკლავო.
✦ ბოლოკმა თქვა: უკადრისმა გამთალა და მსუნაგმა გამფხიკაო.
✦ ბორიოს მოტანილს ბორიო წაიღებს.
✦ ბოროტია ისიც, ვინც მარტო თავისთვისაა კეთილი.
✦ ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ გამარჩიესო.
✦ ბოროტი შვილის დედასა რა მოაშორებს სეფდასა.
✦ ბოსელში ისე ვერ შეხვალ, ავი სუნი რომ არ გეცეს.
✦ ბოსტანშია ქინძარაო, გინდ იყოს და გინდ არაო.
✦ ბოშას ხელმწიფობა უბოძეს და პირველად თავისი დედა შესვა ეირზე.
✦ ბრაზიანი ძაღლი პატრონსაც ჰკბენს.
✦ ბრალი ქოთნის მუცლისა, თორემ ძირს რა უჭირს.
✦ ბრიყვი კაცისა სიცოცხლე სიკვდილზე უარესია.
✦ ბრიყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა.
✦ ბრიყვი რომ ცხენზე შეჯდება, ღმერთი დაავიწყდება, ცხენიდან რომ ჩამოხტება, ცხენი დაავიწყდებაო.
✦ ბრიყვის საგზალი მალე დაილევაო.
✦ ბრიყვი უწინ იტყვის.
✦ ბრიყვ სიძეს სიდედრ-სიმამრის ქონება თავისი ეგონაო.
✦ ბრიყვს ჭკუა თვალებში აქვს და არა თავში.
✦ ბრმა ვერა ხედავს, მაგრამ საზრავს.
✦ ბრმათა შორის ცალთვალიო არს პირველი სარდალიო.
✦ ბრმა თვალმა ერთი ცრემლი რომ ჩამოაგდოს, ისიც ტირილში ჩაეთვლებაო.
✦ ბრმა თვალხილელს ატყუებდაო.
✦ ბრმა, რასა სჩივიო და ორთავე თვალსაო.
✦ ბრმა საქონელს ბრმა მუშტარი არ დაელევაო.
✦ ბრმას ცოლი მოუკვდა და როგორ გავაგებინოთო — გვერდში რომ აღარავინ მოუწვება, მაშინ ვეღარ გაიგებსო?
✦ ბრმა ქათამს ასე ჰგონია, ყველგან ხორბალი ყრიაო.
✦ ბრმა ყვავს ღმერთი აუგებს ბუდესო.
✦ ბრმა ღობეს მიადგა და შენს იქით გზა არა მაქვსო.
✦ ბრმისა და კოპლისაგან ქვეყანა ამოვარდნილაო.
✦ ბროლ-ბადახშისა მძებნელმა სათნი დავკარგე მინანი.
✦ ბროწეული რომ ბატკნის ხორცს გაიგებს, დალპებაო.
✦ ბრუციანმა სხვას მიაძახა: ჰაი, შე ბრუტიანო.

✦ ბრძენი სიტყვა ითქვა და ბრძენო ყურო, სადა ხარო?

✦ ბუზანკალი ბედაურსაც და ჩოჩორსაც ყველას ერთნაირად უძვრება კუდის ქვეშაო.

✦ ბუზი ბევრი ბზუის, მაგრამ ფუტკართან ყველა სტყუის,

✦ ბუზი მყრალი კი არ არის, საძულველიაო.

✦ ბუზსა ჰკითხეს: რათა ბზუიო? იმიტომ რომ, როცა ჩუმად ვარ, მადლიერი არავინ არისო.

✦ ბუზს სპილოს ყურში დაუზამთრდა და გაზაფხულამდე შიგ დარჩა, მერე გამოვიდა და მადლობა უთხრა. სპილომ უპასუხა: ვინა ხარ? მე შენი არც შემოსვლა გამიგია და არც გასვლაო.

✦ ბულბულმა კარგი გალობა იცის, მაგრამ ხორცი არ უვარგა.

✦ ბუმბულს სანამ ქარი დაუბერავდეს, თავისი თავი მძიმე ჰგონიაო.

✦ ბურთი და მოედანი მამაცს დარჩებაო.

✦ ბუს შემყურეს ბუს კლანჭები თვალებში ეჩხირებაო.

✦ ბუტიას შეუჭამენ, მძინარეს შეუნახავენ.

✦ ბუტიას წილი გემრიელია.

✦ ბუხარი და ორი კაცი, თუ გაჭირდა, სამი კაცი, თუ მეოთხე მოგვიმატოს, მასპინძელო, კარში გადი.

გ

✦ გაბრაზებული თათარი სიმღერას მოუმატებსა.

✦ გაბრაზებული კაცი დააფრინდება ქვასაო.

✦ გაგონილს ნახული სჯობიანო.

✦ გადადებული საქმე ეშმაკისაა.

✦ გადარეულისათვის ნიადაგ ლხინიაო.

✦ გადი-გამოდი ბოლოსა, გაქმეე ფლავსა და ღოლოსა.

✦ გადი, გამოდი, გუთანო, ღირღიტავ, ბანი უთხარო.

✦ გავბრიყვდი და შევჯექ ვირსა, იტლინკა და დამცა ძირსა,

✦ გავიქეცი და, ლაჯიანოვო, დავდექი და, ქაჯიანოვო.

✦ გაზაფხული არ დადგება, სანამ გურჯი ძვალს არ გასტეხსო — უთქვამს თათარს.

✦ გაზაფხულისა თავზედა ხეს ფურცელი გამოუვა: კაცი რომ გაღარიბდება, თავში ჭკუა გამოუვა.

✦ გაზაფხულის მზე რძალსაო, შემოდგომისა — ქალსაო.

✦ გაიკითხე ოქროს ქათმიანიო.

✦ გამარჯვებულმა გუთანმა სამოცი კვალი მოხნაო, ან ხარმა როგორ შეიძლო, ან გუთნისდედამ რა ქნაო.

✦ გამარჯობა, არაყო, მშვიდობით, ჭკუაო.
✦ გამგები გაიგებს.
✦ გამდიდრდები, გაძუნწდები.
✦ გამოსავალი სისხლი დროზე უნდა გამოვიდეს.
✦ გამოუდექ სიმართლესო, გამოგილევს სინათლესო.
✦ გამოუცდელ ანგელოზს გამოცდილი ეშმაკები სჯობიანო.
✦ გამრჯე კაცისათვის უსაქმობა დიდი სასჯელია.
✦ გამრჯე ხარს ალო არ მოაკლდებაო.
✦ გამქცევ-მიმწეევი ორივე ღმერთს ეხვეწებოდაო.
✦ გამშველებელს მეტი მოხვდებაო.
✦ განა ბებერი ცხენი ქერს არა ჭამს?
✦ განა იერუსალიმში ძაღლები არ ყეფენ?
✦ განა მაგას გაბარებდა ბიძაშენი ტარიელი, შენი ვირი სხვას მიეცი, შინ კი მოდი ცარიელი?
✦ განცხადების თვეში ბებერმა მარწყვი მოინატრაო.
✦ გაპენტილი ბამბა და გაცრილი ფქვილი მამაკაცს არ ეჩვენება.
✦ გაჟეეილს გატეხილი სჯობია.
✦ გარედან მტერს უბრმავებს თვალებს, შიგნიდან კი — მოყვარესაო.
✦ გარეთ გასული კაცი მაგარიაო.
✦ გარეთ მოეცდი ქორწილსაო, შინ კი — სადილობასაო.
✦ გარეთ მტერსა სთხრის თვალსაო, შიგნით კი თავის თავსაო.
✦ გარეული თაგვი შინაურ თაგვს არ აყვნებდაო.
✦ გარეულ ოქროსანსა, შინაური წვეედამწვარი გერჩიოსო.
✦ გასათხოვარი ქალი მღერის, გათხოვდება ტირის.
✦ გასაპირი ბრძენზე ბრძენიაო.
✦ გასაპირმა პატარძალთან დამაწვინაო.
✦ გატეხილი პური აღარ გამრთელდება.
✦ გაუგონიათ ალია მოკვდაო და ის კი აღარ იცინ, თავი საითა აქვსო.
✦ გაუთლელი სჯობს ალმასი გათლილსა ფირუზოვანსა.
✦ გაუსინჯავთა საქმეთა ბოლოს შეექმნათ ზღვეანი.
✦ გაუსინჯავსა სიტყვასა ტურის ჩხაეილი სჯობიანო.
✦ გაუყრელს ვერავინ გაპყრის.
✦ გაუპირეებლად ვინ გაიპირვა.
✦ გაქცეულს ერთი გზა აქვს, მდეევარს — ასი.
✦ გაქცეულს კვალზე მიჰყეო, დადგომილს წინ დაუდექო.
✦ გაღმა შეედავე და გამოღმა დაგრჩებაო.
✦ გაყიდა ხარი, ითხოვა ქალი.
✦ გაცემულ სიკეთეს ხალხი არ ივიწყებს.
✦ გაციება და გაცხელება ორივე ჭირიაო.
✦ გაძღომას ძროხაც მიხვდებაო.
✦ გაწყდეს, სადაც წვრილია.
✦ გაწყვეტას გაწვდენა სჯობიანო.

✦ გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო.
✦ გაჭირვებამ ფარჩის კაბა მაცვეთინაო.
✦ გაჭირვებაში ჩიტი ჩიტობით ღობეს შეეხიზნაო.
✦ გაჭირვებული კაცი ზღვაში გავაო.
✦ გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო.
✦ გაჭირვებულ კაცს ცამ გაუღო პირიო.
✦ გაჭირვებული მუდამ გაჭირვებული იქნებაო.
✦ გაჭირვებამ სტავრა-დიბა მაცვეთინაო.
✦ გდიე — ვერ დაგეწიე, დავჯექ და მოგიცადეო.
✦ გეგუთს ძაღლი გალახეს და მოწამეთას სტიროდაო.
✦ გემი ისე როგორ დაიღუპება, რომ ერთი ნაფოტი არ დარჩესო,
✦ გემოვანს საპმელს თან ახლავს კბილისა მოსაკეეთელი.
✦ გესმოდეს, თარო-კედელო, კარიდან მაყურებელო.
✦ გეუბნები, კედელო, გაიგონე, რეგვენო.
✦ გეშინოდეს იმისა, ვისაც შენი ეშინია.
✦ გეშინოდეს დიდთავიან კაცისა და პატარათავიან ქალისა.
✦ გველი გარედანაა ჭრელი, კაცი კი შიგნიდანაო.
✦ გველი მოვიდა ანკარა, თავით ბოლომდე გაგვყარა.
✦ გველი წავიდა მრუდობით, ეგონა გადარჩებოდა.
✦ გველის დაკბენილს ძილი მოუვა, მშიერ კაცს კი არაო.
✦ გველის ზმანებაში ხვლიკები გაწყვეტილანო.
✦ გველმა კანი გაიძრო, მაგრამ გული ისევ გველისა შერჩაო.
✦ გვერდსისხლიანსა გვერდტალახიანი სჯობიანო.
✦ გვიან ნაფარცხი რომ გაგიკეთდეს, შვილს ანდერძად ნუ დაუგდებო.
✦ გერიტის ნახული კანაფი მარცვალს ვერ გაიკეთებსო.
✦ გვყავს — არ ვაფასებთ, დავკარგავთ და ეტირით.
✦ გზა გაესინჯე საქმესა, თუ გინდა რომ არ წახდესა.
✦ გზა ვინც იცის, ფეხს არ წაიკრავს.
✦ გზა კეთილისა კაცისა ნიადაგ გქონდეს სავალად.
✦ გზა რამ მოღალა და ბერიკაცმაო.
✦ გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა წყალთა დენამა, ლამაზი გოგო და ბიჭი ერთმანეთისა ცქერამა.
✦ გზირს სოფელში არ უშვებდნენ და ფარ-ხმალი მამასახლისისას დამიკიდეთო.
✦ გიდელი იწვოდა და ღაღვი იცინოდაო.
✦ გინდ გახიე, გინდ გაფხრიწე — ორივე ერთია.
✦ გინდ დანით დაგიკლავარ, გინდ დუმითაო.
✦ გინდ ზღვას დაუხრჩვივარ და გინდ ცეარსაო.
✦ გინდ მგელს შეუპამივარ, გინდ მგლისფერ ძაღლსაო.
✦ გინდ მკვდარი, გინდ შინ მოესელელი.
✦ გინდ შეწვი და გინდ მოხარშე, გინდ კერიიდან დასძარიო.

✦ გიჟი აბნევდა, ჭკვიანი ხიკავდა.
✦ გიჟი გეიმრახედაც ფეხს მოიტეხსო.
✦ გიჟი დაასაქმე და შენც უკან გაუდექ.
✦ გიჟი ისაა, ვინც აბნევს, ვინც კრეფს — გიჟი არაა.
✦ გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა.
✦ გიჟი მოზვერი კარგი ხარი დადგებაო.
✦ გიჟი მოზვერი დაბი, აუშვი — ისევ გიჟია.
✦ გიჟი ნურც მოყვრად გინდა და ნურც მტრადა.
✦ გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა?
✦ გიჟი ქორწილში შეეიდა და თქვა: ჩემს სახლს აქა სჯობიანო.
✦ გიჟმა სახლი აიშენა და ჭკვიანმა იყიდაო.
✦ გიჟს აჰყე და ჭკვიანს დაჰყე.
✦ გიჟს ნურცა რას ჰკითხავ, ნურც რას დაუჯერებო.
✦ გიჟს ნურც გალანძღავ და ნურც გაელანძღვინები.
✦ გიჟს ნურცა რას ეტყვი, ნურცა რას ათქმევინებო.
✦ გიჟს ხატზე აკოცნიეს, მერე ისე შეეჩვია, რომ ქვების სროლა უწყო.
✦ გიცნობ, რკინაო, მიძევხარ წინაო.
✦ გიხსნას ღმერთმა ადიდებული წყლისაგან, გაძლიერებული ალისაგან და ქალის შარისაგან.
✦ გლახა ამპარტავანი ღმერთსაც სძულს და კაცსაცაო.
✦ გლახა გლახას აედევნა, ღმერთო, ფარატინი გააგდებინეო.
✦ გლახა გლახას წაეკიდა და ორივე წყალში ჩავარდაო.
✦ გლახა მეზობელიც კი მეზობლისათვის ამომავალი მზეა და კარგი რაღა იქნებაო!
✦ გლახა მამას კაი მამინაცვალი სჯობიაო.
✦ გლახა მოყვარეს კაი მტერი სჯობიაო.
✦ გლახა მუშას შემოდგომაზე მოუკვდება გულიო.
✦ გლახა მჭედელმა თავისი წაადოვო.
✦ გლახამ ფარა იშოვნა და გამოსახვეეი ვერაო.
✦ გლახა რომ ერთი იყოს, ყოველდღე ერბოკვერცხს შეჭამდაო.
✦ გლახის ქონებას კაი დაეპატრონაო.
✦ გლახამ აღაპი გადიხადა და თვითონვე შეჭამაო.
✦ გლახას კიტრი მისცეს, გამოართეა და თქვა: რაღა დასეტყვილი შემხვდაო.
✦ გლახას ხატის ეშინოდა, შეეჩვია და ბუცაობა დაუწყოვო.
✦ გლეხი ძროხას ეძებს ჯიშიანს, თავადი კი ცოლსაო.
✦ გლეხმა რა გაყიდაო და პური და ღვინოო, რა იყიდაო და ისევ ისო.
✦ გლეხს შობა უთენდებოდაო, მაგრამ მეალილოვეებმა აღარ გაათენებიესო.
✦ გლეხმა თქვა: თუ მათქმევიებთ, სათქმელი ბევრი მაქვსო, მაგრამ პირზე ხელს მაფარებენო.

✦ გობისა და საცრის მზიდავი — ორივე ერთნაირად კვნესოდაო.
✦ გოგიაა მთოხნელიო, ოცდახუთი მცოხნელიო.
✦ გოგო-ბიჭური მოყვრობა არის დროების ოხრობა.
✦ გოგოს ნაკეთი სამხარი, ბიჭის ნამკალი ყანაო.
✦ გონიერი კაცი ქვეყანას ამშვენებს, უგუნური კი ქვეყანას ამძიმებსო.
✦ გონიერი მეტს მოითმენს.
✦ გოშია აქეს და კლდეზე გადააგდესო.
✦ ვოკი ჭყვირილით გაიზრდება და ყმაწვილი ტირილითაო.
✦ გოჭსა ერთი კოდი სიმინდი საბალახოდ გასვლამდე უნდა გაუთავდესო.
✦ გოჭს სიმინდი თუნდა ქეჩოში, თუნდა ცხრა მთას იქითო.
✦ გრძელ გზასაც ბოლო ექნებაო..
✦ გუგულის გუგუნი გაზაფხულს მოიყვანსო.
✦ გუთნისდედა თუ კარგია, მეხრეს მაშინ უხარია.
✦ გუთნის სახნისი შვიდ წელიწადში ერთხელ წვერს ოქროს წამოჭკრავს.
✦ გუთანს მომეტებული ხარი არ მოსჭარბდება და წისქვილს მომეტებული წყალიო.
✦ გულდიდი ქორი ქანდარაზე ჩამოიხრჩოვო.
✦ გული ბრძენისა იქ არის, სადაც სტირიანო, ბრიყვისა — სადაც იცინიანო.
✦ გული გულს იცნობს და ღონე ღონესო.
✦ გული თუ არ ერჩის კაცსა, ფეხით სულ ვერ ივლის.
✦ გული როსტომისა და ბარგი ლოკოკინასიო.
✦ გულის გასაღები ჯოჯოხეთში იპოვებაო.
✦ გული ყოველთვის იმღერის, მაგრამ ჟამი არ შობაო.
✦ გულისთქმას პირი ამოთქვამსო.
✦ გულმა გულს სიტყვა უთხრა, ენამ ორივე გასცაო.
✦ გულმტკივარისა ტკივილი არ იცის გულდადებულმა.
✦ გემის მკეთებელს ფეხსაცმლის შეკერვა გაუკვირდაო.
✦ გცემ და არ გატირებო.

დ

✦ დაადარე მსხალი პანტას, ბროწეული — ბიასაო.
✦ დაბალი ვერ შესწვდა, მაღალი არ მოიდრიკა.
✦ დაბნეულ ფეტვის კაკალსა რა აკრეფს წიწილის მეტი?
✦ დაბალს რომ ტყავი მოეწონება, მიწაზე დაანარცხებსო.

✦ დაგეკარგოს რამე — არა თქვა, იპოვნი — თქვი.
✦ დაგეშილი ჩიტი ბადეში არ მოხვდებაო.
✦ დაგპედენ და მერე იძახე, არა ვარ აქლემიო.
✦ დავაყარე წისქვილსაო, გამოვედი სირცხვილსაო.
✦ დავთესე თხილი, მოვიდა თხილი, რაც მამა იყო, ის მისი შვილი.
✦ დავინახე ქადაო, ყელში გადაქანდაო.
✦ დავიწყებული ძველი იგივე ახალია.
✦ დაელიე ღვინო — მან მომკლა, არა და — მისმა სურვილმა.
✦ დავრდომილს წიხლი კი არა შველა უნდა.
✦ დავწერილშვილდი — დავიწიე, დამეზარდნენ — ავიწიე.
✦ დაზარება სჯობს დატყუებასაო.
✦ დათვი ათასნაირად ხტუნავს, მაგრამ სულ პანტის ხეზე.
✦ დათვი დათვს პატიობდა, სხვის ვენახში მიჰყავდაო.
✦ დათვი თავის ძუნძულს თამაშს ეძახოდაო.
✦ დათვი რომ მოგერიოს, ბაბაია ღაუძახეო.
✦ დათვი რომ სამგლე გახდაო, იმისი საქმეც წახდაო.
✦ დათვისაც უნდა გეშინოდეს და მისი ტყავისაცაო.
✦ დათვის ბღუილი პანტისთვინაო.
✦ დათვის ტყავი ბანჯგვლით ფასობს.
✦ დათვი ტყეზე გაბუტულიყო, ტყემ კი არა იცოდა რაო.
✦ დათვი ძილს იყო მიცემული და თაგვები სამარეს უთხრიდნენ
✦ დათვო, პანტა გიმწიფსო და კიდეეაც მიჭირსო.
✦ დათვმა თქვა: კბენა არ ვიცოდი და კაცმა მასწავლაო.
✦ დათვმა თქვა: მე ადამიანის სიყვარულით ვერ ვძღები, ის კი ჩემი მტრობითო.
✦ დათვმა თქვა: რასაც ჩემი ტორი ვერ მოვაველე, გემო ვერ ჩაეტანეო.
✦ დათვმა ზედმეტი სიყვარულით თავისი ბელი შეკამაო.
✦ დათვსა ხედავდნენ და კვალს მაინც ეძებდნენო.
✦ დათვს თავისივე ქონი აწუხებსო.
✦ დათვს თავში სცემდნენ და ის კი იძახდა: ეს რა ბრახაბრუხიაო.
✦ დათვს მელიას კვალი გაუკვირდაო.
✦ დათვს უთქვამს: ღმერთო, ჩემს ძმას ნუ შემახვედრებ და თუნდაც შვიდი სხვა შემხვდესო.
✦ დათვი ღობეზე გადაეიდა და თავისი ჩრდილიც თან გადაჰყვაო.
✦ დათვს თავისი მახრჩობელა პანტა უყვარდაო.
✦ დაინახო მელია, თოფი მოარტყი, დაიჭირო, ტყავი გააძვრე.
✦ დაკარგული ძროხა ბევრს იწველისო.
✦ დაკარგული ძროხა ცხრა ლიტრას იწველისო, დაუკარგავი — ერთ ჩარექასაც არაო.
✦ დალალის გული ხალვათია.
✦ დალაქმა ხელობა ჩვენს თავზე ისწავლაო.

✦ დამალულმა ჭირმა მოკლა კაცი.
✦ დამარხულ ოქროს და სიპ ქვას ორივეს ერთი ფასი აქვს.
✦ და მოკვდა ძმისათვის და არა ძმა დისათვისაო.
✦ დამ დის ამბავი არ უნდა იცოდესო.
✦ დამპალი თოკით ორმოში არ ჩაისვლება.
✦ დამრჩენი დარჩეს, წამსვლელი წავიდეს.
✦ დამწვარს მდუღარე დაასხესო.
✦ დამკვნარი ვარდი ახალ ჭინჭარს მაინც სჯობია.
✦ დანა კი არა, ნეტავი კბილებიც არ მქონდეს.
✦ დანა ვინ მისცა მკედელსა, ფეიქარს — ხელსახოციო.
✦ დაპატიჟებულ სტუმარს დიდი გული აქვს.
✦ დაპირებულიო — ჩარჩილებულიო.
✦ დარბაზს შესვლა შენს ხელთ არის, გამოსვლა მასპინძელისაო.
✦ დარდს მოგცემ, დარდს დაგაკიწყებ.
✦ დარში ნაბადს ნუ დააგდებ, ავდარში ქალამანსაო.
✦ დარში არ იყო გიშერა, ავდარში ბუღრაობდაო.
✦ დასაკლავ ხარს რაღა ლოდინი უნდაო.
✦ დასასჯელსა — სასჯელი, სახარკესა — ხარკიო.
✦ დაუპატიჟებელი სტუმარი ძაღლზე უარესია.
✦ დაუპატიჟებელ სტუმარს აბუჩი ჰქვიანო.
✦ დაფარული ეშმაკისაა.
✦ დაღამებას ქათამიც კი მიხვდებაო.
✦ დაღვრილ ერბოს ისე ვერ აიღებ, რომ ცოტა ძაინც არ დარჩესო.
✦ დაყვედრებულ ვარდის ყნოსვას, ეკლის ყნოსვა სჯობიანო.
✦ დაყვედრებული ლუკმა ყელს არ გადიელისო.
✦ დახლიდან რომ ნემსი ამოიღო, მის მაგივრად მახათი უნდა ჩასდო.
✦ დგომა მგზავრისა ცდომაა.
✦ დედაბერი კერიის ძირას დაიმტვრაო.
✦ დედაბერმა იანვარში ნემსი დაიბნია, მომათბობსო.
✦ დედაბერმა იანვარში მარწყვი მოინატრაო.
✦ დედაბერმა თქვა: იმდენი ვერ მოვიცალე, რომ მოვკვდე.
✦ დედაბერს შვიდი სოფლის დარდი აწუხებდა, მისი დარდი კი არავის ჰქონდაო.
✦ დედაბერს ტახტზე აჯენდნენ, ის კი „ნაცარ-ნაცარ“ იძახოდაო.
✦ დედაკაცის შარიო — მოვარდნილი ღვარიო.
✦ დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარი ვეღარ დაამამსო.
✦ დედაკაცს სანამ ქმარი ჰყავს, ამირანია, როცა მოუკვდება, ამირანთა ამირანია.
✦ დედაკაცს უთხრეს: ზეცას ქორწილიაო, კიბეს მივიდგამ, ისე ავალო.
✦ დედაკაცს პატიოსანი ძაღლიც კი არ შეუყეფს.
✦ დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე.
✦ დედას ვახსოვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა, ამიტომ წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსა.

✦ დედინაცვალი — თვალში ნაცარი.
✦ დედინაცვალი, გერიო — ერთიმეორეს ბტერიო.
✦ დედის პირი რომ იწყევლება, ძუძუები ილოცებაო.
✦ დედის წინ გაქცეულ კვიცს მგელი შეეპამსო.
✦ დედა მყავდეს, თორემ მამას კი ვიშოვიდი..
✦ დედაბერმა მუგუზალით ზღვა დასწვაო.
✦ დედაბერმა უღელი გადააგდო და კურდღელი მოკლაო.
✦ დედლის სიმაგრე მამლის სილამბლეაო.
✦ დედაბერი ბუქნას უელიდა და არც მთა ემადლებოდა და არც პარიო.
✦ დედის წვენი წვივში ჩაისხეს.
✦ დედა მაინც დედა არის, თუნდ ხუზურის ქალი იყოს.
✦ დედაშენი ქორს რომ მიქონდეს, ჰაი-ჰაის ნუ დაუძახებო.
✦ დედაკაცს თუ გმირობა სურს, დაე ნახევარ საათს გაჩუმდეს.
✦ დედამიწა გრილია.
✦ დედ-მამა მაკეთებდა და მე არ ვკეთდებოდი.
✦ დიაკვანმა თქვა: ჩემი დავითნი მომიტანეთო.
✦ დიაკვანს რომ მოსწყურდება, მღვდელს მიაწოდებსო.
✦ დიამბეგის სტუმრობაო ნუ გგონია ხუმრობაო.
✦ დიაცი მიმაეალი იკვეხის, მამაცი მომაეალი.
✦ დიბა რომ დაიხეეაო, ფეხზეც არ დაიხვეეაო.
✦ დიბა-სტავრა სჩიოდა: ვაი, თუ უჯილაგომ გამომჭრას, უხეირომ შეძკეროს და უჯიშომ გამცვითოსო.
✦ დიდს ეუბნებოდნენ, პატარას ასმენდნენ და აგულისხმებდნენო.
✦ დიდი კაცის ნაჩუქარი მალე უნდა გადაყლაპო.
✦ დიდი ქვეყანა მოუწვავს ენასა მაბეზღარასა.
✦ დიდი ძელიდან დიდი ტვინი გამოვაო.
✦ დიდი აქლემი თუ გყავს, დიდი ჭიმკარიც უნდა გქონდეს.
✦ დიდ ფაფას დიდი სულის ბერვა უნდა.
✦ დიდკაცთან პატარა კაცსა როდის გასელია მართალი.
✦ დიდკაცთან სამსახური არ დაგეკარგება.
✦ დიდ მარხვას უთქვამს: ისე გავირბენ, რომ ქვრივმა პერანგის გარეცხვაც ვერ მოასწროსო.
✦ დიდ ნადირს დიდი ნაგაზები ჰყეფენო.
✦ დიდსა, მაღალსა, ნათელსა მზესა მცირე ღრუბელიც მოაფენს ბნელსა.
✦ დიდ საყდარში პატარა წირვა განა არ შეიძლება?
✦ დიდ სიყვარულს დიდი სიძულვილიც მოსდევს.
✦ დიდ ფელამუშს დიდი გობი უნდა.
✦ დიდ ხეს დიდი ნაფოტი სცვივაო.
✦ დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში არ კმარიყო.
✦ დიდი კაცის ნაჩუქარი სუფრაზე არ ღაიდება.

✦ დიდ კაცს მუდამ კრძალვა უნდა.
✦ დიდ დარს დიდი ავდარი მოსდევს,
✦ დიდ ზამთარს დიდი მოსავალი მოსდევს.
✦ დიდი იალქნის დაბერვას დიდი ქარი უნდაო.
✦ დილით მთა და საღამოს ბარიო.
✦ დილით ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი. თუ დევ დაგაგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი.
✦ დილის საუზმე ცოლის მზითებს სჯობიანო.
✦ დილის შარი სჯობია საღამოს ხეირსაო.
✦ დილას პირში ოქრო უპირავს.
✦ დილის ვაშლი გულზე ვარდი, დილის მსხალი გულზე მხამ.
✦ დიღმის მინდორი დიდია, გაქცევა შენზე ჰკიდია.
✦ დოვლათი ბრმაა: ხან ვარდს დააჯდება, ხან ნეხვსა.
✦ დოლა თხამ წყალში ჩაიხედა: რქები არ მაქვს, ჯერ პატარა ვარო.
✦ დო თუ შევეპამე, დოს ქილა ხომ აქ არისო.
✦ დოყლაპიას დო აგონდებოდა და ყველის ჭამიას ყველიო.
✦ დროა, შექცევა სჯობია, დრო არის — გაქცეეაო.
✦ დროზე მთესველი დროზე მოიმკის.
✦ დრონი მეფობენ და არა მეფენიო.
✦ დრო მოვა, საათიც დაჰკრავს, დრო ყველაფრის მკურნალია.
✦ დღეს ცნობა, ხვალ ძმობაა.
✦ დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამსაო.
✦ დღეს ქათამს გავცემ, ხვალ კვერცხი და ვარია მომივაო.
✦ დღევანდელი სიტყვა ხვალის ხიდიაო.
✦ დღე-მეხვალიე კაცსაო თოვლი მიადგა კარსაო.
✦ დღევანდელ სიკვდილს ხვალინდელი სიკვდილი მირჩევნიაო.
✦ დღე წავიდა, არა ფათერაკი.
✦ დღეს არ იყოს და ხვალ იყოს, წყალმა ნაფოტი გარიყოს.
✦ დღევ, დაღამდი, ალოვ, გადი.
✦ დღისით კვეის ღეპიაო, ღამით საქმის კეთიაო.

ე

✦ ეგრე, ჩემო თანანაო, მიყვარს შენისთანანაო!
✦ ეკალი საქებარია· ცეცხლისა ასაგზნებელად, მაგრამ საქონლად არ გარგა, უბეში ჩასადებელად.
✦ ეკალს თითო-თითოდ ამოიღებენო.
✦ ეკლესიის კარი რომ ღია იყოს, ძაღლს ნამუსი უნდა ჰქონდეს.

✦ ეკლისა ადგილს ამოსელა — ეკლისა არის წესია, მოხუცი იმას მოიმკის, რაც სიყრმით დაუთესია.
✦ ელაო-მელაო, მღვდელი ძალზე გამაძღარა, დიაკვანს დაუბველაო.
✦ ენა რას არ იტყვის, ენას ძვალი არ აქვს, სიტყვას ბაჟი.
✦ ენა ყველაფერსა ფქვავს.
✦ ენა უძვლო, უფხოა.
✦ ენა გულის მოციქულიაო.
✦ ენაგრძელი სულმოკლე იქნებაო.
✦ ენას კლიტე არ დაედებაო.
✦ ენით ცხვარია, საქმით ცხარია.
✦ ენა ყველაფერს იტყვის, მაგრამ კაცს სინდისი უნდა ჰქონდეს.
✦ ენა ტარტარა — ხელებპატარა.
✦ ენა უბადაღებული — წყალწაღებული.
✦ ენამ მოჭამა სოფელი, არც ხმალმა ამოღებულმა.
✦ ენას დიდი სარბიელი აქვს.
✦ ერბო-კვერცხის სიყვარულით ტაფას ჰკოცნიდნენო.
✦ ერბო რომ გადმოვა, ციცხვსა და ჩამჩას ფასი დაეკარგებაო.
✦ ერდოს მამალი ვერ დაამძიმებს და დედამიწას გასათხოვარი ქალიო.
✦ ერევანს მწევარი იყო, ახალციხეს კურდღელიო.
✦ ერთ ადგილს თუ ვირი ტალახში ჩაიფლო, მეორედ იქ აღარ გაივლისო.
✦ ერთგული კაცი არ გაორგულდება და ორგული არ გაერთგულდებაო.
✦ ერთგული ძაღლი მტერს უყეფავს, ორგული შინაურებსა.
✦ ერთ დღეს დაებადებულვარ, ერთ დღეს მოვკვდებიო.
✦ ერთ დღეს ქვეყანა არ აშენებულა.
✦ ერთ თითს მოჭაკვავ თუ არა, ყველა თითები მოიკაკვება.
✦ ერთი აკვნის ბავშვის სტუმრობას თხუთმეტი ცხენოსნის სტუმრობა სჯობიანო.
✦ ერთი აკლდა რვასაო, მიემატა ცხრასაო.
✦ ერთი ალთას, მეორე ბალთას.
✦ ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო.
✦ ერთი არის მთოხნელიო, ოცდახუთი მცოხნელიო.
✦ ერთი გადახტომით მწყერი არავის დაუპერია.
✦ ერთი გოგო ჩიოდა: გასათხოვრად პატარას მეძახიან, კოკის საზიდავად კი დიდსაო.
✦ ერთი დამპალი ვაშლი ერთ კალათ ვაშლს დაალპობსო.
✦ ერთი დრო არვის შერჩება, კარგი თქვას, გინდა ავიო.
✦ ერთი დრო ჩიტსაც კი აქვსო.
✦ ერთი დღით ბატონობაც ბატონობა არის.
✦ ერთი დღით რომ სადმე წახვიდე, სამი დღის საგზალი ენღა წაიღო.

✦ ერთი დღის საგზალი გინდ ზურგით მიტარებია, გინდ მუცლითო.
✦ ერთი დღის სიცოცხლისათვის ხელმწიფემ ძაღლის ლეკვი შეჭამაო.
✦ ერთი ენძელა გაზაფხულს ვერ მოიყვანს.
✦ ერთი თხა მყავდა ელაო, ოჯახი დამინელაო.
✦ ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო.
✦ ერთი კაცი გორში გალახეს და გული ცხინვალში მოუკიდაო.
✦ ერთი კაცი სხვავან დაითრო და თავის მარანს დაუწყო კოცნა: შენი პირიმე, ჩემო მარანო, შენ ღამათვრეო.
✦ ერთი კაცი ცხოვრების დარდმა გადაიტანაო.
✦ ერთი კეთილგონიერი დედა მასწავლებლად ღირსო.
✦ ერთი მაქვს სჯობს ათას მქონდეს.
✦ ერთი მგელი კვდება, მაგრამ სხვა ათასი ლეკვი რჩება.
✦ ერთიმეორეს მზერითა სახლი აივსო მტვერითა.
✦ ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.
✦ ერთი მუჭა ბალახი აქლემსაც მაღლა ახტუნებსო.
✦ ერთი მხრიდან ძელი არ გაითლებაო.
✦ ერთი ნახვა ცნობაა, ორი ნახვა ძმობაა.
✦ ერთი პირიდან სითბოც ამოდის და სიცივეც.
✦ ერთი პირის ჭირიმე და ბევრი ხელისაო.
✦ ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო.
✦ ერთი პური მიეცი და პური მეპურეს გამოაცხობიეო.
✦ ერთი პური წლამდეს გორავსო.
✦ ერთი რომ ათასჯერ თქვა, ათასი რამდენჯერაო?
✦ ერთი საქმეს მოუხდება, ორი კი წაახდენსო.
✦ ერთი საღი თვალი სჯობია ორ ბრუტიანსა.
✦ ერთი ტიკისათვის არ იყო, ორში ასხამდნენო.
✦ ერთი ქამანდით ფალავანი არ დაეცემაო.
✦ ერთი ღარიბი მამისთვის უფრო ადვილია ათი ეაეის შენახვა, ვიდრე ათი მდიდარი შვილისათვის ერთი მამის შენახვა.
✦ ერთი ყმაწვილის გაზრდას ერთი ბათმანი ფეტვის ახეკა სჯობიაო.
✦ ერთი შენ და ერთი მეო, არ გეწყინოს ექთვიმეო.
✦ ერთი შერჩა მელასაო, მოუხშირა კბენასაო.
✦ ერთი შეწვი, მეორე შესცხეო.
✦ ერთი შვილი — არა შვილი, ორი შვილი — ვითომ შვილი, სამი შვილი — მართლა შვილი.
✦ ერთი ცეცხლია, მეორე ნავთია
✦ ერთი ცხვარი ორ ალაგას არ დაიკვლებაო.
✦ ერთი ცხვრისკენ, მეორე მგლისკენ.
✦ ერთი წელიწადი ნიორიც მიწაში თავს შეინახავსო.
✦ ერთი წიხლის კვრით ციხე არ დაინგრევაო.
✦ ერთი წლის ბერწობისათვის ძროხა არ დაიკლებაო.
✦ ერთი ჭკუა კარგია, ორი კი უკეთესია.

✦ ერთი ჭაუა რეგვესსაც დაეჯერებაო.
✦ ერთი ხატი სალოცავად არ კმარა.
✦ ერთი ხელით ორ საზამთროს ვერ დაიჭერო.
✦ ერთი ხელი ჩუმად არის, ორი გაიღებს ტლაშანსაო.
✦ ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ნიჩაბიც.
✦ ერთ კაკალს ქვას არ ესვრიან.
✦ ერთ კაცს პარკში სტენიდენ და ის ტომარაშიც არ ეტეოდა.
✦ ერთ კაცს სოფლიდან აძევებდენ და ის კი მამასახლისობას თხოულობდაო.
✦ ერთ კაცს ურემი გადაუბრუნდა და თავის თავს რომ ვერაფერი უქო, ასე წამოიძახა: ახ, სადა ხარ, პატარა ბიჭო, შენ დაგაბრალებდიო.
✦ ერთმა გამტანმა აჯობა ას შემომტანსაო.
✦ ერთმა თაგვმა ცხრა ქვევრი წაბილწაო.
✦ ერთმა კაცმა ნალი იპოვნა და, ღმერთო, სარკინე ამოაგდეო.
✦ ერთმა კაცმა ქორწილი ქნა ერთი ჯამი ღვინითა, პატარძალი მოიყვანა შეკაზმული ვირითა.
✦ ერთმა მტეხელმა აჯობა ას მექოთხესაო.
✦ ერთმანეთისა ბაძვითა სახლი აივსო ნაგვითა.
✦ ერთმა ტალახიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო.
✦ ერთმა ფარა ცსვარმა ხეს შებღაველა და ხე გახმა.
✦ ერთმა ფეხმოტეხილმა ტილმა ცხრა ლოგინში გადიარაო.
✦ ერთმა წვირიანმა ღორმა ჯავახეთი ამოაგდოო.
✦ ერთმა წუწკმა თაგვის კუდმა ასიანი წაბილწაო
✦ ერთმა ჭიქა ღვინომ ამოღებული ხმალი ჩააგოო
✦ ერთ მეზობელს მუცელი სტკიოდა, მეორე ხელს ისვამდაო.
✦ ერთ მზეს ვხედავთ და ერთნაირად კი არ გვათბობს.
✦ ერთ მღვდელს სახნისი დაჰქონდა და ამბობდა: ვინც მაწირვინებს, ეს სახნისს ვაჩუქებო.
✦ ერთს მომგვარე ჰქვია, ორს — მომისხი.
✦ ერთს რომ ვირი ეწეოდა, ორ იმდენს — ვირის პატრონიო.
✦ ერთს რომ იტყვი, მეორეც უნდა თქვა.
✦ ერთ ქვეყანას ბულბული არ იყო და ვირს ვარდისახარს ეძახდნენ.
✦ ერთ ქვეყანას, სხვა რომ ვერავინ ნახეს, ვირი ყადად დააყენეს.
✦ ერთ ყურსა ჰქვია ისმინეო, მეორეს კი — ისხლიტეო.
✦ ერთ ცსვარსაც მწყემსი უნდა და ათასსაცაო.
✦ ერთ წელიწადს მუცელა იყო და ყოველი კაცი მუცელზე ხელს ისვამდაო.
✦ ერთხელაც იქნება, მელას მინდორზე გაუთენდებაო.
✦ ერთხელაც იქნება, ნაგუბარში წყალი ჩადგებაო.
✦ ერთხელაც კოკლი წინაო.
✦ ერთხელ გატეხილი კვერცხი აღარ გამრთელდებაო.
✦ ერთხელ გაჭირვებაში ქაჩლის თავი მეწისქვილესაც გამოსდგომიაო.

✦ ერთხელ დაკოდილ გულს ვერაფრით გაამრთელებო.
✦ ერთხელ რომ გემოდ ვენახოს, მეორედ რად სჭამ მწარესა.
✦ ერთხელ სიკვდილი სჯობია ნიადაგ შეღონებასა.
✦ ერთხელ შეეედი საყდარში და მაშინაც თვალი გამოვითხარეო.
✦ ერთხელ შეჯდა მწყერი ხეზე და მაშინაც ტოტი ჩაეოუტყდაო.
✦ ერთხელ წაველ წირვაზეო, ფეხი მომტყდა ყინვაზეო.
✦ ერთხელ ჯოჯოხეთსაც მიადგება მზე.
✦ ეს დღე ხომ კატას არ შეუჭამია.
✦ ეს ესაო, ეს ისაო, გამოიცალა ქისაო.
✦ ეს ვარია ჩვენსას კაკანებს, კვერცხს კი სხვაგან დებსო.
✦ ეს ვირი ხომ ბედია და ჩონჩორიკიც მეტია.
✦ ეს თუ არ გინდოდა, აქ რა გინდოდა?
✦ ესიკელას ქორწილი გოგიელას ხარჯიო.
✦ ეს ისეთი აქლემია, რომ ყველას კარზე დაიჩოქებს.
✦ ეს ოხერი სიღარიბე ჩვენსა არის შეჩვეული, საცა წავალ და წამოვალ, კალთაში მყავს გახვეული.
✦ ეს საკოცნელი ლოყა საფურთხებლად რად გავიხადეო.
✦ ეს სოფელი ასეთია, მიეთი და მოეთია.
✦ ეს ფეტვი კი მოსცდა და ეხლა ჯანდაბას, იწვიმებს თუ არაო.
✦ ეს ფლავი თუ კარგია, ხან ჩვენსასაო და ხან თქვენსასაო.
✦ ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთ ადგილას აღრჩობსო.
✦ ეს ქვეყანა გამოცანაა.
✦ ეს ქვეყანა კიბეა, ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის.
✦ ეშმაკები ერთმანეთის მტრები არიანო, მაგრამ კაცის წინააღმდეგ კი დამოყვრდებიანო.
✦ ეშმაკს არ სძინავს.
✦ ეშმაკს თვალი არ უჩანს.
✦ ეწერმა თქვა: მე რომ ეწერს არ მიძახოდნენ, ოცდახუთნაირი ჭერის წამალი ვარო.

3

✦ ვახს უთქვამს: ნეტავი მე რომ ყვავილში შევალ, ჩემი პატრონი ავად გახდესო, ვერც თვითონ შემოვა და ვერც სხვას შემოიყვანსო.
✦ ვაი ამითაო, ქურდი ღამითაო.
✦ ვაი თქმა და ვაი უთქმელობაო.
✦ ვაი თქმა და უი კარზე დგომაო.

✦ ვაი კუტი კალიის ბრალი, თორემ ფრთიანი გაფრინდებაო.
✦ ვაიმე, ძმაო თარხანაო, ჭკუაზე რა თხლად ხარაო.
✦ ვაი რა დააღამებს შიმშილობის დღესაო.
✦ ვაის გაეყარე, უის შეეყარე.
✦ ვაი სიკეთის მქნელსაო.
✦ ვაი, ქონებავ, და უი, უქონლობავო.
✦ ვაი ჩვენსა წერასაო, თავი გიგავს ძერასაო.
✦ ვაი ძველის გამგდებს და უი ახალის მომკიდესო.
✦ ვალი და სესხი არ დაბერდება.
✦ ვალი ხმას არ იღებს, არც მაძინებს.
✦ ვალმა თქვა: ჰუპრუტანაში შემოეძვრები და კარებში კი ველარ გავეტეეიო.
✦ ვალს გადახდა უნდა.
✦ ვაჟი მყავდეს ქოჩრიანი, ქალს მოვიყვან ქამრიანსა.
✦ ვაჟკაცი სადაც შერცხვება, მისი სამარეც იქ არის.
✦ ვაჟკაცი ქუდსა სიცივისათვის კი არ ატარებს, არამედ სირცხვილისათვის.
✦ ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ღირს მკვეხარი.
✦ ვაჟკაცობა. კარგია, მაგრამ მალე გაცვდებაო.
✦ ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი თუნდა ხისაო,
თვალი ქორისებრ მჭვრეტელი,
სიმარდე შეეარდნისაო,
ხარი, კამეჩი თავისი,
ცოლი უყვარდეს სხვისაო.
✦ ვაჟკაცს რას გამოადგება სოფლად მშვენება თავისა,
ხმალს უნდა აჭრეევინებდეს, იმედი ჰქონდეს მკლავისა.
✦ ვარდი მოკრიფე და ეკალს ცეცხლი წაუკიდე.
✦ ვარდი სანეხვეზედაც გაიზრდებაო.
✦ ვარიას რომ კვერცხის დადება მოუნდება, კაკანს მაშინ დაიწყებს.
✦ ვაშლი რომ მაღლა შეაგდო, მის ჩამოვარდნასაც დრო უნდაო.
✦ ვაჭრობა და მოყვრობა ნებისა არისო.
✦ ვენაცვალე ქარსაო, მოიტანა კარსაო.
✦ ვენახს უთქვამს: ნეტავი ჩემმა პატრონმა წელიწადში თუნდაც ერთხელ გადამიაროს და სხვის ხელში კი ნუ ჩამაგდებსო.
✦ ვერ აშენდა ხუროს სახლი, ვერც აგრე მებადურისა.
✦ ვერიდებოდი ღოლოსა, დამიხვდა სოფლის ბოლოსაო.
✦ ვერცხლად ვინც სულსა გაჰყიდის, სხვას რას იყიდის რასაო.
✦ ვერც აქ მოსწვდი, მანდაც მოსცდი.
✦ ვეშაპი ისეთ არაფერს გადაყლაპავს, რის მონელებაც ვერ შეძლოს.
✦ ვიდრე ჭკუიანი დაფიქრდებოდეს, გიჟი ხიდს გადაივლისო.
✦ ვიდრე ხეს ქერქი ძვრება, მანამდე უნდა შეაძრო.

✦ ვინ აგებს და ვინ აქცევს?
✦ ვინ ალალო იძახა და ვინ მწყერი დაიჭირაო.
✦ ვინა ნახა ცხონებული უშვილო და პურაძვირი?
✦ ვინ გკოცნის, რომ ლოყას იშვერ.
✦ ვინ დასდევს ბებრის ქორწილში კუტსა და ქერის ლაეაშსა.
✦ ვინ იტყვის, ჩემი დო მჟავეაო.
✦ ვინ რას ჩიოდა და ბრმა ორსავ თვალსაო?
✦ ვინც ადრე დგება, გამარჯვება მას დარჩება.
✦ ვინც ავად გახდება, ყველა კი არ მოკვდება.
✦ ვინცა ვისი მახარია, ისა მისი მაყარია.
✦ ვინც აიკიდა გოდორი, იმან შეჭამა კოტორი.
✦ ვინც არ გაირჯება, პურამდის ვერ მისწვდება.
✦ ვინც არ მუშაობს, ის არ სცდება.
✦ ვინცა სჭამს, ისვე ზღავს.
✦ ვინცა ჩქარი, ის მაძღარი.
✦ ვინცა ჭამა ერბო, იმას მეტი ერგო.
✦ ვინცა ჭამა მჭადი, ჭანგიანში წადი.
✦ ვინცა ჭამა ჭაომის გული, ვერ მოიგო კაცის გული.
✦ ვინც გააჩინა თხა, მანვე დაუგრიხა რქა.
✦ ვინც განვკურნე, მან დამკოდა.
✦ ვინც დაიზარაო, არ გაიხარაო.
✦ ვინც დარაჯად არის დაყენებული, ის ყველაზე მეტად არის საეარაჯო.
✦ ვინც ერდო მოხნა, იგიც მოკვდაო.
✦ ვინც თავისთავისთვის არ იყო, იმის ბედი შავი იყო.
✦ ვინც თავს მაღლა წაიღებს, ფეხს წაიკრავს.
✦ ვინც თაფლში ხელს ჩაჰყოფს, თითსაც ის გაილოკავსო.
✦ ვინც თქვა „ანი“, იმან „ბანიც“ უნდა თქვასო.
✦ ვინც იცის — ცეცხლია, ვინც არა და ცერცვიაო.
✦ ვინც კატას არ გაიჩენს, ის თაგვებს გაიჩენსო.
✦ ვინც მალე სჭრის, ის დიდხანს ნანობს.
✦ ვინც მეზობელის იმედით იქნება, ის უვახშმოდ დარჩება.
✦ ვინც ბზეს ტალახს ესვრის, თვითონვე დაეცემაო.
✦ ვინც მიდიოდა, ფქვავდა, ვინც არა და — ჯერს ელოდებოდა.
✦ ვინც მოითმენს, ვერცხლაო, ვინც არა და ცეცხლაო.
✦ ვინც მოიმენს, ის მოიგებს.
✦ ვინც მოკვდეს, თავსა მოუკვდეს, ცოცხალი ლონიერია.
✦ ვინც მოხადა ქვევრიო, იმას მისცეს ბევრიო.
✦ ვინც პატარა რამეს არ დააფასებს, ის ვერც დიდის ფასს გაიგებს.
✦ ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.
✦ ვინც რომ ასვა არაყიო, მისცეს სახლის ალაგიო.

✦ ვინც რომ გარეთ გაიზარდოს — ან ლომი და ანაც ჯბირი, ვინც რომ სახლში გაიზარდოს — ან ძროხა და ანაც ვირი.
✦ ვინც სავსე ჯამში ხელს ჩაჰყოფს, გემოსაც ის, გაიგებსო
✦ ვინც სვამდა, ისევ იმას წყეროდაო.
✦ ვინც სულგრძელობას დაიპყრობს, შერჩება სასელოვნება
✦ ვინც უჯაფოდ სჭამს, იმან ხეირიანი ქამაც არ იცის.
✦ ვინც ქარს დასთესავს, ქარიშხალს მოიმკისო.
✦ ვინც ქარს შეაფურთხებს, თავის თავს შეაფურთხებს
✦ ვინც ღამე ხნა, ისიც მოკვდა.
✦ ვინც ცხენიდან არ ჩამოვარდნილა, ის ცხენოსნობას ვერ ისწავლიდა.
✦ ვინც ძაღლს მოჰკლავს, იმანვე გადაათრიოსო.
✦ ვინც წავიდა, აღარ მოვიდა.
✦ ვირზე იჯდა — ვირს უშენდა.
✦ ვირზე შეჯდომა — ერთი სირცხვილია და ჩამოვარდნა — მეორეა.
✦ ვირი დაბერდა და თოხარიკობა მაშინ დაიწყო.
✦ ვირიდან ჩამოვარდნილს ცხენზე აღარ შეეჯდომება.
✦ ვირი და ვირი სანახიროზე იბრძოდნენ.
✦ ვირი მოგებაზე წავიდა, ნალებიც იქ დარჩა.
✦ ვირი რომ ბატონად გყავდეს, „ჰაცე" არ უნდა შეკადრო.
✦ ვირი საღმრთოში არ დაიკლება, მაგრამ ვირის ფულით კი საღმრთოს გადაიხდიანო.
✦ ვირი სხვისაო, სახრე ტყისაო.
✦ ვირი ფუნდრუკობას არ მოიშლის.
✦ ვირის ზურგს ვირის კურტანი მოუხდებაო.
✦ ვირის თოფრამ თეირანი მოიარა, მაგრამ ისევ თოფრად დარჩა.
✦ ვირის მადევარი მის ტლინკებსაც უნდა უძლებდესო.
✦ ვირის წიხლი კი არ მეტკინება — მეწყინებაო.
✦ ვირი ქორწილში დაპატიჟეს და წყალიც კი მაინც იმას აზიდვინეს.
✦ ვირი ჩარბოდა ცხენითა, მეც ბედაური შენთანაო.
✦ ვირი ხუცად ვინმე იყო და ცოცხლებსაც მარხვა დაუწყო.
✦ ვირმა ზურგის ფხანაში კოქლი ფეხი გაისწორაო.
✦ ვირმა თუ ხტომა არ იცოდეს, როგორ შეიკუნტრუშებსო.
✦ ვირმა თქვა: თხუთმეტი მუტრუკი გავზარდე, მაგრამ ზურგიდან კურტანი არ მომცილდაო.
✦ ვირმა კუდი აიბზიკა, მეც ნახირში გამრიეთო.
✦ ვირმა პალო ამოგლიჯა, ერთი პატრონს ჰკრა და თხუთმეტი თვითონ მოირტყაო.
✦ ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო.
✦ ვირმა ყროყინი რომ არ იცოდეს, პატრონს როგორ გააგებინებს, აქა ვარო.
✦ ვირო, აღმართი, დაღმართი შენთვის არ არის წაღმართი.
✦ ვირო, გაზაფხულამდი ნუ მოკვდები და ალერდიც მოვაო.

✦ ვირო, ვერ იცან მამალი — თავს ხერხი, ბოლო ნამგალი.
✦ ვირსა მგელს შეაქმევს მუტრუკის კუნტრუშიო.
✦ ვირსა პიტნა სძულდა, მოუტანეს, წინ დაუდესო.
✦ ვირსა სქედნენ და ის წიხლს ისროდაო.
✦ ვირს და მის ყროყინს რომ ფასი ჰქონდეს, რუს ხელმწიფე ბაუ-ლაადებდა.
✦ ვირს თუ კურტანი ახადე, ვირი ვირზე უარესია.
✦ ვირს თუ ფეხის მოტეხა არ უნდა, რკინას ფეხი არ უნდა ესროლოსო.
✦ ვირს კურტანს არ მოხდიან, აქაო და უხდებაო.
✦ ვირს რასაც აჰკიდებენ, განა სულ თვითონვე შეაქმევენო.
✦ ვირს რას ჰკითხავენ საქმისას, მელას რას დაუჯერებენ?
✦ ვირს რომ ზურგი მოეფხანება, წისქვილის კარებს მოადგებაო.
✦ ვირს რომ საპალნე მოუნდება, წისქვილში შეიხედავსო.
✦ ვირს რქა არ ამოუვიდა და თავის თავი პატარა ეგონაო.
✦ ვირს რქები არ ამოუვიდა, ხბოებში გაერიაო.
✦ ვირს უთქვამს: წინა ფეხებისა რომ არ მეშინოდეს, მთელ ქვეყანა-ვიკიდებდიო.
✦ ვირს ყროყინს ნუ გააჯავრებ—თორემ ვირის ყურები გამოგებმისო.
✦ ვისაც არ ეწვის, არ სტკივაო.
✦ ვისაც არავინ მოწონს, ის თვითონ არაა მოსაწონი.
✦ ვისაც არ უნდა, რიყეზე ისე გაივლის, რომ ქვას არ დაინახავს.
✦ ვისაც აღმართზე ავლა გაუჭირდება, იმას დაღმართზე ჩასვლაც გაუ-ჭირდება.
✦ ვისაც ბარგი ჰკიდია, ჩამოხადეთ, მადლია.
✦ ვისაც გული არა სტკივაო, იმას ცრემლი არა სცვივაო.
✦ ვისაც დედა ცოცხალი ჰყავს, ახლა კია სადილობა.
✦ ვისაც ეახლე, იმას ემსგავსე.
✦ ვისაც ვინ უყვარს, მისი ლამაზიც ის არის.
✦ ვისაც ზურგი მიუშვირო, ყველა დიდ ქვას დამადებსო
✦ ვისაც თაფლი უდგია, თითსაც ის ილოკავსო.
✦ ვისაც თევზი უნდაო, ფეხი სველი უნდაო.
✦ ვისაც თორნე ცხელი ჰქონდეს, პურსაც იგი გამოაცხობს
✦ ვისაც მოზვერი ეზრდებოდეს, მას ხარს ნუ დაუკავებო.
✦ ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს ნადირსა შავი მთისასა.
✦ ვისაც მტერი არა ჰყავს, კაცი ის არის.
✦ ვისაც ნემსის დაკარგვაც არ დაენანება, იმას არც აქლემის და-კარგვა დაენანებაო.
✦ ვისაც რა არ ეხერხება, მისთვის ყველა ცუდიაო.
✦ ვისაც რახარუხი ეჯავრება, მკედლის დუქანში ნუ შევაო.
✦ ვისაც საღმრთო უნდოდა, ცხვარს იძახდა, ვისაც გაძღომა და კა-მეჩსაო.

✦ ვისაც სახლი არ აუშენებია, მას დედაბოძი მიწიდან ჰგონია ამოსული.

✦ ვისაც სხვისი ბედნიერება შურს, ვერც თავისას მოესწრება.

✦ ვისაც სხვისი მუშტი არ უფერდნია, იმას თავისი მუშტი ბათმანი ჰგონიაო.

✦ ვისაც ღმერთი მისცემს, ავანაანთ ხევშიც მისცემს.

✦ ვისაც ღმერთი სწყალობს, ეშმაკი რას დააკლებს.

✦ ვისაც ღმერთი სწყალობს, ღომი ბლომად მოუვა.

✦ ვისაც ღმერთისა ეშინია, შენც იმის ნუ გეშინია.

✦ ვისაც შვილი არ მოჰკდომია, იმას შვილის სიკვდილს ნუ შესჩიეულებო.

✦ ვისაც ცრემლი არა სცვივოდა, იმას გულიც არა სტკიოდა.

✦ ვისაც ცხვარი არა ჰყავს, იმას დანა მჭრელი ექნება.

✦ ვისაც წიწაკა უჭამია, პირიც იმას დაეწვისო.

✦ ვისაც ჭირი უნახავს, წამალიც იმას ჰკითხეო.

✦ ვისაცა ჰყავს ამხანაგი, იმას ჰყავს ბატონი.

✦ ვისგან კარგს მოველოდი, ის უფრო ჩემი მტერია.

✦ ვის გაუგონია ლხინი უტირალი და ჭირი უცინარი.

✦ ვის გამოუცხვეს და ვინ შეჭამა?

✦ ვისი ენაც ჭარტალია, მისი ყველა მართალია.

✦ ვისი ერდოც მაღალია, მეც იმისი მაყარიო.

✦ ვისი ტყე, ვისი ხარები, ვისი რა საბურველია.

✦ ვისიც — შიში, ხათრიც — მისი.

✦ ვის მოსწყენია თავი მეფედ, ცოლი დედოფლად.

✦ ვის პურსაც ჭამდე, იმისივე ხმალი მოიქნიეო.

✦ ვის უნდა ორთაე თვალით ბრმა იყვეს.

✦ ვის უჩივი და ბატონსაო. ვისთან სჩივი და ბატონთანაო.

✦ ვიცის დედა სტიროდაო, არ ვიცისა — იცინოდაო.

ზ

✦ ზამთარი ისე გაიპარა, რომ პერანგის შეკერა ვერ მოეასწარიო.

✦ ზამთარი მოვა: ზოგს ხელს მოწვავს და ზოგს ფეხს.

✦ ზამთარს ეკონკე, ზაფხულს ეკოხტე.

✦ ზამთრის მზე ყვავილს ვერ მოიყვანსო.

✦ ზამთარში დედაბერმა ნემსი დაიბნია — მომათბობსო.

✦ ზარალი წიწაკაზე მწარეა.

✦ ზარმაცი ადგა და სახლი დაწვა.
✦ ზარმაცისათვის ნიადაგ უქმეა.
✦ ზარმაცი ჭამის დროს კარგად არის, მუშაობის დროს ავადო.
✦ ზარმაც კაცს თავისი ხელ-ფეხი ნათხოვარი ეგონაო.
✦ ზარმაც მწყემსს საქონლის მობრუნება შორიდან ურჩევნიაო.
✦ ზარმაც მჭედელს კვირა დღეს მოუნდება მჭედლობაო.
✦ ზარმაც ცხენს დეზი უნდაო.
✦ ზარმაც ხარს ზედა და ქვედა ნახნავი — ორივე თავისი ეგონაო.
✦ ზაფხულზე შემონახული — ზამთარში — ცივი ქვაც კი თბილიაო.
✦ ზაფხული ზამთრის მუშაა.
✦ ზაფხულში გველის შეშინებულს ზამთარში საბნის ეშინოდაო.
✦ ზაფხულში დათესილი ღომი თოხის პირს ამოჰყეესო.
✦ ზაფხულში დაფხვნილი ზამთარში გამოდგებაო.
✦ ზაფხულში მთესავი — ზამთარში მცოხნავი.
✦ ზაქარია ციციშვილი — რაც მამაა, ისიც შვილი.
✦ ზეცას წერო მიფრინავდა, ძირსა სოლიდენ შამფურსაო.
✦ ზიარი ძროხა მგელმა შეჭამაო.
✦ ზოგი ბედით ცხოვრობს და ზოგი კი უბედობითო.
✦ ზოგი კაცი დუმას არა სჭამს, უკანიდან აბიაო.
✦ ზოგი რჩებოდა ბედითა, ზოგი ვერც მომჭირნეობითა.
✦ ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო.
✦ ზოგი ფულის ბატონია, ზოგი კი ყმაა.
✦ ზოგი ჭირი მარგებელიაო.
✦ ზოგ კაცს ანგარიშისა სცხვენია და ჩხუბისა არაო.
✦ ზოგ კაცს კვირაში შვიდი პარასკევი აქვს.
✦ ზოგ კაცს რიყე რომ მიაძახო, ქვებს შეგიჭამსო.
✦ ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კაცსა — კაცუნაო.
✦ ზოგჯერ ბრიყვსაც დაუჯერებენო.
✦ ზოგჯერ გაქცევაც კაი ბიჭობაა.
✦ ზემოთ მოვრჩი ქორწილსაო, ქვემოთ — სადილობასაო.
✦ ზღვა ისე არ დაშრება, რომ გუბის ტოლა არ დარჩესო.
✦ ზღვა კი არ აღრჩობს კაცს, გუბე.
✦ ზღვა კოვზით დაილიაო.
✦ ზღვა მაწვნად გადაიქცა და უბედურს კოვზიც არა ჰქონდაო.
✦ ზღვას გადაურჩა და ცვარმა დააღრჩოო.
✦ ზღვას ქვიშა აკლიაო.
✦ ზღვას ძირი არ უჩანდა და ამბობდნენ უძიროაო.
✦ ზღვაში ლელი გახმა, რაკი ცის ნამი არ მოხედაო.
✦ ზუზუნ-წუწუნი ქვრივისა და ბუზისა ორივ ერთიაო.
✦ ზურგწამხდარ ცხენსა ზეცაში კაკკაკები ელანდებიანო.

- თაგვი ბელელში შიმშილით არ მოკვდებაო.
- თაგვი [illegible] ჩაძვრა და კედზე გოგრას იბამდაო.
- თაგვი [illegible]ოროში ლომს ქორწილზე ეპატიჟებოდნენ.
- [illegible]ში ჩავარდა, დათვრა და კაცის ბრძოლაში გამოწვევა [illegible]ცადაო.
- თაგვმა თხარა, თხარაო — კატა გამოთხარაო.
- თაგვს ბუმბულში აწყენდნენ და ის სოროში მიძვრებოდაო
- თავადიშვილის ყმობითა ფქვილი ვერ ჩავდგი გობიოა.
- თავაშვებული ცხოვრება აოავის არგია.
- თავდები ხელით ჰკიდიაო.
- თავდებს ხელი ჯიბეში უნდა ჰქონდეს.
- თავი აგიგდია, ვერა გავიგია.
- თავი არა თქვა და ბოლო არ იყოო.
- თავიდან კაცის სიკვდილი კაცთაგან მოგონილია.
- თავი ვინ მოგვრა და მკვიდრმა ძმამაო.
- თავი კუდს არ უცდის.
- თავი მოკვდეს, სიტყვა დარჩება.
- თავი მოკრივე, ბოლოს გამოვა.
- თავის აგდებას ტანის აგდება სჯობიაო.
- თავის ბედს კაცი ვერსად დაემალება.
- თავის გატეხა სჯობია სახელის გატეხასაო.
- თავის დროზე დალეული შხამიც კი ტკბილიაო,
- თავის ეზოში ძაღლსაც დიდი გული აქვსო.
- თავის გაჭირვებისა ყველამ თვითონ უკეთ იცის.
- თავისივე ქონით თვალებსა სთხრიანო.
- თავისით არაფერი მოვა.
- თავის სიმჩატე ფეხების სიმძიმეა.
- თავის უბედური სტამბოლს გაჰყიდესო.
- თავი ფეხებს არაფერს ეკითხება.
- თავის ქება — თავის ტეხა.
- თავის ქება კიტრად ღირს, კიტრი კი — კაპიკადაო.
- თავის ქება კიტრად ღირს, სხვისი აუგი არც იმადაო.
- თავმომწონე კაცი თუ ქონებიდან დავარდა, მალეც მოკვდებაო.
- თავს ზევით ძალა არ არის.
- თავს იქეთ რად გინდა რამე.
- თავსიცილს კაცი არ მოუკლავს.
- თავში კაკუნი ვინ გიყო და ჩემმა ენამაო.
- თავჩაძვრენილი და კუდაბზეკილიო.
- თავწყალდასხმულსა თავს ლაფი ესხმოდაო.
- თათარმა თქვა: მძიმედ იყავ, წონაში მეტი მოხვალო.

✦ თათარმა თქვა: ცოლის ავადმყოფობას ჩემი ავადმყოფობა მირჩევნია და ჩემ სიკვდილს — ცოლის სიკვდილიო.

✦ თათარმა უთხრა თათარსა: შენც აღა დამიძახე, მეც აღას დაგიძახებ და ორივე აღა ვიქნებითო.

✦ თამაშობას ხერხი უნდა, თორემ დათვმაც იცის ძუნძულიო.

✦ თანხმობა კედელზე უმაგრესიაო.

✦ თაფლი თუ შეჭამა, ქოთანი ხომ ისევ არისო.

✦ თაფლი იყოს, თორემ ფუტკარი ბაღდადიდან მოფრინდებაო.

✦ თაფლი კარგია, მაგრამ ცოტა კუპრი ურევიაო.

✦ თაფლი კარგია, მაგრამ ძაღლის გუდაშია ნადებიო.

✦ თაფლი რომ წინ გედოს, თითი უნდა გაილოკოო.

✦ თაფლის მჭამელსა დათვსაო ბუზიც დაბზუის თავსაო.

✦ თბილა და ცივა — ორივე მტკივა.

✦ თევზი თავიდან აყროლდებაო.

✦ თევზი — მარხვაში, ცხენი — აღმართში.

✦ თევზის ნდომითა ბაყაყი არავის შეუჭამია.

✦ თევზი წყალში არ დაფასდებაო.

✦ თევზმა თევზს უთხრა: ცოტა იქით მიიწიეო; საით მივიწიო, ორივე ერთ ტაფაში ვიწვითო.

✦ თევზმა თქვა: სათქმელი ბარემ ბევრი მაქვს. მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო.

✦ თევზს ბოლოდან ვერ დაიჭერო.

✦ თებერვალში დღეს იმდენი ემატება, რასაც ბატკანი გადახტება.

✦ თეთრი თხა მყიდველს მსუქანი ეგონაო.

✦ თეთრი კბილი, შავი გული მტრისთვის არა მშურებია.

✦ თეთრი კბილი, შავი კბილი სიცილის დროს გამოჩნდება.

✦ თეთრი ცხვარი შიგნიდანაც თეთრი ეგონათო.

✦ თელას ტყავი როცა სძვრებოდეს, მაშინ გააძვრე.

✦ თვალებს შუა რომ ცხვირი არ იყოს, ისინიც ვერ მოშველდებიან.

✦ თვალი გულის სარკეაო.

✦ თვალი ვინ გამოგთხარა და სვინამაო — კიდევაც იმისთვის მოუთხრია ეგრე ღრმადაო.

✦ თვალი თვალის მტერია.

✦ თვალი თვალს რომ მოშორდება, გული გადასხვაფერდება.

✦ თვალით უსინათლო სჯობია თავით უგუნურსაო.

✦ თვალი რამ გამოგთხარა და ჩემმა სიკეთემაო.

✦ თვალი სარკეა კაცისა, შიგ ბევრი რამ ხატიაო.

✦ თვალი სვამს და თვალი სჭამს.

✦ თვალი შესჭამს ხილსაო.

✦ თვალი ცქერით არ გაძღება და გული ნდომით.

✦ თვალი ძვალს გაზომავს და ისე ჩაყლაპავს.

✦ თვალში რა გჩხვლეტავს და ჩემიევ წამწამიო.

✦ თვე არის — ერთ დღესა ჰკვებავს და დღე არის — ერთ თვესა ჰკვებავს.
✦ თვითონ არ იყო ძმარიო — შიგ შეურიეს წყალიო.
✦ თვითონ სახლში არ უშვებდნენ, ძაღლიც მოიყვანაო.
✦ თვითონ სჭრის და თვითონვე ჰკერავს.
✦ თივასთან ცეცხლი არ მიიტანებაო.
✦ თივაში ცეცხლი არ დაიმალებაო.
✦ თითის ტკივილს გული გრძნობს და გულის ტკივილს კი არავინ.
✦ თითო გობი ლაფი ყველგან დგასო, მაგრამ ჩემსას — ათგანაო.
✦ თითო კაცსა თითო რამის შნო აქვსო.
✦ თითო კვაწია ყოველ ოთახში სდუღს.
✦ თითო სახლში თითო კოკობი შეპამანდი სდგასო.
✦ თიკან, კრავი მარტისაო, ხბო სჯობს თებერვალისაო, თუ სადმე გაიზრდებოდეს ტახი იანვარისაო.
✦ თოვლი თეთრია, მაგრამ მის წასვლას ყველა ნატრობს.
✦ თოვლი თეთრია, მაგრამ სიცივე კი ძნელი სჭირს.
✦ თოვლი თეთრია, მაგრამ ჭირივით მოელის კაციო.
✦ თოვლი ძაღლების მაშიდაა.
✦ თოკი გრძელია კარგი, სიტყვა კი — მოკლე.
✦ თორმეტ კბილს რომ სიტყვა გამოსცილდება, თორმეტ მთას გადაივლის.
✦ თორნეს უთქვამს: ფიჩხი ბევრი ჩამაყარეო, რომ პური ბევრი ამოვყაროო.
✦ თორნისა პირსა მჯდომარე გაძღება პურის ცქერითა.
✦ თოფი — მეთოფეს და მეთოფე — სოფელს.
✦ თოფს მსროლელი უნდაო.
✦ თოხი მიწას არ დაშორდება.
✦ თუ არას ჩამახევ, არას ჩამაკერებო.
✦ თუ არ გვეყოფა — ჩვენ ვეყოფითო.
✦ თუ არ გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო.
✦ თუ არ იწვიმა, ხომ მაინც დაიქუხაო.
✦ თუ ბედი მწყალობს, არ ვნაღვლობ ბატონის ჩემის წყრომასა.
✦ თუ გინდ მომკალი ხორცითა, ოღონდ ნე წამწყმედ სულითა.
✦ თუ გინდ უკუღმა დაჯექი, ოღონდ სწორად კი თქვეო.
✦ თუ გინდოდეს თავის ჭირი, მოიყვანე ქალი ქვრივი.
✦ თუ გინდოდეს ჭირი, თვალში იყარი ჩხირი.
✦ თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო.
✦ თუ დამაცდი მახარა ვარ და თუ არა — მასხარაო.
✦ თუ ერთი არ მოკვდება, მეორეს ადგილი არ მიეცემაო.
✦ თუ ვალი არა გაქვს, სხვას თავდებად დაუდექიო.
✦ თუ ვერ იშოვნო ველურიო, შინ დაჰკალი ყვერულიო.
✦ თუ ზღვასა წყალი არ შესდის, იგიცა დაშრების ძირამდის.

✦ თუ თაკად ბოროტი არა ხარ, ბორიტისა ნუ გეშინიაო.
✦ თუ თავში ჭკუა არ გეყრება, ჭირი ჭირზე შეგეყრება.
✦ თუ თვალით ვერ დაინახო, ყურით გაგონილს ნუ დასდეკ.
✦ თუ თეალშა არა სჭამა, გული ვერა სჭამსო.
✦ თუ იყიდე, რაც არ გჭირია, მალე გაქყიდი, რაც გჭირია.
✦ თუ იყოს იყოსო, თუ არა და წყალმა რიყოსო.
✦ თუ კაი ცოლი გყავს, მეკორწილის სახლში რა გინდა?
✦ თუ კატა მკეირცხლია, არც თაგვია დონდლო.
✦ თუ კაცი არ გახლდეს, კერას გამოელაპარაკეო.
✦ თუ კაცმა არ გაიფხაკუნა, ისე ვერ იცხოვრებსო.
✦ თუ კაცსა კაცი არ უნდა, მიზეზი არ დაელევა.
✦ თუ კაცსა მტერი არა ჰყავს, მოყვარე დაუმტერდება.
✦ თუ კაცს ღმერთი სწყალობს — ეშმაკები ვერას დაკლებენო.
✦ თუ ლაშქრის შეკრება ვინდა, ბუკი უნდა დაუკრაო.
✦ თუ მარილი არა გქონდეს, მარილიანი სიტყვა უთხარ.
✦ თუ მასპინძელი არ ლხინობს, სტუმარსაც მოეწყინების.
✦ თუ მაღალი არ მოიდრიკა, დაბალი როგორ შესწვდესო.
✦ თუ მე არ ვიქნები — ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილაო.
✦ თუ მეზობელი კარგი გყავს, შენც კარგადა ხარო.
✦ თუ მეზობლის ამოგდება გინდა, ნურაფერს დაუკავებ და ის ეფლა-ოაფერს შეიძენს.
✦ თუ მეფეს სძინავს, ქვეყანა ვერ დაიძინებს შვებითა.
✦ თუ მოდავედ მოსამართლე გყავს, მაშინ შენი შემწე აღარც ღმერ-თიაო.
✦ თუ მტერი არა გყავდეს, ძმას გაეყარე და მტერს გაიჩენო.
✦ თუ მტერი გამექცეოდეს, ოქროს ხიდს ვასწავლიო.
✦ თუნდა მზეში სანთელი აგინთია,. თუნდა უგუნურისათვის კეთილი გითქვამს.
✦ თუნდ გახიე, თუნდ გაფხრიწე — ორივე ერთიაო.
✦ თუ ნიორი არ გიჭამია, პირი რად გიყარსო.
✦ თუ ორმა

— ღორმაც ییისო.
✦ თუ პატარა არ დაიბადა, დიდი საიდან იქნებაო.
✦ თურაშაულის პატრონი ტყეში ასკილს დაეძებდაო.
✦ თუ პილპილი არ გიჭამია, პირი რად გეწვის!
✦ თუ სარკე არა გაქვს, რომ ჩაიხედო, ქვეყანა ხომ სარკეაო.
✦ თუ სახლში უფროსი არა გყავს, დედაბოძს დაეკითხეო.
✦ თუ სიკეთე გაგირბის — დაეწიე, თუ სიავე მოგდევს — გვერდი აუქციე.
✦ თუ სურვილია, უნარიც გამოჩნდება.
✦ თუ ტყავს მაძრობ, ქონიც თან გაატანეო.
✦ თუ უწვავი არა ჰამე, შემწვარის გემოს ვერ დააფასებო.
✦ თუ ურემმა შეშა არ მოიტანოს, თვითონ გასწიოს შეშობა.

✦ თუ ფლავისა არა გრცხვენიან, ერბოსი მაინც უნდა გრცხვენოდეს.
✦ თუ ქერს დათესავ, ხორბალი არ ამოვაო.
✦ თუ ღარიბი არა ხარ, ღარიბი მეზობელი ხომ მაინც გყოლია.
✦ თუ შენა გაქვს ისარიო, მეც მიპყრია ფარიო.
✦ თუ შენი არაფერი იხარჯებოდეს, ლხინს ნურაფერი გირჩევნია.
✦ თუ შენი არ იცოდე, სხვას დაუჯერეო.
✦ თუ შენ ხარ ხერხში, არც მე ვარ ტყეში.
✦ თუ ცული სტყუის, ცულის ტარიცა სტყუის.
✦ თუ ცხვარს მეტს მოსწველ — ყველს ემატება თუ არა — ბატკანსო.
✦ თუ ძაღლის ლოცვა-ვედრება შეიწყალებოდეს, მაშინ ზეციდან ხორცი ჩამოვარდებაო.
✦ თუ წყალი არ მოგყვეს, შენ წყალს მიჰყევიო.
✦ თუ წყედიადი არ გინახავს, ფასს ვერ დასდებ სინათლესა.
✦ თუ ჭირისუფალი არ ტირის, მოტირალი ვირი აბუჩი მოვაგლახეო.
✦ თუ ჭკვიანი არ შეცდეს, რეგვენი კლდეზე გადავარდესო.
✦ თუ ჭორი არ არის, შორი არ არის.
✦ თხა ბოსტანს ხედავდა და ღობეს ვერაო.
✦ თხა გასუქდა და, ვაი, ერთი მგელს მაჭიდაო!
✦ თხა ვიყიდე. თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახე.
✦ თხა თავის თავის დარდში იყო, ყასაბი კიდევ ქონისაშიო.
✦ თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამაო.
✦ თხა თხას მისდევს, ცხვარი — ცხვარს.
✦ თხამ მღვდელობა მოინდომა, აქაო და გრძელი წვერები მაქვსო.
✦ თხამ სანეკრე ნახა და სახტომი არაო.
✦ თხას თხა ურჩევნია ათას სელ ცხვარსაო.
✦ თხას თხის ფეხით დაჰკიდებენ, ცხვარს ცხვრის ფეხითაო.
✦ თხას რომ წინ მგელი არ შეხვდეს, დაღესტანს გადავაო.
✦ თხას წინიდან მოერიდე, ცხენს უკანიდან და ავკაცს კი — ყოველ მხრიდანაო.
✦ თხის პატრონს თხის კუდიც აღარ ხედაო.
✦ თხელი ქალამნის პატრონმა გამძლეობა არა თქვასო.

ი

✦ იანვრის ქუსილი მარტში გამოჩნდებაო.
✦ იარაღი კაცს შვიდ წელიწადში ერთხელ დასჭირდებაო.
✦ იარაღიანს თუ უიარაღომ ხმარებამდის მოასწრო, მერე იარაღი ზარალიაო.
✦ იარე — მოგეწევიან, თავი ნუ გემარტება.

✦ იაფი ყველაზე ძვირად დაგიჯდებაო.
✦ იაფფასიან ხორცს წვენი არ გაუკეთდებაო.
✦ იაფფასიან ხორცს ძაღლი არ შეჭამსო.
✦ იაფფასისაო, წვენი ძაღლისაო.
✦ იესო ქრისტე საქმით იცენეს.
✦ იესო ქრისტე ცოფიან ძაღლს არ დაემალა და მთვრალ კაცს დაეგ-მალაო.
✦ იერუსალიმს ვირი თოფრით გაგზავნეს და ისევ თოფრით დაბ-რუნდაო.
✦ იერუსალიმს ნიორი გაგზავნეს, წმიდა ადგილია, სიწმიდეს მისცემსო, დაბრუნდა — ისევ ჰყარდაო.
✦ იერუსალიმში განა ძაღლი არა ჰყეფს?
✦ იერუსალიმში მიმავალს ნერც წასვლას ურჩევ და ნურც დარჩენას.
✦ ილაპარაკე დროზე, გაჩუმდი დროზე.
✦ იმერელს მჭადის სახელი დააგიწყდაო.
✦ იმერელს უთქვამს: სულსაც არავის დავუტერ, თუ ჩემსაკით გაუ-ფრთხილდებიანო.
✦ იმისი ცოცხალთ იციან — მკვდარს საით უზმენ თაესაო.
✦ იმისთანა სიტყვა თქვი, რომ ხვალ ამ სიტყვამ არ გაგაწითლოსთ.
✦ იმიტომ ვუხნავ ალოსა, ხარები გამოლალოსა.
✦ იმ მეზობლის ჭირიმე, რომელიც კვერცხზე მარილს მომიყრისო.
✦ იმნაირი ნადირი გამორბოდა, როგორიც ტყე იყო.
✦ ირემმა ირემს ბალახი მიაწოდა: ვიცი, არც შენ გაკლია, მაგრამ ერთ-მანეთის გულის მოგებაა.
✦ ირტავაზას ხუთი გლეხი, ოცდახუთი მოურავი.
✦ ისარი და პირის სიტყვა გატყორცნილი — არ დაბრუნდება.
✦ ისე არ დაცვდება სახნისი, რომ არ გამოვიდეს სადგისი.
✦ ისევ ის თომაა, ისევ ის ტყავი აცვიაო.
✦ ისევ ჩემმა ნახულმა მგელმა შემჭამოსო.
✦ ისევ წახვალ გუდამაყარს, მამა-პაპის ალაგასა.
✦ ისეთ ალაგს ნუ დაჯდები, რომ მალე აგაყენონ.
✦ ისეთ ალაგს ნუ შეხვალ, საიდანაც გამოგაგდებენ.
✦ ისეთია, რომ სამარეში სუდარას მოიპარავს.
✦ ისეთი მაღალი მთა არ მეგულება, რომელზედაც ოქროთი დატვირ-თული ვირი ვერ გადავიდესო.
✦ ისე არა წვიმს, როგორც ქუხს.
✦ ისეთი მაღალი ხე არსად მინახავს, რომელზედაც ფრინველი არ ჯდებოდეს.
✦ ისეთი სანაგვე არ ვარ, რომ არ დაგჭირდეო — უთქვამს სანეხვეს.
✦ ისეთი ტყუილი უნდა თქვა, ფეხები ჰქონდეს — დადგომაც შეეძლოს და გაქცევაც.
✦ ისეთი ხიდი გასდე, რომ შენმა შვილიშვილებმაც ზედ გაიარონო.

✦ ისეთმა მთამ მომწეა ფეხები, რომლისგანაც არ მოველოდი.
✦ ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ერთ ფილს ჩემზე მეტს იწკელიდესო.
✦ ისე მგელი არ მოკვდება, რომ თხის დასამარხი გახდეს.
✦ ის თვალი დადგეს, რამაც თვალმა ბეზი ბაღდადამდის ვერ დაიხახოსო.
✦ ის, რაც გულს ახარებს, ყურსაც ადვილად ესმის.
✦ ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.
✦ ის ქალაქი დაილოცოს, სადაც ძვირია, მაგრამ ყველაფერი იშოვებაო.
✦ ის ხუმრობა შევარცხვინე, რომელიც ნახევარი მართალი არ იქნებაო.
✦ იქაც ცეცხლში, აქაც ღველფში.
✦ იქითკენ უნდა ეცადო, საითაც წყალი დგებაო.
✦ იქცეოდეს — შეესიე, შენდებოდეს — შეეწიე.
✦ იღბალი აქვს დიალიპას, ყველა მისკენ მიტლინკავს.
✦ იყავ უგვარო, ოღონდ გვარიანი.
✦ იცის მხარჯველმა და არა მჭამელმა.
✦ იქეს ბევრი თვალი აქვსო.
✦ იხარე ჭერო, მოკვდი მტერო.

კ

✦ კაბდომ იცის სამართალი: მაღალ-დაბალს გაასწორებს.
✦ კაი ბიჭი შორიდან გაბედავსო.
✦ კაი გუთნისდედა გუთანს არ გაუჭირვებსო.
✦ კაი გუნებით ცოლ-ქმარი თოხის ტარზე დაეტევაო.
✦ კაი კაცი გლახა კაცთან წახდება.
✦ კაი კაცის ალერსი მუშკის ყნოსვას ჰგავს.
✦ კაი კაცის — ნაცოლარი, კაი ღვინის — ნაძირალი.
✦ კაი კაცის პურ-მარილი ზღვაზე ხიდად გაიდება.
✦ კაიკაცობა კაცს არ წაახდენსო.
✦ კაი მთქმელს კაი გამგონე უნდაო.
✦ კაი მოკრიეე გვიან გამოვაო.
✦ კაი მუშა და მძლე ხარი საღამო ხანს მოუმატებენო.
✦ კაი მშოვნელს კაი შემნახველმა აჯობაო.
✦ კაი პაპა იყავიო, კაი ჭამაც გიყავიო.
✦ კაისთვის კაი ვის უქნიაო.
✦ კაის მყიდველი ძვირადო მოგებულია ხშირადო.

✦ კაი ყანის მოზიარე ბოყვარეს სჯობიაო.
✦ კაი შეგირდი ოსტატის გულის ვარდია.
✦ კაი შვილი დედის გულის ვარდიაო.
✦ კაი ცხენი მათრახს არ დაიკრაესო.
✦ კაკაბმა თქვა. ოცდათოთხმეტი სიმღერა ვიცოდი, ასეთმა აღალმ-ჭამომიქროლა, რომ სულ დამავიწყაო
✦ კაკალი უნაპუპოდ არ იქნება.
✦ კაკანა კაკაბი მახეში ჩავარდებაო.
✦ კაუპით მოწეული საქმე არ გაკეთდებაო.
✦ კალთაში მიჯდე და წვერს მაგლეკდეო?
✦ კალმახს უთქვამს, წვიმის კამარა რომ არ შეწყდებოდეს, ზეცას ეალო.
✦ კამეჩი მოგაბარე, ამუშავე [illegible] ეკამეო: განა მისთვის მოგაბარე — ეაჭკალი და შეეკამეო.
✦ კამეჩი მყავდა ნიკორა, ვაქებდი — არა იყო რა.
✦ კამეჩის მოვიდავე ხარს რქები არ შერჩებაო.
✦ კამეჩმა თქვა: რაკი ბალახში ჭიანჭველა დაიმალება, გემოც წაუვალ.
✦ კამეჩმა თქვა: ქვეყნის დანგრევისა რომ არ მეშინოდეს, ისე გავიქ-რომ ფრინველიც ვერ დამეწევაო.
✦ კამეჩსა კალანჩხით ბზე ერას უზამს
✦ კანონი მეფეთ მეფეა.
✦ კანონი ყველასათვის კანონია.
✦ კანონვა იკანონოსო, ნდობამ კი ინატონოსო.
✦ კანონს პევრჯერ უკანონობა აფარებს თავს.
✦ კანთხელმა რა თქვა? — კანსქელზე მეტიო.
✦ კაპასმა ქალმა ძაღლი დაბა და თვითონ აყეფდაო.
✦ კაეის მჭამელი ქათამი თავს იღორებსო.
✦ კარგი ამხანაგობა კარგი ძმობის დარია.
✦ კარგი კარ. ამას ნუ იტყვი; თავს ნუ დაუწყებ ქებასა.
✦ კარგი მეზობელი ამომავალ მზეს სჯობიაო.
✦ კარგი მეზობელი მზის უწინარეს არის ადგანია.
✦ კარგი მეურმე ურემს ზამთარში გამოაწყობს, მარხილს კი ზაფხულში.
✦ კარგი ზოთამაშე კამეჩის ცოხნას აჭყვებაო.
✦ კარგი მწყემსი ახლოდან მოდენის ნახირს, ცუდი — შორიდან.
✦ კარგისა კარგი მოკედება, კარგიეე წამოიზრდება.
✦ კარგისა ყიდვა ძვირად სჯობს — ზედ გამოღება სარფისა.
✦ კარგისა ყმისა მცემელსა თეითონაც უნდა ჩაღარება.
✦ კარგის მქებნელი ავს გადაეყარაო.
✦ კარგი ქალის ქმარს საგზალი არ უნდა.
✦ კარგი ყმა ლაშქარს მოკედება სწორების ჯობინობაში, ვინკი კი [illegible] ბოლოში ქალების ლოდინობაში.
✦ კარგი შემნახავი სჯობია კარგ მომგებსაო.

✦ კარგი შვილისათვის სახლის აშენებაზე ნუ იზრუნებ. შვილს ნუ დაუქცევ.
✦ კარგი ჩვენც მოგვეწონება, ავი არც თავის დედასო.
✦ კარგი ცხენი ქერს მოიმატებს, ავი კი მათრახსო:
✦ კარგი ხარ, კარგო ყოფაო, კარგო ცხენო და ჩოხაო.
✦ კარგი ხარ, კარის მამელო, რომ არ გკამდეს ქათამიო.
✦ კარგი ჰქენი — ქვას დადეი, გაიარე — წინ დაგხვდება.
✦ კარგმა პურ-ღვინომ ამოღებული ხმალი ჩააგო.
✦ კარგმა ქალმა არცა ქნა და არც თქვაო.
✦ კარგმა ყოფამ ორად კი არ მაქცია, მაგრამ ორს კი დამაჯობინაო.
✦ კარგმა ძაღლმა ავ კაცს აჯობა.
✦ კარგ მთქმელს კარგი გამგონიც უნდა.
✦ კარგ მონადირეს იარაღი არ დაეეანგება.
✦ კარგ მოსაეალს კარგი გამრიგე უნდაო.
✦ კარგ საქონელს მუშტარი არ დაელევა.
✦ კარგს დამალავენ, ავს მალე იტყვიან.
✦ კარგს ეპრანეე, ავს ეჯღანე.
✦ კარგს კარგი არც კაცს შეხვდება, არც ქალსაო.
✦ კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო.
✦ კატამ შეჭამა ძეხვიო, ამოიკვეთა ფეხიო.
✦ კატას თევზი ეყვარს, მაგრამ ფეხის დასველება ეჯავრებაო.
✦ კატას ისე უნდა სცემო, რომ ხელები არ დაგაფხაჭნოსო.
✦ კატას უთხრეს: შენი ცერცელი წამალიაო და იმან ამოთხარა მიწა და შიგ ჩაფლაო.
✦ კატას ფილტვი ესროლეს. იმასაც ის უნდოდაო.
✦ კატას ძეხვი თავში ჩაჰკრეს და — ღმერთმა მაგისთანა მეხი ნუ დაგაგდოსო.
✦ კატაც შეხედავს მეფესაო.
✦ კატისათვის თამაშობა — თაგვისათვის სულთაბრძოლა.
✦ კატის მანძილი საბძლამდისო.
✦ კაცად ის ჩამიგდია, ვისაც ჩემი ქმარისა არ ეშინიაო.
✦ კაცია — ათასად ღირს, ასია — კაცად არ ფასობს.
✦ კაცია — მე ვწუნობ, კაცია — მე მწუნობს.
✦ კაცი არ ვარგა სოფელში უმამულო და ეული.
სხვები შრომობენ, მხნეობენ, ის ეულ-მღვრეული.
✦ კაცი გაზომე გაჭირვებაშიო.
✦ კაცი გულითა ხარობს, ხე კი ძირითაო.
✦ კაცი დათვსა ხედავდა და მის კვალს ეკებდაო.
✦ კაცი ვერ შესწვდა ცხენსაო, უნაგირს მისდგა, სტეხსაო.
✦ კაცი ზღვას ვადაეარჩა და ცეარმა დაღრჩო.
✦ კაცი თავის ენითა პატივს კიდევაც დაიყრის და კიდევაც აიყრისო
✦ კაცი თავის ეარსკელავს ბოლომდის უნდა მიჰყვეს.

✦ კაცი თავის თვალში ძელს კეო ხედავს. სხვის თვალში კი ბეწვსაც დაინახავს.
✦ კაცი თუ გონიერია, სოფელი ღონიერია.
✦ კაცი იცნობა გასაჭირში და ღვინოში.
✦ კაცი იხრჩობოდაო და ხავსს ეკიდებოდაო.
✦ კაცი კაცითაო — ღობე ქაცვითაო.
✦ კაცი კაცით ცოცხლობს.
✦ კაცი კაცის მტერია, ძაღლი კი ერთგულია.
✦ კაცი კაცის წამალია.
✦ კაცი კაცს მიატანს, ნადირი ტყესაო.
✦ კაცი მალე აშენდება, მალე დაიქცევაო.
✦ კაცი მგზავრობაში გაიცნობა, ამხანაგი საქმეში და ცხენი ხედნაში.
✦ კაცი ნუ მოკვდება, თორემ თუნდ სანაგვეზე გადააგდონო.
✦ კაცი რაზე გამოიცდება და ყველაფერზეო.
✦ კაცი როცა გამდიდრდება, თავში ჭკუა გამოუვა,
ზოგი ძილად გადიქცევა, ზოგსაც ძილი არ მოუვა.
✦ კაცი რომ გამდიდრდება, სახლის კედლები მრუდედ მოეჩვენებაო.
✦ კაცი რომ გაღარიბდება, ძველ თამასუქებს გამოუდგებაო.
✦ კაცი რომ გაჭირვებას ვერა გრძნობს, თავი ბედნიერი ჰგონიაო.
✦ კაცი რომ ბერდება, მშვილდ-ისარი უნდა დასდოს.
✦ კაცი რომ დაითვრებაო, ორი კაცის ტოლა გაიზრდებაო.
✦ კაცი რომ თავს სიავეს უზამს, იმოდენას შვიდი ეშმაკიც ვერ უზამსო.
✦ კაცი რომ ჭკვიანს დაუჯერებს, იმას სულელი არ ეთქმებაო.
✦ კაცი რომ სიტყვას ღეჭვას დაუწყებს, მას არ დაეჯერებაო.
✦ კაცი სანამ არ მოკვდება, მისი საქმე არ გამოჩნდებაო.
✦ კაცისათვის ყველაზე ძნელი თავისი თავის ცნობა არისო.
✦ კაცის ამბავი თუ მართალი არ იცოდე, ნურც აქებ და ნურც აგინებო.
✦ კაცის აშენებული სახლი ქალმა დააქცია, ქალისა კი ვერც ეშმაკმაო.
✦ კაცი საცხონებლად წავიდა და წაწყმედილი მოვიდაო.
✦ კაცის გამოცდა თუ გინდა, ბოლოკი დაარიგებინეო.
✦ კაცის გვარი ფუჭია, თუ არა აქეს ნიჭია.
✦ კაცის გული არ გაძღება, გინდ ჰქონდეს და გინდა არა.
✦ კაცის გული — ვით ჯურღმული.
✦ კაცის გული შუშა არის, თუ ერთი გაიბზარა, აღარ გამრთელდებაო.
✦ კაცის გულს ცოტა ეწყინება, ცოტა გაუხარდებაო.
✦ კაცის დაქცევა თუ არ გინდოდეს, ყოველ დღეს ცეცხლს ნუ მისცემო.
✦ კაცის დაქცევა თუ გინდოდეს, ნურაფერს ნუ დაუკავებო.
✦ კაცის თვალი ხარბიაო.
✦ კაცის თვალს შავი მიწის მეტი ვერა გააძღობს რა.
✦ კაცის მტრობა რომ გინდოდეს, ნათლიად გაიხადეო.

✦ კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს, განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს.

✦ კაცი ფულში გამოსცადე.

✦ კაცი ჩამოსახრჩობად მიჰყავდათ და ცოლი ეუბნებოდა: დაიცა, წითელი ქოშები მიყიდეო.

✦ კაცი ცოცხალს იმღურებდაო, მკვდარს იმადლიერებდაო.

✦ კაცი ცხენზე იჯდა და ცხენს დაეძებდაო.

✦ კაცი ცხენს ვერ მოერია და ლაგამ-უნაგირი დაამტვრიაო.

✦ კაცი წყალს მიჰქონდაო, გზაც იქით ჰქონდაო.

✦ კაცმა კაცის დარდი არ იცოდა და შუაღამისას ნანას ეუბნებოდაო.

✦ კაცმა კაცს ვენახი აჩუქა და იმან კი ყურძენიც აღარ აჭამაო.

✦ კაცმა თავისი საქონელი ქურდს მიაბარა, უკეთ შეინახავსო.

✦ კაცმა თქვა: ამ ჩემი სულისა ვერა გამიგია რა, ცივს ათბობს და ცხილს აცივებსო.

✦ კაცმა კაცისა თქვას და საქმემ ორივესიო.

✦ კაცმა რამდენი რამეც იცი, იმდენი რამე ხარო.

✦ კაცმა რომ თავის გარდასავალი იცოდეს, შინიდან არ გამოვაო.

✦ კაცმა რომ კაცი გაიცნოს, მასთან ცხრა ლიტრა მარილი უნდა შეგამოსო.

✦ კაცმა რომ სულ ერთ ხეს შებღავლოს, ისიც გახმებაო.

✦ კაცმა ჩიტს თოფი დააცილა და თქვა: ჩემი ხელიდან ხომ მკვდარიაო.

✦ კაცმა ჭირი მალა, მალა, ჭირმა თავი არ დამალა.

✦ კაცმა ხელეჩო დაჰკარგა და იმას დარდობდა: ნეტავი გარეთა ჩიბიდან არ გალესონო.

✦ კაცო, შენი ნახერხი შენვე დაგეყრება თავსო.

✦ კაცს თავსა ჰკვეთდნენ და მუწუკი არ მატკინოთო.

✦ კაცსა ფიცნი გამოსცდიან.

✦ კაცსა ჰკითხეს: ცოლი გყავს? კი მყავს მავრამ გაღმა კაცსა ჰყავსო.

✦ კაცს ბეჭებში სცემდნენ და ის იძახოდა: „ვაიმე, მუცელიო“.

✦ კაცს გამოულოცეს და უარესი ქნაო.

✦ კაცს გაცრილ ფქვილს ნუ აჩვენებ და გაწეწილ მატყლს — ბევრი ეგონებაო.

✦ კაცს თავისი ბრალი ზურგზე ჰკიდია და სხვისი ცხვირზე.

✦ კაცს თავისი სახელი დაავიწყდაო.

✦ კაცს კაცის ჭკუა არ მოსწონსო.

✦ კაცს კაცობა უნდა, თორემ ულვაში კატასაც კი აქვსო.

✦ კაცს მამა დავიწყებოდა და მამინაცვალს იფიცავდაო.

✦ კაცს ნიადაგ ქორწილი მობეზრდებაო.

✦ კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი საიქიოსათვის და ერთი საჩქაოს დასარჩენადო.

✦ კაცს ორი სიკვდილი მოუვა — ერთი დაასვენებს, ერთი ააშენებს.

✦ კაცს რისგანაც სცხვენია, იმისაგანაც დნებაო.

✦ კაცს სახლი ეწვოდა და ხელს ვერ ითბობდაო.
✦ კაცს სწველა სიბერემდის არ მოსპარბდებაო.
✦ კაცს შინ ოქრო სათხრელი ჰქონდა, გარეთ მიეშურებოდაო.
✦ კაცს ცოტა მოაკლდება, ცოტა მოემატებაო.
✦ კაცს ცული გადაუვარდა წყალში და წალდიც თან გააყოლაო.
✦ კაცს ცხენი არა ჰყავდა, უნაგირს ნატრობდაო.
✦ კახამბალი კენწეროში გამწარდება.
✦ კახპას კახპობა არ გაუვიდა და მაჭანკლობას მიჰყო ხელი.
✦ კბენია უკან დაედევნება, მღრინავი წინ დაუხვდებაო.
✦ კბილი ენის კლიტეაო.
✦ კბილი კარგია, მაგრამ როცა გაამწარებს, მოიცლეჯენ და გადააგდებენო.
✦ კბილი კბილს შეხვდა და კუპმა კარი გააღო.
✦ კბილი მქონდა, თხილი არა, თხილი მაქვს და კბილი არა.
✦ კბილის ნაჩხრეკით კაცი ვერ გაძღებაო.
✦ კედელ-კედელ იარეო — ოღონდ გამოიარეო
✦ კედელს ცერცვი შეაყარე და მგელს კრავი შეაბრალეო.
✦ კეთილი ცოლი სახლსა ხვეპს, ბოროტი, მრუში ანგრევსო.
✦ კეთილსა ვიზამ მაშინ, როცა კეთილი მადგია.
✦ კვალი ვნახე, ცხენი ვერა
✦ კვერნა სანადიროდ წავიდა და ტყავიც იქ დატოვაო.
✦ კვერნასაც თავისი ტყავი სჯის.
✦ კვერცხის გემო თავის წონა მარილითაო.
✦ კვირის ნამეშვეარი — ორშაბათს მომცდარიაო.
✦ კვირინჩხს რომ ეკალი არ ესხას, მას ფეხსაც დაადგამენო.
✦ კვიცი გვარზე ხტისო.
✦ კვიცი ყიდე, დედა იკითხე.
✦ კვიცი რომ დედის წინ წავა, მგელი შეჭამს.
✦ კვიცი რომ კაცს ეზრდებოდეს, ცხენი არ დაეკავებაო.
✦ კვიცს გავბედნი, მამიდასაც ვნახავო.
✦ კვიცს რომ დაინახავს, მგელი ზეციდან ვარსკვლავებს ჩამოჰყვებაო.
✦ კიდობანი რომ პურით სავსე იყოს და კოკა წყლით, ობოლს მაინც შია და სწყურიაო.
✦ კითხვა კითხვითა კაცი იერუსალიმს მივალ.
✦ კისერი იყოს, თორემ ულელი მოიწახებაო.
✦ კისრამდე წყალში ვარ. წყალი მწყურიაო.
✦ კი ხარ ბორო, კი ეძევს თოვლიო.
✦ კლდესაც გაარღვევს წყლის წვეთი, თუ ერთ ადგილას სცემს მაგრად.
✦ კოდალავ, შენ სულ აგრე აკაკუნებ, მაგრამ შენი გაკეთებული ხარატულები ვერა ვნახეო.
✦ კოკამ თქვა: ცხენზე არასოდეს შევმჯდარვარ, მაგრამ ფეხით არ გამიელია.

✦ კოკა მუდამ წკალს არ მოიტანსო.
✦ კოკამ წყალი დაღვარა და პატარა ლიტრა დატეკესესო.
✦ კოკა წყალზე ვატყდებაო.
✦ კოვზის მრეველსაო კოვზი კვაპანტიო.
✦ კომბლეს ეირი არა ჰყავდა. იყიდა და იყოლიაო.
✦ კორკოტი ევამე ასლისა, დრო არის ჩემი წასვლისა.
✦ კოღოსაც თაეისი მუცელი აბზუვლებსო.
✦ კოღოსაც შეუძლია ზარალიო.
✦ კოღოც წააქცევს ბგელს, თუ ლომი მიეხმარება.
✦ კოკლი კაცის გზა მოკლეა.
✦ კოკლი ქოთანსა ლოკდაო, ეაღაბრუნდა და მოკვდაო.
✦ კრაკის თავს მოველოდი და ძაღლის თაეი გამოგორდაო,
✦ კრუსუნა დედაბერმა ქვეყანა ამოიქამაო.
✦ კედა კამეჩი გავყიდე ქებითა და დიდებითა, შევბედე. უკან მო-ჰყავდათ ლანძღვითა და გინებითა.
✦ კუდა ხარი თაეისთვის არ იყო, სხვებს ბუზებს უგერიებდაო.
✦ კუდა ხარის საეევარი წკნელს ვერ დასწყვეტს რცხილისასა.
✦ კუდა ხარმა რომ საეევარი მოგიბრუნოს, ისიც კარგიაო.
✦ კუზიანს სამარე გასწორებს და ზოგჯერ ისიც ვერაო.
✦ კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო.
✦ კურდღელი დაამწყვდიეს და ურმის თვალი მიაფარეს.
✦ კერდღელი პატარაა, მაგრამ გაქცევა დიდი იცისო.
✦ კურდღელი რომ გამოჩნდება, მწევარს ძილი მოუნდება,
✦ კურდღელი სწრაფია, მაგრამ ექვსი შაური ღირს.
✦ კურდღელმა თქვა: ბინა მქონდეს. თორემ საძოვარს, რამდენსაც მინდა, ვიშოვიო.
✦ კურდღელმა თქვა: სანამ წამომახტუნებდნენ, მანამ უფრო მეშინო-დაო.
✦ კურდღელმა რაც იძინა, ის იხტუნაო.
✦ კურდღელს მელიის ეშინია, ბაყაყებს კი კურდღლისაო.
✦ კურდღელს სანამ დაიჭერდნენ, შიშმა უფრო დალიაო.
✦ კურდღელს შამფურს უყრიდნენ და იმას ხუმრობა ეგონაო.
✦ კურდღლის კვალი დათვთანაც მიგიყვანსო.
✦ კურტანი კურტანზე არ დაალაგო, ისე არ გაიმოხვიდეო.
✦ კუს რომ ბაკანი გაუტეხო, ჭირადაც ეყოფა და ლხინადაცაო.
✦ კუს რომ ჯოჯო არ აკიდებოდა, იქნება ჩანჩალი მაინც ესწავლაო.
✦ კუკი სჯის და კუკი ფიქრობს.
✦ კუკი ძმაზე ახლოაო.
✦ კუხე ხილს ნუ მოწყვეტ: დამწიფდება, თვითონ ჩამოვარდებაო.

ლ

- ლამაზი ცოლის პატრონსა უნდა ჰყავდეს ძაღლი ფრთხილი.
- ლამაზი ქალის მწყემსი მისი სინიდისიაო.
- ლამაზი ქალი ცოლად შეირთე — წყალში გადავარდი.
- ლაპარაკი არ გაგაძღებს.
- ლაპარაკი — ლაპარაკსა, ცხენი გაჰყვა ამხანაგსა.
- ლარი გაიტანს კედელსო.
- ლარი რამდენიც მალე გაიჭიმება, იმდენიც მალე გაწყდებაო.
- ლაფში მწოლავ მცოხნავ კამეჩს გული ერჩის, კლდეს შეანგრევს.
- ლეჩაქის მქსოველს გოდრის დაწვნა უკვირდაო.
- ლეჩხუმურ ლობიოს ლეჩხუმურივე წყალი მოხარშავსო.
- ლიტრას ეუბნებოდნენ, კოკავ, შენ გესმოდესო.
- ლოთი კაცის ბედი დღეში სამჯერ გაიხსნებაო.
- ლოკოკინას თავისი ხოკერა ემძიმებოდა და ისიც თავზე დაამტვრიესო.
- ლომი დაბერდა და ვირმა წიხლი ჩაკრაო.
- ლომს ბრჭყალებით იცნობენ.
- ლომს ხერხით კოლოც მოერია.
- ლოქო დასაჯეს და მორევში გადააგდესო.
- ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს.
- ლუკმა მაშინაა ტკბილი, როცა კაი კაცობითაა ნაშოვნი.
- ლუკმის დაკლება სჯობია, ჯერის დაკლებასო.
- ლხინში ნაბიჯით წადი, ჭირში სირბილითაო.

მ

- მადა ჭამის დროს მოდის.
- მადლი მატლად იქცა.
- მადლი ჰქენი, მარილიც მოაყარეო.
- მაზავებელს მეტი-მოხვდება.
- მაინც არა ხარ, წისქვილო, არაგვიც ჩამოგდიოდესო.
- მაინც ვკვდები და შენი ჭირიც მეო.
- მაისის წვიმა ოქროა, ივნისის — ვერცხლი, ივლისის — ცეცხლიო.
- მამალი რომ უდროო დროს ყივილს დაიწყებს, თავს მოჭრიან.
- მამალი რომ ფრთას შემოკრავს, იცოდე, რომ დაიყივლებსო.
- მამლის ყივილით და ძაღლის ყეფით ქვეყანა არ აშენდებაო.
- მამლის ყივილი ხიდან მცნებად არ მიიჩნევაო.

✦ მამალ'ია თქვა: მე კი ვიყიელებ და გათენდება თუ არა. ფმერთმა იცისო.

✦ მამას გაუარაო, მამობილს მიეფერაო.

✦ მამის სული გაუშვა — მამინაცვალს ფიცულობდა.

✦ მამიჩემის მკვლელი არ ცხონდება, მაგრამ მამაჩემი კი აღარ გ-ოცხლდებაო.

✦ მამულმორეულს მტერმორეული სჯობიანო.

✦ მამციას მიმცია უნდაო.

✦ მანამ კაცი არ დამიმეგობრდა, სანამ არ ვცემეო.

✦ მანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მომჭრაო.

✦ მანუჩარი არ უჩქარის.

✦ მართლის მთქმელსა სცემესო.

✦ მართალსა და ტყუილს შუა ერთი ხელის დადებაა.

✦ მართალში რას იძლევი, ტყუილი რომ გითხრაო.

✦ მართლის მთქმელ მტრედს ნისკარტი დასჭრესო.

✦ მართლის მთქმელს ბევრი მოძულე ჰყავსო.

✦ მარტი იცინოდეს, კაცი ტიროდესო.

✦ მარტი მოიტირებოდეს, კაცი მოიცინებოდეს.

✦ მარტი პატარძალი არის: დღეში სამჯერ მოირთობა და სამჯერ მოიღუშება.

✦ მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აგინებო.

✦ მარტო შემოსაევალი კაცს არ გაამდიდრებს, თუ დაზოგვამაც ხელი არ შეუწყო.

✦ მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ბრალიაო.

✦ მარწყვი მპირდება გასუქებასა, გული არ ამბობს ასრულებასა.

✦ მარხვა ვჭამო დოსთვისაო, ქურდობა ვქნა ხბოსთვინაო?

✦ მარხვის ჭამა დამეწამა, ნეტავ რამე მეჭამა.

✦ მარჯვე კაცისათვის სასჯელი უსაქმობა არისო.

✦ მარჯვე კურდღელი თავისთვისაც იშოვის და სხვისთვისაც.

✦ მარჯვენა ხელი მარცხენას არ უნდა ენდობოდესო.

✦ მარჯვენა ხელი მარცხენა ხელის ამარად ღმერთმა ნუ დასტოვოსო.

✦ მაღლა ბავშვი ავწიე და თავში ჩამკრაო.

✦ მაღლა ცას ატყუებს, ძირს დედამიწას.

✦ მაღალი ხე მისი ჩრდილით გაიზომებაო.

✦ მაშინ დამძახე, გუგულო, ყანა რომ დავაგუგუნო.

✦ მაშენებელი წაწყდესო.

✦ მაძღარი მოლა მშიერ მგელზე უარესიაო.

✦ მაძღარი მშიერს წვრილად უფშვნიდა, თანაც დასძახოდა, ცოტა სჭამეო.

✦ მაძღარ მღვდელს მშიერი დიაკონიც მაძღარი ეგონაო.

✦ მაძღარს მშიერი მაძღარი ეგონაო.

✦ პაწაწკალა ტურა სჯობია მწოლიარე მგელსაო.
✦ მახათით ზღვას ვერ გაათბობ.
✦ ძახე მაშინ ვასხლტებაო, ქუდი რომ ყალუზე დადგებაო.
✦ მგელი არ მოშლის მგლობასო, კაი ყმა მამაცობასო.
✦ მგელი და მწყემსად — სად არის წესად?
✦ მგელი დანარჩენს ჩიოდა. პატრონი წანაღებსაო.
✦ მგელი ისე არ მოკვდება, რომ ოხის დასამარხი გახდესო.
✦ მგელი იჭერს, მგელსაც იჭერენ.
✦ მგელი ყედებოდა და ცხვარი კი ყუნტრუშის გუნებაზე იყო.
✦ მგელი რომ დაბერდება, ძაღლები ხუმრობას დაუწყებენ.
✦ მგელი რომ დაბერდება, ძაღლების სათრევი გახდებაო.
✦ მგელი ცხვარს სამი წელიწადი უკან დასდევდაო — იქნებ დეგა ეკარდესო.
✦ მგელი ცხვარში შევარდა და ვაი ერთის პატრონსაო.
✦ მგელი ძვალს არ გადაყლაპავს, ყორეის იმედი რომ არ ჰქონდეს.
✦ მგელმა თქვა: ეს ოხერი და ეს ტიალი, ჩემს სოროშიც ვერა ვთქვა რაო?
✦ მგელმა თქვა: ორმოში ვიყავი და ვინ ძვალს მიგდებდა და ვინ რჩილს, ყველა მახსოვსო.
✦ მგელმა თქვა: ჩემს დამჭერ ძაღლს ერთი შეხედვით ვიცნობო.
✦ მგელმა კბენა არ იცოდა, ადამიანმა ასწავლაო.
✦ მგელმა რაც მელიას თავზე დაცემით უყო, ის მელიამ მიპარვით გადაუხადაო.
✦ მგელმა რომ ძაღლსავით იცოდეს სუნი, ქვეყანას ამოაგდებდაო.
✦ მგელმა უთხრა ძაღლს: საქმე ის კი არ არის, რომ მივრბივარ და მომდევო. საქმე ის არის, მოვბრუნდე და დადგეო.
✦ მგელმაც კი იცის ამანათის შენახვაო.
✦ მგელო, ჭკუას მოდიო — სათხებოში შევხტეო?
✦ მგელს თავისი ფეხები აქმევენ პურსაო.
✦ მგელს მგელობა დაუვარდა, ტურამ ქვეყანა დააქციაო.
✦ მგელს მგლურად დაუხვდი და მელას მელურადაო.
✦ მგელს რა ენაღვლება, თუ ცხენი ძვირადა ღირსო.
✦ მგელს რომ შვიდი ტყავი გააძრო, მაინც მგელი დარჩებაო.
✦ მგელს ძვალი აღრჩობს, შურიანს — შური.
✦ მგზავრი კაცი ნაშუადღევს ბინას უნდა ეძებდესო.
✦ მგზავრს ჰკითხეს: რა მომიტანეო და შენ რაღა გამატანეო.
✦ მგლებში მაცხოვრებელმა უნდა ღმუილი იცოდესო.
✦ მგლისაგან მწყემსი არ გამოვა და ქურდისაგან წმიდანიო.
✦ მგლის დაკბენილსაც მოუვა ძილი, მშიერ კაცს კი არა.
✦ მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და ის კი გაიძახოდა: გამიშვით, ცხვარმა სერი გადაიარაო.
✦ მგლისთვის ცხვარი ვისაც მიუბარებია, მთელი ველარ მიუღია.

✦ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია.
✦ მგლის წყალობითა მელა რჩებოდაო.
✦ მგორაე ქვას ხაესი არ მოეკიდებაო.
✦ მდიდარი თავის წუწუნით საწყალ კაცს თავის სიღარიბეს დაავიწყებსო.
✦ მდიდარი კაცის მამალიც კი კეერცხებს დასდებსო.
✦ მდიდარი მკედარსა სტიროდა, ღარიბი ხარჯსა სჩიოდაო.
✦ მდიდრის ურემი მთას გადიელის და ღარიბის სწორე გზასაც შეშლისო.
✦ მდიდარი ღარიბს პერანგს აძრობდაო.
✦ მდიდრისას კატას სტიროდენ და ღარიბისას კაცსაც არაო.
✦ მდიდარს ერთი ეხარჯება, ღარიბს ორიო.
✦ მდიდარს უთხრეს — მშვიდობაში! ღარიბს ჰკითხეს — ვინ მოგცაო.
✦ მე ალალს ვიძახდი, სხვები მწყერს იჭერდენო.
✦ მე დაუკარ — შენ გიამა, შენ დაუკარ — მე მიამა.
✦ მედღეხვალიეს ხან უთოვს, ხან უწვიმსო.
✦ მე ვწუხვარ და ის კი ოდელიას იძახისო
✦ მეზობელთან ჭირიც ლხინიაო.
✦ მეზობელი მეზობლის სარკეაო.
✦ მეზობელი მეზობლის მიჭვრიტინაა.
✦ მეზობლები რამ გადაჰკიდა და კატამა და ლეკემაო.
✦ მეზობელი რომ მარილიანი გუაკდეს, შენ მარილს უნდა უნაყავდეო.
✦ მეზობელმა რომ შემოგაფურთხოს, თუ შენც არ შეაფურთხე, უპირო ეგონებიო.
✦ მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო.
✦ მეზობელს თუ რამე აქვს, შენ შენი შეგრჩებაო.
✦ მეზობელს თუ რამე აქვს — შენცა გაქვს.
✦ მეზობელს მეზობლის მკვდარი მძინარე ეგონა.
✦ მეზობელს მუცელი რომ სტკიოდეს, შენ მუცელზე ხელს უნდა უსვამდე.
✦ მეზობლის გამოჯავრებულმა ცოლსა სცემაო.
✦ მეზობლის ტირილი მეზობელს ქორწილი ეგონაო.
✦ მეზობელს ხარი უქადე, ღმერთი შენ მოგცემსო.
✦ მეკვამური ისე არ ვარგა, თუ კვამლი არ ამოდისო.
✦ მე კი არ მიერბივარ, გასაჭირი მიმარბენინებსო.
✦ მე კი გეტყვი და შენ, გინდა ყინულზე დაიწერეო.
✦ მე კი დავაყრი და გინდა ზედა წისქვილმა დაფქვას, გინდა ქვედამაო.
✦ მეკურტნეობაც კი სჯობია ავის ქუდისა მკერავსა.
✦ მელა დაინახო, თოფი გაარტყი, დაიჭირო და ტყავი გააძრეო.
✦ მელა კვდებოდა და თავი საქათმეში მიჰქონდაო.

✦ მელა მახეში გაება და თავი მოიმძინარა, ეგების სიზმარი იყოსო.
✦ მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო.
✦ მელამ თქვა: ზღვას მუგუზალს შევუჩიჩხინებ და თუ ვერ დავაშრობ, ხომ დავაშიშხინებო.
✦ მელამ თქვა: მე და მგელმა აქლემი მოვკალითო.
✦ მელამ მგელს წასძახა: ჰაი, შე უმი ხორცის ჭამიაო.
✦ მელა საქათმის კარზე მოკვდებაო.
✦ მელას თავის მაღრჩობელა უყვარდაო.
✦ მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო.
✦ მელა სოროში ვერ ეტეოდა, კუდზე ეკალს იბამდაო.
✦ მელია სადაც წავა, კუდიც იქ გაჰყვებაო.
✦ მელიას რომ აწყენიო, დათვის წყენინება გამოვაო.
✦ მელიას ურმით უკან არ სდევენო.
✦ მელიას ძილშიც ქათამი ახსოვსო.
✦ მელოგინე ქალს რომ მოშივდეს, ცხრა სოფელი დაიმშევაო.
✦ მელოტსა სცივაო და ხახამს წვერი სცვივაო.
✦ მე მაწონს ვეუბნებოდი, ის დოს მოაჭყამპალებსო.
✦ მენავემ თუ წყლის სიღრმე არ იცის, ნავს ქვეშიდან მოექცევაო.
✦ მენახირემ ნახირი გაუშვა, მაგრამ პატრონმა კი არაო.
✦ მერიქიფეს თავი თამადა ეგონაო.
✦ მე რომ გაქცეული კურდღელი მინახავს, მისი ხორცი ღმერთმა ნუ მაჭამოსო.
✦ მე რომ კურდღლობა მომინდება, ჩემს მწევარს სახლში ჯდომა მოუნდებაო.
✦ მე რომ მენახირედ დავდექ, ფამფარა მაშინ გაწყდაო.
✦ მესტვირის ცოლსა ჰკითხეს: თამაშობა თუ იცი, და მეტი რა მასწავლა ჩემმა ქმარმაო.
✦ მეტი სიტყვა თავს ატკენს, მეტი ჭამა — კუჭსა.
✦ მეტისმეტი — თავში რეტი.
✦ მეტისმეტის მაძიებელი მოკვდა გაუხარებელი.
✦ მეტისმეტი ჰოიში ხარს. უკუღმა წაიყვანსო.
✦ მეტისმეტმა სიმართლემ გამიყენა სინათლე.
✦ მეტისმეტმა სიწმინდემ ტრაპეზს იქით გადამაგდო.
✦ მეტიჩარა მაყარი მეფე-დედოფალს წინ უსწრებდაო.
✦ მეფე გაგიწყრეს — თემს შეეხვეწე,
თემი გაგიწყრეს — გადაიხვეწე.
✦ მექებოდეო — არას მერგებოდეო.
✦ მექოთნეს საითაც უნდა, იქით გაუკეთებს ყურს ქოთანსო.
✦ მე შენსკენაო, შენ ეშმაკისკენაო.
✦ მეშურნეთა თვალი — ცეცხლის მინათვალი.
✦ მეძახიან მელქოსაო, დაე, ასე მერქოსაო.
✦ მეძებრის შვილს დაგეშა არ უნდაო.

✦ მეძებრობა ყველა ძაღლს შეუძლია, მაგრამ ზოგს კუდის ქიცინი ეზარებაო.
✦ მეწუნიას მოკლება უნდაო.
✦ მეხსიერება და ოქრო ერთნაირად ფასობენო.
✦ მთა და ბარი არავის გაუსწორებიაო.
✦ მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს შეეყრებაო.
✦ მთა მთას ეცა და მეც აქ დაგხვდიო.
✦ მთელ დღესა მოქეიფესა არა დარჩა რა ეახშმადაო.
✦ მთელი ეს ქვეყანა სესხი და ვალიაო.
✦ მთვარე თუ ჩემკენ არის, ვარსკვლავებს რას შევეპუები.
✦ მთის ჩიტი მთას შეაკვდა.
✦ მთისა მეცხვარესა ჰკითხე, ბარისა — გუთნისდედასაო.
✦ მზე რომ ამოვა, ყველა კაცისას მივაო.
✦ მზეს ვინც ტალახს ესვრის, თავზე დაეცემაო.
✦ მიანებეთ მკვდარი, დამარხონ მომტირალთაო.
✦ მიდის-მოდის გაბრიელი, კაცი არ ჰყავს მადლიერი.
✦ მიდის-მოდის ტარიელი, მუცელი აქვს ცარიელი.
✦ მიეცეს და მიემატოსო.
✦ მიზეზ-მიზეზ — დოს მარილი აკლიაო.
✦ მიზეზ-მიზეზ — მარილს მატლი გაუჩნდაო.
✦ მიმინო რომ გაძღებაო, ხელზე აღარ დადგებაო.
✦ მიმინოს მაგივრობას ტურა ვერ გასწევს.
✦ მისთვის დაძრწის ცხვართან მგელი, მეცხვარეს არ დაეძინოს.
✦ მიცვალებული თავისით არ წავა საფლავზე.
✦ მიძალებული ლუკმა ძაღლმა არ ჩაყლაპაო.
✦ მიწა გრილია, მკვდარს მიიბარებს და გულს გააგრილებს.
✦ მიწა მოხან ნაგზაური, ყანა მოვა აზნაური.
✦ მიწამ ყანა გაგიკეთოს — ნუ ჩამოეკიდები, მოგიცდინოს და ნუ შეიმოსწყურებიო.
✦ მიწას მიწა დააყარე, პატივად დაედებაო.
✦ მიწისთვის ბეწვიც კი დასანანიაო.
✦ მიქიას მოქია უნდაო.
✦ მიხვდა მხარჯველი და ვერა მჭამელიო.
✦ მკაზე გარიგებას ხვნაზე გარიგება სჯობიაო.
✦ მკბენარს ძაღლს პურს მიუგდებენ.
✦ მკვდარ ლომს ცოცხალი ძაღლი სჯობიანო.
✦ მკვდარი ვის გაუცოცხლებია ტირილითა და ეიშითა?
✦ მკვდარი მკვდარს ეკიდებოდა და ორივე სამარისაკენ ეზიდებოდა.
✦ მკვდარი უკუღმა ვინ წაიღო?
✦ მკვდარი ფური ბევრს იწველიდაო.
✦ მკვდრებს აკლიხარ, ცოცხლებს არ არგიხარ.

✦ მკვეხარას გაუპირდებაო.
✦ მოაკლდეს მძინარესაო, ემატოს მღვიძარესაო.
✦ მოგება და წაგება ამხანაგები არიანო.
✦ მივდიოდე, შემინახე, მოვდიოდე — გამიძახე.
✦ მოვიდა სეტყვა — დახედა ქვა.
✦ მოვიდა სიმშილი, წავიდა სირცხვილი.
✦ მოვხუცდი და გადავხუცდი, ამ ქვეყანას რაღას ვუცდი?
✦ მოთმინება და შრომა ყველაფერს გააადვილებს.
✦ მოთმინება კაი საქონელია.
✦ მოთმინება სამოთხის გასაღებია.
✦ მოიტა, რძალო, ხახალი, ძველი იყოს თუ ახალი.
✦ მიიხედე, მოიხედე, ტანზე ისე გაიხადე.
✦ მოკაკანე ქათამი კვერცხებს არ დასდებს.
✦ მოკეთემ პირში უთხრა, მტერმა უკან უძრახაო.
✦ მოკვდა პაპაო, დარჩა ჯაყვაო.
✦ მოკლე გზით მტერსა ელოდე, შორი გზით მოკეთესაო.
✦ მოკლე მიწა თვალებს ახარებს, გრძელი მიწა — ორმოსაო.
✦ მოლა ვირზე იჯდა და ვირს დაეძებდა.
✦ მოლა კვდებოდა, ფლავი მოიტანეს და მაშინ ჩააყარეს პირში.
✦ მოლა მეჩეთში არ შედიოდა, მაგრამ ხელისკვრით შეიყვანესო.
✦ მოლა მოკვდა, საფლავში ფლავი ჩააყარეს.
✦ მოლა რომ ცოცხალი იყოს, მგელი როგორ გაბედავდა მისი ვირის შეჭმასო.
✦ მოლას უთხრეს, უნაგირი წინ მოგქცევიაო და ნეტავი შინამც მოსულიყვესო.
✦ მოლას უთხრეს, შვილი გადაგერიათ და როდის იყო ჭკვიანიო.
✦ მოლოზონი მთაზე ცეკვავდა, არც იქითა მხარე უმადლოდა, არც აქეთაო.
✦ მომეც ბედი და გინდა სანეხვეზე გადამაგდეო.
✦ მომრევის მომრევი არ დაილევაო.
✦ მომსველს დამხვედრიც უნდაო.
✦ მომტირალი რისთვის სტირისო, რომ მობანემ ბანი მისცესო.
✦ მომღერალი თავს არ იცხელებს და მობანეს რა სჯისო.
✦ მონა ურჩი და მზაკვარი თვით მეუფესაც კი სძულსო.
✦ მორცხვი ქალი — ერთ ქალაქად; მორცხვი კაცი — ერთ ქალამნად.
✦ მოსავალს მოცდა უნდა.
✦ მოსაკითხი თუ ხშირია — მეგობრობის კავშირია.
✦ მოსაციქველს დაჰხედე და საციქველზედ უარი ისე უთხარიო.
✦ მოსაწიელს მოცდა უნდაო.
✦ მოსვენება საფლავშიც გვეყოფა.
✦ მოსვლა იანი — წასვლა გვიანი.
✦ მოტეხილს მოსტეხიანო.

✦ მოულოდნელი კუნძი ურემს გადააბრუნებსო.
✦ მოქნეული არავის გაუზომიაო.
✦ მოღალატე რომ კალთაზე მოგეკაროს, ის კალთა მოიჭერიო.
✦ მოყვანილი ქალის ამბავს სამ წელიწადს ნუ იკითხავო.
✦ მოყვარე და მოყვარეს შუა აბრეშუმის ძაფია გაბმული, მტერსა და მტერს შუა ბაწარიო.
✦ მოყვარეს ვაშლი დაუმსხალე, მტერს მსხალიო.
✦ მოყვარეს პირში უძრახვენ, მტერს — პირს უკანაო.
✦ მოყვარეს უაუგოსა თუ ეძებ, მარტო დამრჩები.
✦ მოყვრის მოყვარეს ძროხა დაეკლებაო.
✦ მოყვრის სახადი მტერს შეხვდაო.
✦ მოშიშარს ვისი შიშიც აქვს, ის უძლეველი ჰგონია.
✦ მოჩქარეს მოუგვიანდესო.
✦ მოციქული ყაენთან მივაო.
✦ მოციქულის მოციქული მატრაკვეციაო.
✦ მოცლილი თხილამურია.
✦ მოცლილი კაცი კურდღელს დაუწყებს დევნასო.
✦ მოცლილი კაცი კურდღელს ურმითა სდევსო.
✦ მოწადინება ნახევარი საქმეაო.
✦ მოწანწალე ტურასაო ერთხელ მინდორზეც გაუთენდებაო.
✦ მოწყალე კაცის გონება სიტყვას შეისმენს მალეო.
✦ მოხვალ კალათიანიო — წახვალ სამართლიანიო.
✦ მოხუცი იმას მოიმკის, რაც სიყრმით დაუთესია.
✦ მოხუცმა თქვა: ვისაც ჩემი სიყმაწვილე არ უნახავს, ნეტავი მას სიბერეშიც არ ვენახეო.
✦ მოხუცმა თქვა: რაც მიყვარდა, ის შემძულდაო.
✦ მოჯამაგირეს ან პურის კიდობანი უნდა ჰქონდეს ღია, ან არ დადგებაო.
✦ მოჰკლას ხარი თივამაო.
✦ მსუქანს ყელი გაიგებს, მძიმეს — ხელი.
✦ მსხვილად დამრთავს და წვრილად დამრთავს ერთი ფასი ჰქონდაო.
✦ მსხვილი და წვრილი ერთად იფქვის — ვაი წვრილად დამფქველსაო.
✦ მსხვილ-მსხვილი მენაფოტე მალ-მალე გარბოდა ტყეშიო.
✦ მტერი თუ არ მოკვდებაო, გული ხომ გაუსკდებაო.
✦ მტერი თუ მოყვრულად მოგექცეს — მოერიდე, მოკეთე თუ მტრულად მოგეკიდოს — შეიყვარე.
✦ მტერი რომ არ გყავდეს, თუ ვინმეს დაპირებულს არ შეუსრულებ, მტრად გაიხდიო.
✦ მტერი რომ არ გყავდეს, პირობის გატეხით მტერს ნუ გაიჩენო.
✦ მტერმა მტრის ამბავი არ იცის, თორემ მასთან ბრძოლა არ გაუძნელდებაო.

✦ მტერს გობითო — მოყვარეს კოვზითო.
✦ მტერს ხელი ნუ გიკიდია, მოყვარეს მოეკიდეო.
✦ მტერს — ხმალი, ვაჭარს — თეთრი, წისქვილს — წყალი, გუთანს — ხარი.
✦ მტერს ჯოხითო, მოყვარეს ბოხჩითო.
✦ მტერსა შვილსა ულოცვიდეო.
✦ მტვერიც იყარე დიდი გზისაო.
✦ მტრედს თავისი სიმშვიდით ნისკარტი მოსჭრესო.
✦ მტრისა შინა ყოლასა ლომისა გზასა ყოლა სჯობიანო.
✦ მტრობა და მეგობრობა ძმები არიან.
✦ მტყუანმა ცოლი იმოწმაო.
✦ მტყუანს ტყუილის კარამდი უნდა მიჰყვე.
✦ მუდამ ბზუის ფუტკარი, თაფლიც მიტომ აქვს ტკბილიო.
✦ მუზმუზელას ქვეშა ცხრა მაშხალა ანთიაო.
✦ მელის ტყავი ჩამოვარდა — ცხრა რძალი დაიტანაო.
✦ მულს ელაპარაკებოდნენ, რძალო, შენ გესმოდესო.
✦ მეპლო, ფასკუნჯის ადგილი საფრენად რისთვის გწადიან?
✦ მუნიანი ცხენი მუნიან ცხენს მონახავსო.
✦ მუნჯის ენა მუნჯის დედამ იცისო.
✦ მუნჯის შვილი მარტო ჭრიჭრის იძახდაო.
✦ მუნჯმა რომ „პა" დაიძახოს — მეტი რაღა გინდაო.
✦ მუნჯს ნუ აალაპარაკებ, თორემ ენიანთან ენნოს გაგზავნის.
✦ მუქოად პურს არავის აჭმევს, ბანს მაინც დაატკეპნინებს.
✦ მუქთი ძმარი შაქარზე უტკბილესიაო.
✦ მუშამ იჯაეროს სიგრძე დღისა და სიცხე მზისა.
✦ მეშას საჭმელი, არამუშას — არაფერი.
✦ მუშკი და სიყვარული არ დაიმალებაო.
✦ მუცელი ჩემს ქვეეით არის, ჩემს ზეეით ხომ არაო.
✦ მუცელს აქორებ — ქორია, აღორებ — ღორია.
✦ მუცელს თუ აჭყეე, ხეზე გაგიყვანსო.
✦ მუცლად მშიერმა აჯობა ტანად ტიტველსაო.
✦ მუცლის ტკივილის წამალი ტკივილის დროს მონახე.
✦ მქნელი იყო, კარს უკან დაიმალებოდიო.
✦ მღვდელი თუ გაკრიჭო, კარგად გაკრიჭე.
✦ მღვდელი რომ წირვას დაიწყებს, მოლოზონს მაშინ მოუნდება ბერტყვაო.
✦ მღვდელმა თქვა, დიაკვანს პური ჰშიაო.
✦ მღვდელო, მოწმე ვინა გყავსო და დიაკვანიო.
✦ მღვდელო, რძლები გიჩივიან. რას მიჩივიან ის უნამუსოები! სწორედ მაგასაო!
✦ მღვდელს პური შიოდა, დიაკვანს — კიდეე უფროო.
✦ მღვდელს ჭილობშიც იცნობენო.

✦ მყეფავი ძაღლი სჯობია, მიმპარავს ჩუმად მკბენარსა.
✦ მშიერი მგელი უფრო მშვიდია ხარბ კაცზე.
✦ მშეენიერი ხარ, ხოხობო, ბოლო რომ გამოგიჩნდება.
✦ მშია, მშია, კატა მქვია, რომ გავძღები — როსტომ მქვია.
✦ მშიერ დათვს რა ათამაშებსო?
✦ მშიერ ქათამსა სიზმარში სულ ფეტვი ელანდებოდაო.
✦ მშიერი დამშეულს უბეს უშინჯავსო.
✦ მშიერი პურსა აქებდა უმსა და უმარილოსა.
✦ მშიერი ძაღლი პატრონს უკბენსო.
✦ მშიერს ნამცეცები ვერ გააძღობს.
✦ მშიერს ჰკითხეს: ყველაზე მძიმე რა არისო და მშიერი მუცელიო.
✦ მშიმარა კაცი დღეში რეაჯერ კვდებაო.
✦ მცირე სოფელში გზირი ხშირად მიდისო.
✦ მცონარე ადგა და აღარ დადგა.
✦ მცხეთას ძაღლმა კაცი დაგლიჯა და ქალაქს. მოეკლათო.
✦ მძიმე ქვასაც გაუხარდება, [illegible] ეწვიებაო.
✦ მძინარეს გველი არ უკბენს.
✦ მწარე თუ არა სუამე, ტკბილია კვეთის ვერ გიგებ.
✦ მწევარი კურდღელს მისდევს, მაგრამ კურდღელი [illegible] მიდევს?
✦ მწვერვალისაგან მოღლილი კურდღელი — მეძებარმა დაიჭიროს.
✦ მწყალი პანტა ღორისაო.
✦ მწიფეს ესროდნენ, კუსე ცალოდაო.
✦ მწიბლავს წინ დაუდგებიან, მკბენარს — ეკანაო.
✦ მწოლარე ლომსა მაწანწალა ძელამ აჯობაო.
✦ მწყემსს ერთი დღე შეხვდა, ისიც აკლრიანიო.
✦ მწყურს ხეზე შეჯდომა უმძიმდა, შეჯდა და ქარი აუტყდა.
✦ მეადი ჭამამდის, ფაფა — ყარამდის. პური მთის გადალმაშეე.
✦ მეადმა თქვა: ოცდაოთხი კელეეერი მაქვს.
✦ მეედელს დანა არა ჰქონდა, ფეიქარს ხელსახოცი.
✦ მხნე ყველგან პატივს იშოვის.
✦ მჯობთა მჯობნი ამქვეყიად არ გამოლეულა.

6

✦ ნაადრი შვილი პატრონსა, ნაგვიანები — პატონსა.
✦ ნაარმი არავის არ შეერგებაო.
✦ ნაბიჭვარსაც მონათელა უნდა.
✦ ნავავზე ამოსული სოკო დიდი გაიზრდება, მაგრამ მალე წაიქცევა.
✦ ნაგიქარს წარსული სიგიჟე არ უნდა მოაგონო, თორემ კიდევ გა-

✦ ნადირი მონადირეს ეტანება.
✦ ნადირი უდევარსაო.
✦ ნავალებსა ჩასცინოდა.
✦ ნავსის ნაშენ ხიდზე გავლას წყალმა წამიღოს, სჯობიაო.
✦ ნათლიავ, კოკლი ცხენით მოვედი და ვერა მოგიტანე რაო. ვერცა რას აქედან წაიღებ შენი კოკლი ცხენითაო.
✦ ნათლიავ, შენსას ჩემი მირჩევნია და სხვისას შენიო.
✦ ნათლულს ნათლიის სამსახური არ მოსწყინდებაო.
✦ ნათლიღების წინადღეო ნუ გგონია კვირა დღეო.
✦ ნათხოვარის გამნათხოვებელი ბრიყვზე უბრიყვესიაო.
✦ ნათხოვარი მოგიხდება, მაგრამ მალე გაგეხდება.
✦ ნათხოვარი ათხოვეო, სული ისე აცხონეო.
✦ ნამგლევი მგლისა არისო.
✦ ნამოყვრი ჭირი ძნელი არისო.
✦ ნამუსიც კარგი საქონელია.
✦ ნარეცხის ნარეცხმა კუროს პერანგი გარეცხა.
✦ ნართვლევს კოლოტი ათრიეო.
✦ ნარიმანა მედოლეო, უკეთესი მეგონეო.
✦ ნასწავლი კაცი სოფლისთვის კარგია, უსწავლელი კი ბარგია.
✦ ნატეხს მოსტეხიანო.
✦ ნაქებმა კატამ თაგვი ვერ დაიჭირაო.
✦ ნაყიდს გემო არა აქვსო.
✦ ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო.
✦ ნაცარი იყიდე დიდი გორისა.
✦ ნაცარქექია კერის ძირში გახელდაო.
✦ ნაცარქექია ცხენიდან ჩამოვარდა და მაინც უნდა ჩამოვსულიყავიო.
✦ ნაცარქექია ღონეს იქადდაო.
✦ ნაცნობი ციებ-ცხელებაც კი კარგიაო.
✦ ნაწვერი შემოდგომისა, ნაბარი გაზაფხულისა.
✦ ნახევარი შენი ნამოქმედარი კაცმა „არა მგონიასათვის" უნდა შეინახოსო.
✦ ნახვა სჯობს ქებასა.
✦ ნახო, ნუ გიხარია; დაკარგო, ნუ სტირი.
✦ ნაჯახის დამკარგავმა უბეშიც კი უნდა ჩაიხედოს.
✦ ნელა წახვალ, უბედურება მოგეწევა; ჩქარა წახვალ, უბედურებას მიეწევი.
✦ ნემსი ჯერ შენ იტაკე და მერე სხვას ატაკეო.
✦ ნემსით გზას არ ზომავენ.
✦ ნემსის მყიდველი ბათმან რკინას კითხულობდაო.
✦ ნემსის ოდენა ჭუჭრუტანაში ერთი ურემი სიცივე შევაო.
✦ ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდიაო.
✦ ნემსის ქურდობას აქლემის ქურდობა სჯობიაო.

✦ ნემსს და მახათს მუშტი არ შემოეკვრის.
✦ ნემსში მახათს გამოიყვანსო.
✦ ნეტავი ასი დამკრან და ერთი მართალი მათქმევინონო.
✦ ნეტავი იმას, ვინც მოითმენს; ვაი იმას — ვინც არა.
✦ ნეტა თხა იყოს, წყვილი მოიგოს.
✦ ნეტავი როგორც ავი დარი კარგად იქცევა, ისე ავი კაცი კარგად გადაიქცესო.
✦ ნეხვს რამდენსაც გაჰქექავ, იმდენი აყროლდებაო.
✦ ნისია სხვისიაო.
✦ ნისიად ნაყიდი ღვინო ორჯერ უფრო ათრობს.
✦ ნიახურმა თქვა: ვაი კბილს, ნეტა მუცელსო.
✦ ნიკორა გაატყავეს, რატომ დედა არ გყავსო.
✦ ნიორი კაცს სძულდა, ცხვირში სტენიდნენო.
✦ ნიორმა თავის სიმყრალე ძმარშიც კი სამი წელიწადი შეინახაო.
✦ ნიორმა თქვა: გიორგობის თვეს ჩამასწარ და მკათათვეს ამომასწარო.
✦ ნიორმა თქვა: ნეტა იმ კუპსა, სადაც მე ჩავალ და ვაი იმ პირსა, რომელიც მე შემჭამსო.
✦ ნიორმა რომ პირი დაგწვას, მაშინვე აყროლდებაო.
✦ ნიორმა სიმყრალე სამ წელიწადს შეინახა.
✦ ნუ აფურთხებ ჭაში, თორემ კიდევ მოგწყურდებაო.
✦ ნუგეში თავმოჭრილ მკვდარსაც ეთქმისო.
✦ ნუ გეშინია სიკვდილისა, გეშინოდეს სირცხვილისა.
✦ ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა.
✦ ნუ დაუყრი ღორს მარგალიტს.
✦ ნუ დამძრახავენ და ნუ შემიბრალონო.
✦ ნუ დაპირდები ქალბატონს იმ დათვის ტყავს, რომელიც ჯერ არ მოგიკლავს.
✦ ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო.
✦ ნუ ერწმუნები შენს ღვიძლსა ძმასა, ერწმუნე მხოლოდ შენს ელამ თვალსა.
✦ ნუ ეძალები წყალდიდსა, გირჩევ მოსძებნო ფონია.
✦ ნუ იქმ ავსა და ავისაც ნუ გეშინია.
✦ ნუ მისდევ ლამაზ პეპელას, გაგიფრინდება, წაგივა.
✦ ნუ მპირდები ცაში წეროს, ხელში მომეც ბეღურაო.
✦ ნურა გინდა ეშმაკისა, ნურც ეშმაკი და ნურც ნაეშმაკარიო.
✦ ნურც ეშმაკს დამანახვებ და ნურც პირჯვარს დამაწერინებო.
✦ ნურც იფიცებ — ნურც აფიცებ.
✦ ნურც მომიტეხ მჭადსა, ნურც მომტეხ ყბასა.
✦ ნუ სძღები სხვისა რძითა, ნუ იმოსები სხვისა მატყლითა.
✦ ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ, ნუ თრთიო.

ო

✦ ობლის თვალი ვერ გაძღება.

✦ ობლის კვერი ნაცრიანია.

✦ ობლის კვერი ცხვა, ცხეა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გაცოცხეა.

✦ ობოლი გაზრდას მოელის, ღარიბი — გამდიდრებასა, ყმაწვილი ბოგო და ბიჭი — ერთმანეთისა ხვევნასა.

✦ ობოლო, ვის აგინებ და ვინც გამზარდაო.

✦ ობოლსა ჰკითხეს, რომ გაიზრდები, რას იზამო? — ვინც გამზარდა, დედას ეუტირებო.

✦ ობოლს ერთი კვერი ხვდა და ისიც გატეხილიო.

✦ ობოლს კვერი ემცირებოდა, ისიც შუა გაუყვესო.

✦ ობოლს კვერს ბევრი ჰპირდება, მაგრამ გამომცხობი კი არავინ არისო.

✦ ობოლს ხელში კვერი ეჭირა, სვამდა და მაინც იძახდა — პური ბეიანი.

✦ ო	იანობა რომ არ იყოს, ვამარჯვებას პატიკი არ ექნებოდაო.

✦ ოდიანობა ზოგს ააშენებს, ზოგს გადააშენებს.

✦ ომში ნაცადი ხმალისა ომედი გქონდეს სახლშიო.

✦ ომში რა სჯობიაო და — რაც ხელში მომხვდებაო.

✦ ორაგული თუ გინდოდეს, ტანიც სველი გინდოდესო.

✦ ორი ბატონის ყმა ვიყავ — ხან ესა მცემდა, ხან ისა.

✦ ორი თავგატეხილი კოდალა ერთმანეთს შესჩიოდაო.

✦ ორი კაპეიკი ჩემთვის კარგი მწვანილიაო.

✦ ორი კაცი ერთ კაცზე ლაშქარია.

✦ ორი კაცი თუ გეტყვის „მთვრალი ხარო", უნდა დაიჯერო.

✦ ორი კაცი სოფელია.

✦ ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო.

✦ ორი პურაძვირი კაცი ერთმანეთის მიბაძვით შიმშილით დაიხოცაო.

✦ ორი სახლი და ერთი ბოძი.

✦ ორი ქაჩალი საეარცხლისათვის წაიკიდა.

✦ ორი ქურდი დღე ჩხუბობდა და ღამე ამხანაგობდაო.

✦ ორი ყორნის თავი ერთ ქვაბში არ მოიხარშებაო.

✦ ორი შაური მუშასა — მის დღეში არა უშავს რა.

✦ ორი შაურის მუშამა აჯობა მანეთიანსა.

✦ ორი ძმა ერთად ქორწილშიც არ წაისვლება.

✦ ორი ჯაშბაზი ერთ თოკზე ვერ ითამაშებს.

✦ ორმა კაცმა გითხრას ბრმა ხარო, თვალებზე ხელები დაიფარე და ჯამოპრუნდი.

✦ ორმოში დამალულ კაცს კატაც ვერ დასჭყავლებს და ხეზე გასულ-კი ძაღლებიც უყეფენო.

✦ ორმოში დამპალი თოკით არ ჩაისვლებაო.

✦ ორმოცი წლის კაცი რომ ჩონგურის სწავლას დაიწყებს, ის საქიოს დაუკრავს.

✦ ორშაბათი გიცდებოდეს — კუჭი მაინც გიძღებოდეს.

✦ ორ ძიძას შუა ბავშვი დაიხრჩოო.

✦ ორ ძაღლს ლომის გაქცევაც შეუძლია.

✦ ოსმა ასი წლის შემდეგ სისხლი აიღო ღა კიდევ თქვა: რა მეჩქარებოდაო.

✦ ოსტატი მელა შუადღეზე ოთხივე ფეხებით მახვში გაებაო.

✦ ოფიტარას ოცი გლეხი, ოცდახუთი ხელოსანი.

✦ ოქრო თუ ამოტივტივდება, სამართალი დაიძირება.

✦ ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირია.

✦ ოქრო. ეხელია, მაგრამ ყველაფერს აკეთებს.

✦ ოქროს ანკესი ყველანაირ თევზს იჭერს.

✦ ოქროს ქალამანი რომ ვეცვას, მაინც ქალამანიაო.

✦ ოქროს ჩაჭუჩი ცხრაკლიტურს ჯღებს.

✦ ოქროს ყადრი ოქრომჭედელმა იცისო.

✦ ოქრო წყალშიც არ იძირება.

✦ ოჯახი გაქცეს — ოჯახი გაგინეგსო.

✦ ოჯახი ვისიაო და ვინც მოიხმარს მისიაო.

✦ ოჯახი მსუქანიაო.

✦ ოჯახის სიმდიდრე კატოა და ძაღლით იცნობაო.

პ

✦ პაატაე, ბანი თქვი და ქუსლი მტკივა. ბატონოო.

✦ პავლემ უთხრა მაკრინესო — შენი საქმე მაკვირვებსო.

✦ პანღური მეწყინება და არ მეტკინება.

✦ პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო.

✦ პარასკევი ხუთშაბათზე წინ ვის სმენია, ვის მოსწრია.

✦ პარკით პურს ნუ მომპარავ და ვოგრით ღვინოსაო.

✦ პატარა ეშმაკმა დიდი ეშმაკი აცდინა.

✦ პატარა ვიყავ — დიდისა მეშინოდა, დიდი გავხდი და პატარისა-მეშინიაო.

✦ პატარა კაცმა დიდი მთა გადიარაო.

✦ პატარა კაცსაო გული ყელში სჩრიაო.

✦ პატარა მელია დიდ მელიას ატყუებდაო.

✦ პატარა პატარაობითა პატარძალი დაორსულდაო.
✦ პატარა სიტყვა ლაპარაკში გაიზრდებაო.
✦ პატარძალი ბუოდაო, ისევ თვითონ სტყუოდაო.
✦ პატარძალი უარს იყო, ღორის ხორცს არა ვჭამო, რომ შეჭამეს, გაიბუტა, წვენი მაინც გეჭმიათო.
✦ პატარძალმა ძროხა ვერ მოსწველა და ბაკი ბრუნდეაო.
✦ პატივისცემა კარგი კაცისათვის პატივია და ავკაცისათვის პატიჟი.
✦ პატივს ნურც მოითხოვ და ნურც ითხოვო.
✦ პატივს უთქვამს: ერთს ორად ვერ ვაქცევო, მაგრამ ერთს ისე გავხდიო, რომ ოთხს დავამჯობინოვო.
✦ პატიოსანი ძაღლი ქალს არ შეუყეფსო.
✦ პატიოსან კაცს გაცვეთილი ჩოხა აცვიაო.
✦ პატრონი ჩიოდა წანაღებსა და მგელი დანაგდებსა.
✦ პაწა ძღვენო, სად მიხვალ? — საიდანაც დიდს მოველიო.
✦ პეტრეს დააზომეს და პაველს შეუკერეს.
✦ პილპილი თუ არ გიჭამია, პირი რად გეწვისო?
✦ პირდაუბანელი და ძმასაც არ ეჩვენებაო.
✦ პირველი ბედი ბედია, მეორე — მოგონებაო, მესამე — ვირზე შეჯდომა, მეოთხე — გაჭენებაო.
✦ პირველი სამოსახლო წყალიაო.
✦ პირველი ხელი ეშმაკისაა.
✦ პირის გამთავებელი ძმაზე უკეთესიაო.
✦ პირობა კაცს ცოლს წაართმევსო.
✦ პირს მუწუკიც მოერიდება.
✦ პირში დუმა, ყელში დანა.
✦ პირში მაქებელი ეშმაკის მოციქულიაო.
✦ პურადი კაცის სასწორი მუდამ წონაში მეტია.
✦ პურაძვირი თუ ერთი გამხიარულდა — გულუხვსაც გადააჭარბებსო,
✦ პურაძვირი კაცის მარილი მეტი იხარჯებოდესო.
✦ პური და ღვინო გვალვისაო.
✦ პური და ღვინო სტუმარსა, წავა შინ, მოაგონდებაო.
✦ პური და ღვინო ძველი სჯობს, ტანისამოსი — ახალი.
✦ პური პურიჭამის შემდეგაც დაგჭირდება.
✦ პურის მცხობლის მოსამსახურე და ძაღლი მშიერები დარჩებიანო.
✦ პურის ჭამის დროს ძაღლიც გაჩუმებულიაო.
✦ პურის ჭამის დროს ძაღლსაც არ გალახავენ.
✦ პურმა თქვა: მე პირს არ მოვძებნი თუ თვითონ არ მომძებნაო.
✦ პურმარილი ბატონსაც კი ყმად გახდისო.
✦ პურმარილის შენახვა ქვამაც იცის.
✦ პურმარილი ქვაზე დასდე, გამოიელი, წინ დაგხვდება.
✦ პურმარილს ნურც ფეხს ამოკრავ, ნურც გაექცევი.
✦ პურს რომ გთხოვენ, ქვას ნუ მისცემ.

✦ ქამის ჭირის შეყრა სჯობია, ავი ცოლ-ქმარის შეყრასაო.
✦ ქამის ჭირი ყველას საძულველია.
✦ ქანგი რკინას ჭამს, კაცის გულს დარდიო.
✦ ქანგმა თქვა: ვიდრე მე რკინა შევჭამე, დარდმა გული უკვე ათასჯერ მოინელაო.
✦ ქივქაკის ქლეტა კაცს მოსწყინდება და არათუ მარტო მტრისაო.
✦ ქივქავი ჩიტების კაცს გულს გაუწვრილებს. მერცხლების ჭიკჭიკი კაცს გულს გაუხალისებს.
✦ ქინიანი კაცი წინ ვერ წავა ვერც ერთ საქმეში.
✦ ქინიანობა და სიმხეცე ორივე ერთია.
✦ ქინიანობა ჭკუამოკლეობის ნიშანია.

რ

✦ რა გზასაც დავადექი, ხალხიც ისეთი შემხვდა.
✦ რად მინდა ის თავი მებას, რომ ქვეყნის სასაცილო ვიყო.
✦ რად მინდა ოქროს საკანი, შიგ სისხლი ჩამოდიოდეს.
✦ რა კაცსაც დასაკერებელი ეშოვება, ღარიბი არ ეთქმისო.
✦ რამდენი ვირიც ვიყიდე, ყველა ყროყინა გამომადგაო.
✦ რამდენიც დედას გავარდა, იმდენი ნახირს შევარდა.
✦ რა ზღვას დაუხრჩვივარ, რა ცვარსაო.
✦ რა თვალიც მატყუებს, იგი თვალი დაივსოსო.
✦ რამაც გაგაჩინა, იმან დაგარჩინა.
✦ რამდენი ქოთანიო, იმდენი სარქველიო.
✦ რა მთის იმედიც გქონდეს, იმ მთამ დაგახრჩოსო.
✦ რა რომ ბოძი წაიქცევა, სახლიც მაშინ დაიქცევა.
✦ რასაც გაასესხებ, იმას ჩაისესხებ.
✦ რასაც დასთესავ, იმასვე მომკიო.
✦ რასაც ვერ შესწვდები, ნუ შეეწოდები.
✦ რასაც კბილს დაადგამენ, აყოლდებაო.
✦ რასაც კაცი თავის თავს უზამს, იმას მტერი ვერ უზამს.
✦ რასაც მოიგებ, ბოლოს გაიგებ.
✦ რასაც სხვისთვის მოინდომებ, შენ თავს გადაგხდებაო.
✦ რასაც ჩემი კბილი არ მოხვედრია, ჩემი მუცელი არ გაუძღიაო.
✦ რასაც ხელზე დამისხამ — წვერზე იმას წაგისვამ.

✦ რას მატყუებ სარქისაო, აგრემც ღმერთი გაგზრდისაო.
✦ რას წყრები უყმო ბატონიეითაო!
✦ რა ტოტზეც ზის, იმას ჭრის.
✦ რა ქვეყანას მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო.
✦ რაცა ვქამე ძველადაო. ჩამაშხამეს ხელადაო.
✦ რაც ალხანა, ის ჩალხანაო.
✦ რაც არ გერგება, არ შეგერგება.
✦ რაც არ ეცვა მამაშენსა, ნურც შენ დახევ მარმაშებსა.
✦ რაც არა ვშობე — შვილი არ იყო: რაც არ გავზარდე — ყმაო.
✦ რაც არ გეგონოს, იგი მოხდებოდესო.
✦ რაც არ დაწვა, არ ადგაო.
✦ რაც არ მომიხდება, არ წამიხდებაო.
✦ რაც არ უნდა მინდისაო, ყურში მძიმედ მისდისაო.
✦ რაც არ ფერობდეს ჩიორას, ნუ უყრი ასაკენკადა.
✦ რაცა ცასა ჰფარავდაო, ქვეყანასა აქცევდაო.
✦ რაც გამოსასვლელი სისხლია, უნდა გამოვიდეს.
✦ რაც გატკენს, ის მოგარჩენს.
✦ რაც გაუვლია დრო-ხანსა, ვერ მოეწევი რბენითა.
✦ რაც გეზარებოდეს, ის გეძალებოდეს.
✦ რაც გინდა მომეც, რას ვაქნევ, მე ვარ და ჩემი ნაბადიო.
✦ რაც თხამ უქნა თრიმლსა, ის თრიმლმა — თხის ტყავსა.
✦ რაც ითქმოდეს, ქარს მიჰქონდეს.
✦ რაც იბადება, ის კიდევაც კვდება.
✦ რაც იქროლებს, იმდენს არ ითოვებს.
✦ რაც იყო, ვნახეთ, რაც იქნება, ვნახავთ.
✦ რაც კაცმა თავის თავს უყო, ქვეყანა მიადგა და იმან ვერ უყო.
✦ რა ციხის იმედიც არ გქონდეს, დაიქცეს იგი ციხეო
✦ რაც კაცს ეჯავრება, ის ღორს ეამება.
✦ რაც მგელმა ცხვარს დააკლო, დააკლო, რაც არა და მწყემსმა ეარესი უყოო.
✦ რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.
✦ რაც მოხდეს, სოფელს გადახდეს.
✦ რაც სახელია, ის სახრავი არ არის.
✦ რაც სელის დათესვაზე ითქვა, ის ითქვა მოგლეჯაზედაცაო.
✦ რაც უნდა ჰქნას თვალმა, წარბს ზევით ვერ წავაო.
✦ რაც უფრო ჩქარობ, მით უფრო გაგვიანდებოდეს.
✦ რაც შევქამე, ის შემრჩაო, რაც არა და ის დამრჩაო.
✦ რაც შენთვის არ გსურს, იმას სხვას ნუ უსურვებ.
✦ რაც შეშვენის გლახა ბერსა, არ შეშვენის კახაბერსა.
✦ რაც ცას ემართა, დედამიწა ხოდაო.
✦ რაც ცოლს არ უყვარს, იმას ქმარი თავის დღეში ვერ შექამს.
✦ რბილად დამიგეს, ხმელად მეძინაო.

✦ რგვა და მოყვანა ხილნარს აშენებს, შვილების დახრდა კაცსა ამშვენებს.
✦ რეგვენი ბრძენზე ბრძენია, რაშიაც გამოცდილია.
✦ რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსა.
✦ რეგვენ კაცს ჭკუა თვალში აქვს და არა თავშიო.
✦ რეგვენმა შვილი მოკლა, დაჯდა თვითონვე იტირაო.
✦ რეგვენს ნაჩუქარი მუქთი ეგონაო.
✦ რთველში ძაღლსაც მოხდიან კონკილასაო.
✦ რისა ცნობაც არ იყოო, მისი ფასიც არ იყოო.
✦ რკინა იწროობა ცეცხლითა, კაცი კი გაჭირვებითა.
✦ რკინა რკინით დაიკრება, კაცი-კაცითაო.
✦ რკინა რკინობას ცეცხლში ვერ იზამსო.
✦ რკინას ქანგი სჭამს, კაცის გულს დარდი.
✦ რკინას ცეცხლი აწრთობს, ადამიანს განსაცდელი.
✦ როგორიც ალაგიო, ისეთი ალაბიო.
✦ როგორიც არის ქარსანაო, ისეთი ხარ, თარხანაო.
✦ როგორიც ბერიო, ისეთივე ერიო.
✦ როგორცა ჰქუხს, ისე არ წვიმს.
✦ როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდეს.
✦ როგორც დაიგებ, ისე მოისვენებო.
✦ როგორც დაიწყო, ისე დაამთავრა.
✦ როგორც დამიკრავ ფანდურსა, მეც ისე დაგიროკდებიო.
✦ როგორც ვიგემე, ისე ვიგვემე.
✦ როგორც ვიყიდე, ისე ვყიდი.
✦ როგორც თვალი შორს, ისე გულიც შორსაო.
✦ როგორც მოვა ტარიელი, ისე წავა ცარიელი.
✦ როგორიც მომთხოვი, ისეთი მომყვანი.
✦ როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო.
✦ როგორც პატრონმა გიბრძანოს, ვირი ისე დააბიო.
✦ როგორც შეიძლო, შენს მეფეს ისე ეღაღადეო.
✦ რომელ თითსაც მოვიჭრი, სულ ყველა ერნაირად მეტკინებაო.
✦ რომელი მგელიც მე არ შემჭამს, დაე დიდხანს იცოცხლოსო.
✦ რომელი მორეეიც მე დამახრჩობს, ყველასათვის ზღვა დამირქმევია.
✦ რომელი ძაღლიც არა ჰკბენს, შორიდან იყეფებაო.
✦ რომელ კაცსაც ღმერთი წყალობს, ერთიც არ დაუკენესიაო.
✦ რომელმა თვალმაც მოგატყუოს, მოითხარე, გადააგდეო.
✦ რომელ წყალშიც ცურავ, ის წყალი სვი.
✦ როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს ამ ჩემსა მოგონებასა;
ერთხელ სიკვდილი სჯობია სულ მუდამ დაღონებასა.
✦ როსტომ თქვა: სიბერკაცითა სიტყვა სათქმელად გასჭირდა.
ჯაჭვის პერანგი გავსცვითე, ახლა აღებაც გასჭირდა.
✦ როცა არისო — თხა მგელი არის.

✦ როცა დავკაცდი, ჭკვას მაშინ ავცდი.
✦ როცა დაიღალო, მაშინ მიწა ჰყარეო.
✦ როცა ვნახავ ალოსაო, მაშინ გავლეწ კალოსაო.
✦ როცა კაცს ღმერთი სწყალობს, ეშმაკი რას დააკლებსო.
✦ როცა ორნი რჯულს განუდგებიან, ერთი სულს განუდგება.
✦ როცა პური არ არის, ეს თხა მგლის პურიაო.
✦ როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ ლაჩარიც წინ წავაო.
✦ როცა შენი არ იხარჯვის, სხვისა ლხინსა რა სჯობია.
✦ როცა ჩაკრა ცულმა ქვასა, მაშინ მიხედა გულის ხმასა.
✦ როცა ცოდნით ავსრულდებით, სიტკბოებით დავბერდებით
✦ როცა ჯობი არა გაქვს, ძაღლს ლუკმა გადაუგდეო.
✦ რძალსა და დედამთილს შუა ჩურჩხელა დაიკარგა.
✦ რწყილს დააწვენს და აქლემს აშობინებსო.
✦ რწყილს ნემსი ჰკრეს, მეტიც არ შეეძლო.
✦ რწყილს ნესტარი დაარტყეს და ჭირადაც ის იყო და ლხინადაცაო.

ს

✦ საბრალოს ერთი ფრჩხილი ჰქონდა, ისიც წავარდაო.
✦ საბუდარით ამოღებული კვერცხი სჯობს ნაყიდსაო.
✦ საბძელი რომ გეწვოდეს, ხელი მაინც უნდა მოითბო.
✦ სადაც არ იყოს, ცოტა კმარიყოსო.
✦ სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი.
✦ სადაც ბაღი არ იყო, იქ მაყელის ბარდი თავს ბაღს ეძახდაო.
✦ სადაც გავა გავაო, თეძოც გავად გავაო, სადაც აღარ გავაო, აღარც გავა გავაო.
✦ სადაც დაბალი ღობეა, ყველა მას გადაქელავსო.
✦ სადაც კუდი თაეია, იქ თავი კუდია.
✦ სადაც შინახავს წისქვილი, წყალზედ მინახავს.
✦ სადაც მჭამს, იქ არა მფხანს, სადაც მფხანს, იქ არა მჭამს.
✦ სადაც ოქრო იკრება, ფასიც იქა სძევსო.
✦ სადაც სიყვარული არ არის, იქ არც სიხარულია.
✦ სადაც სიხარულია, იქ მწუხარებაცაა.
✦ სადაც სოფლის ნახირიო, იქაც ბებრის ხბოო.
✦ სადაც ფული ლაპარაკობს, იქ სიმართლე სდუმს.
✦ სადაც ყოჩის თაეი გაეტეევა, იქ ყოჩის ტანიც გაეტეევაო.
✦ სადაც შენა ხნავ, მე იქ არა ვთესავ.
✦ სადაც შევარდენი ბუდობს, იქ მწყერი ვერ გაიხარებსო.

✦ სადაც ჩიტი გაიზრდება, მისი ბაღდადიც იქ არისო.
✦ სადაც ძალა შევაო, სამართალი ერდოდან აეაო.
✦ სადაც წაველ, სულ თან წამყვა ჩემი ძველი სახელიო.
✦ სადაც წახვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო.
✦ სადაც წყალი, იქ — წნორი.
✦ სადილს უკან ხილობაო არის გვარიშვილობაო.
✦ სავაგლახოზე აიღე, სატიალოზე დააგდეო.
✦ სავსე ქვევრზედა ბამბიქულასაც არ დაახლიანო.
✦ საზიარო — საზიანოაო.
✦ საზიარო ყანა ჩიტს მოუკამიაო.
✦ სათვალავში რვანიო და ნახევარი ბრმანიო.
✦ საიდუმლო ორშიაო, თუ მესამე მიემატა — საიდუმლო ერშიაო.
✦ საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი.
✦ სალამი მტერსაც არ დაეკაკვებაო.
✦ სამგორზე სამი ბებერი ვერ ეტეოდაო.
✦ სამეფოს მტერი ვერ დასძლევს, თუ მეფის სახლი მშვიდია.
✦ სამ დღემდის სამმა იცის, სამ დღეს იქით თემმა იცის.
✦ სამოთხეს ლასტის კარები აქვს, ჯოჯოხეთს ოქროსიო.
✦ სამოთხეში არ მიშვებდნენ და ჯოჯოხეთში ხელს მიქნევდნენო.
✦ სამოთხის გზაზე დამდგარ ცხვარს დუმა ამძიმებსო.
✦ სამოთხის მონატრულსა ჯოჯოხეთშიც არ უშვებდნენო.
✦ სამოსელს ნაწიბური გაუსინჯე და შვილს დედ-მამაო.
✦ სამშობლო რომ შორსა გქონდეს, თავის ქებას დიდი არა უნდა რაო.
✦ სამწყოს უმწყემსოდ მაეალსა შესჭამს ტურა და მგელიო.
✦ სამკედლო გადაიწვაო და რაც იმას ბერვა ჰქონდა, ან რატომ აქამდის არ გადაიწვაო.
✦ სამხარი სად ეკამო და ბრიყვთანაო. ვახშამიო? თუ ვერ გაიგოს — ისიც იქვე ჭამეო.
✦ სანამდის გავსძლებ, ვისროლი, მერმე წყალგალმა გავხტები.
✦ სანამდის ღმერთი მწყალობდა, ცხრა დიაკვანი მყვარობდა.
✦ სანამდის წვერი გაქვს, ულვაშს ხელს ნე ახლებო.
✦ სანამ თორნე ცხელია, ლავაში ჩააკარიო.
✦ სანამ მქონდა ფულები, ეკამე მოხრაკულები და როცა გამომელია. ჩამოვყარე ყურები.
✦ სანამ მღვდელი ჩაიცვამს, ცაც შეიმოსება და სანამ გაიხდის, ცაც ფადიყრისო.
✦ სანამ პეტრე მოვიდოდა, პაველს ტყავი გააძრესო.
✦ სანამ ქვა მოჯდებაო, ჩემი ფეტვიც მორჩებაო.
✦ სანამ ყმაწვილი არ იტირებს, ძუძუს არ მოაწოვებენო.
✦ სანამ შეხვიდოდე, გამოსვლაზე იფიქრეო.

✦ სანამ წკნელი პატარაა, მანამ უნდა მოიგრიხოს. გაიზრდება ეეღარ მოგრეხ.
✦ სანამ ჭკვიანი დაფიქრდა, ცეტმა გადავლო მთებიო.
✦ სანამ ჭკვიანი მოიფიქრებდა, გიჟმა შვილი კიდეც დაასახლაო.
✦ სანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მოჰკვეთაო.
✦ სანახევრო მამული ან მგელსა, ან მგლის შვილსა.
✦ სანთელი თავის ქვეშ არ გაინათებსო.
✦ სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაკარგავსო.
✦ საოხრეზე ნაშოენი სატიალოზე დაიხარჯაო.
✦ სანაგვეზე ვარდი ამოვაო.
✦ საპონი ვარცლის თავზე დადე, სარეცხი თვითონ გამოჩნდებაო.
✦ სართი დასწრებისაო.
✦ სარჩული სჯობს საპირეს..
✦ სასაფლაოდან მკედარი აღარ გამობრუნდებაო.
✦ სასწორის სისწორე ამწონავზე ჰკიდიაო.
✦ საუბარ-საუბარო, ეს დღე კი არ მოიპარო.
✦ საფლავი კაცმა არ უნდა დაკარგოს.
✦ საქმე არ ჰქონდეს ხუროსა, დაჯდეს და ურახუნოსა.
✦ საქონელი პატრონს ემგვანებაო.
✦ საქონელმა თქვა: ერთი გვერდი დამილპეს, მეორეზე გადამდევი, მაინც გავიყიდებიო.
✦ საქონელმა თქვა: ღმერთო, პატრონი მომეცი, მოხმარება შეეძ-ლოსო.
✦ საქონელს თვალი სჭამსო.
✦ საქონლის ღმერთი კაციაო.
✦ საყდრის კარი ღია იყო, ძაღლს ნამუსი არა ჰქონდაო.
✦ საყვარელი ძმა ღმერთმა გველსა და მტერსაც ნუ მიუკლოსო.
✦ საშოვარი კარგია — ნაშოვარი ძვირფასი.
✦ საჩუქარი ბრიყვს გაუხარდება.
✦ საცერის მათხოვარმა სადილს მოუცადაო.
✦ საციქველი ვის დაუბრუნდებაო.
✦ საცხონებლად წასული წაწყმედილი დაბრუნდაო.
✦ საწყალი კატა ჩიოდა: ეაიმე თეძო და გეერდო; ქალებმა ერბო შეეჭამეს, მე დამწვეს ალალმართალი.
✦ საწყალი კაცის გაჩენაში ღმერთი არ ურევიაო.
✦ საწყალი კაცის დღესაო არ დაელევა კვნესაო.
✦ საწყალსა კაცსა ვინ მისცემს აღების ღამეს ღვინოსა; მჭადი ჭამოს და წყალი სვას, დაწვეს და დაიძინოსა.
✦ საშმელი ერთი დღისაო, სახელი ასი წლისაო.
✦ სახელი მგლისა, სახრავი მღვდლისა.
✦ სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო.
✦ სახელი სჯობს ქონებასა და უფლება მონობასა.

✦ სახელი ჩემია და სახრავი სხვისია.
✦ სახელოვანი სიკვდილი სიცოცხლის უტკბილესია.
✦ სახით მღვდელი; საქმით მგელი.
✦ სახლი ააგო და სახლი გადააგო.
✦ სახლი ვისაც არ აუშენებია, მიწიდან ამოსული ჰგონიაო.
✦ სახლი სახურავად ღირსო.
✦ სახლს ისიც მიემატება, ფოთოლი რომ მიიტანო.
✦ სახლში გამოწყობილი საქმე მთაში არ გამოდგება.
✦ სახლში მიტანილი სიპი ქვაც კარგია.
✦ სახლში ჯდომით საქმე არ გაკეთდება.
✦ სახრე სამოთხიდან არის გამოსულიო.
✦ სახრე ტყისა, ხარი სხვისა, დაჰკარ და გააწევინეო.
✦ სახრე ღმერთს დაულოცია.
✦ საჯავახოს ხუმრობა სანახევროდ მართალიაო.
✦ სესიავ, შენი ნაცვლობა მეხრეობაზე ჩამოხტა!
✦ სვავი კისერზე მოიზომავს და ძვალს ისე გადაულაპავსო.
✦ სვავი ძვალს ულაპავს სიხარბით, რას აქნევს გასაძღომელად.
✦ სველი ენა რას არ იტყვის!
✦ სვინაო, შენი თავი სხვისას მირჩევნია და ჩემი თავი შენსასაო.
✦ სვინტრი მოდის მოიძახის — მე ვარ ყველას წამალიო.
✦ სვინდისს კბილები კი არ აქვს, მაგრამ კბენა კი იცის.
✦ სიბერემდის სიქაჩლე გეწეროსო.
✦ სიბერე როსტომსაც კი მოპრევია.
✦ სიბერეს სირეგვნემდე მიყავს კაცი.
✦ სიბერე ძნელი ყოფილა, სიპ ქვასაც შეეწონება.
✦ სიბრძნე ებრძვის სიბრიყვესა უთოფოდ და უზარბაზნოდ.
✦ სიდედრი რომ სიძეს გაუდგებაო, ნადირი გაექცევაო.
✦ სიზარმაცე ბოროტების დედააო.
✦ სიზარმაცე სიღარიბის გასაღებიაო.
✦ სიზარმაცე ჩვენზე ადრეა დაბადებული.
✦ სიზმარი არ გამოდგება, სინათლე სჯობს ბნელსა.
✦ სიზმარი გორისოდენა გადავა ჩალისოდენა.
✦ სიზმარში ნაცად-ნახული ცხადად რა მოსახმარია.
✦ სიკეთე ძაღლსაც არ დააკიწყდება.
✦ სიკვდილი და სიღარიბე, ორივ ერთად მოდიოდნენ, შევხედე და შემეშინდა, სიკვდილს სიღარიბე სჯობდა.
✦ სიკვდილის მეტს ყველაფერს ეშველება რამე.
✦ სიკვდილის შემდეგ სინანული არც არის და არც ყოფილა.
✦ სიკვდილ-სიცოცხლე ამხანაგები არიან.
✦ სიკვდილი ყურს უკან გვაქვსო.
✦ სიკვდილმა თქვა: ისე არავინ მოკვდა, რომ ბრალი მე არ დამდონო.
✦ სიკვდილმა თქვა: კაცი ისე ვერ მოვკალი, რომ რაიმე მიზეზი არა თქვანო.

✦ სიკვდილმა თქვა: მოგკლავო. და მჯერა შენი ჭკუიდანო.
✦ სიკვდილმა ჩამოიარა, ვაი ერთის პატრონსაო.
✦ სიკვდილს სად დაემალები!
✦ სილამაზეს მოხმარა უნდა.
✦ სილამაზეს რა ჭკუა აქვს.
✦ სიმართლე კაცსა არ დაეკარგება.
✦ სიმართლე შვილიშვილამდისო.
✦ სიმართლისათვის მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო.
✦ სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო.
✦ სიმართლის მკარგველი კაცი სიცოცხლეს იდღემოკლებსო.
✦ სიმართლის ნერგი იხარებს, დარგი თუნდ სიპსა ქვაზედა.
✦ სიმდიდრე წყალია: მოვიდა, წავიდა.
✦ სიმდიდრის მქონე მაძღარი ვერა ვნახე და სიმართლისა მშიერი.
✦ სიმინდი თოხის შვილია.
✦ სიმინდი რომ შემოაკლდებათ, ძმები მაშინ გაიყოფიან.
✦ სიმინდის ქურდს — ტომარა აუწიე, ღვინის ქურდს თავი წააგდებინე.
✦ სიმონაო, სიმონაო — გარს კარგო და შინ მონაო.
✦ სიმღერას ბანი ამშვენებს, წალკოტსა — ვაშლი წითელი.
✦ სიმშილი ერთი წლისა და სიღარიბე სამისაო.
✦ სიმშილს მისაჭმელი არ უნდა.
✦ სიმშილმა ხმელა არ იცის და სიცივემ ძველიო.
✦ სიმშილს საწები არ უნდა და ძილს სასთუმალიო.
✦ სიმწარე თუ თავზე არ გაყრია, სიტკბოება ფრჩხილსაც ვერ დაგიფარავს.
✦ სირცხვილი მოგადგა, სიკვდილი განატრაო.
✦ სირცხვილი სიკვდილიაო.
✦ სირცხვილიც დიდი კომბალია.
✦ სირცხვილიც კარგი საქონელია.
✦ სისხლი სისხლით არ გაიბანება.
✦ სიტკბო-სიმწარით ნაგები საიქიომდის გაგყვება.
✦ სიტყვა ადვილია, ქნა კი ძნელი.
✦ სიტყვა ბარაქიანიო, საქმე ტალახიანიო.
✦ სიტყვა ქარია.
✦ სიტყვა ჭკვიანი, საქმე ჭიანი.
✦ სიტყვის თქმაც რიგით არის.
✦ სიტყვის თქმა რომ გინდოდეს, ჯერ გამგონი გასინჯე.
✦ სიფრთხილეს თავი არ სტკივა.
✦ სიღარიბემ ფარჩის კაბა მაცვეთინა.
✦ სიღარიბე რომ კარგი იყოს, ჩვენ ვინ დაგვანებებდაო.
✦ სიღარიბე წელში გაგტეხს, თუგინდ იყო ტარიელი, ცოლ-შვილსაც კი მოძულდები, თუ ჯიბე გაქვს ცარიელი.

✦ სიყვარული ან სულ აპატიებს, ან სულ არ მიუტევებსო.
✦ სიყვარული ბრმაა.
✦ სიყვარული ვარდს ეძებს, ეჭვი — ეკალსაო.
✦ სიყვარულით ჩემმა ქმარმა ბარ-საკვეთით მცემა.
✦ სიყვარული ცეცხლი არაა, მაგრამ დასწვავს და ვერც კი გააქრობ.
✦ სიყვარული ხანძარი არაა, მაგრამ თუ იფეთქა, ვეღარ ჩააქრობ.
✦ სიყვარულმა სირცხვილი არ იცის.
✦ სიყვარულს, ცეცხლს და ხველას ხალხისაგან ვერ დამალავ.
✦ სიყმაწვილით მოგებული სიბერეში ფარიაო.
✦ სიჩქარით ქვეყანა არ აშენებულა.
✦ სიჩქარით ძაღლმა ბრმა ლეკვები მოჰყარაო.
✦ სიცილი გადამდებიაო.
✦ სიცილით დაკარგული ტირილით ვეღარ დაიბრუნესო.
✦ სიცილს ტირილი მოსდევს.
✦ სიცოცხლეს დაცვა უნდა და სამოსს მალ-მალე გაახლება.
✦ სიცოცხლე ცეცხლს მიაგავს, მისი დასაწყისი ალია და დასასრული ნაცარი.
✦ სიძევ, რაც გვიან-გვიან მოხვალ, უფრო შეგვიყვარდებიო.
✦ სიძემ თქვა: ჩემი თოხი მომიტანეთო.
✦ სიძე რომ სიმამრისას ჩავა, ღობის სარებიც გაიხარებენო.
✦ სიძე წვენი მიირთვი და ხორციც კარგიაო.
✦ სიძის სიძეს წვენის წვენიო.
✦ სიხარბემ რა ნახა, ყველა დაჰკარგა.
✦ სმენა კარგი სიტყვისა და მირთმევა ტკბილეულისა.
✦ სოკო ამინდს მოჰყავსო.
✦ სოლი სოლს გააქვსო.
✦ სოფელი დიდია: ორი სახლი და ერთი ეზო.
✦ სოფელი ვინ და — ერთი კაციო.
✦ სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხო.
✦ სოფელი კაი სათლელი დუმაა.
✦ სოფელში რომ მიხვიდე, იქაური ამბავი ყმაწვილსა ჰკითხეო.
✦ სტუმარი მასპინძლის ვირია, სადაც უნდა, იქ დასვამსო.
✦ სტუმარი მასპინძლის ლხინია.
✦ სტუმარი მიყვარს ასეთი, კბილი არ ჰქონდეს არც ერთი.
✦ სტუმარი რომ ბჭედ დადგება, სახლი მაშინ დაიქცევა.
✦ სტუმარი სტუმარს ეპატიჟებოდა, მასპინძელს ორივე სძულდაო.
✦ სტუმარო, გაისარჯევი, შენი სახეთქიც არისო.
✦ სტუმარს სტუმარი სძულდა, მასპინძელს ორთავენიო.
✦ სტუმარს სახლში არ უშვებდნენ და ფარ-ხმალს თაროში ინახავდაო.
✦ სტუმრის საბაბით მასპინძელი გამოძღაო.
✦ სულგრძელი კაცი სწორედ კაცური კაციაო.

✦ სულელი ვის მოუკვიანებია?
✦ სულელი თავი არც თეთრდება, არც ტიტელდება.
✦ სულელი მეგობარი მტერზე უარესია.
✦ სულელისათვის სწავლება და მკვდრისათვის წამლობა — ერთიაო.
✦ სულელის ამყოლი თვითონაც სულელია.
✦ სულელს გული ენაზე აკერია, ჰკვიანს კი ენა გულზეო.
✦ სულელს დარიგება რად უნდა, ანდა შავს საპონი?
✦ სულელს რა ჭკუა მოეთხოვება.
✦ სულ არარაობას ქალიც შვილიაო.
✦ სულ არარაობას ცალუღელა ხარი სჯობიაო.
✦ სული კრთის, ხორცი კანკალებს.
✦ სული მწარეა, სული ტკბილია, სული სულს იცნობს.
✦ სული სიცოცხლეა და ხორცი მისი საშობიო.
✦ სული სულს იცნობს და გული გულსო.
✦ სული ტკბილიაო.
✦ სულმოკლე კაცი უჭკუოს მონახევრეაო.
✦ სულ ოქრო როდია, რაც ბრჭყვინავს.
✦ სულ უდედობას დედინაცვალი სჯობიანო.
✦ სუფრას საზღვარი აქვს.
✦ სწავლა გონების საზრდოა და ჭკუის წარმატებაო.
✦ სწავლა კაცს სიბერემდის არ მოსქარბდებაო.
✦ სწავლა მადლის დედაა, ბედის გასაღები.
✦ სწავლა სჯობია სიმდიდრეს.
✦ სწავლა ცოდნისა თესლია და ცოდნა ბედნიერებაა.
✦ სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდებაო.
✦ სხვათა მაზიარებელი მღვდელი მოკვდა უზიარებელიო.
✦ სხვათა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის ენაო.
✦ სხვათა ჭირიო — ღობეს ჩხირიო.
✦ სხვა იტყვის, სხვა მოიგონებს, სხვას გამოაბამს კილოსა.
✦ სხვამ რომ გველი შეგიწვას, შენ კალმახი შეუწვიო.
✦ სხვას ორმოს ნუ უთხრი, შენ თვითონ არ გადავარდე.
✦ სხვას სხვისი მზე არ ათბობს.
✦ სხვას სხვისი სიგელი გაუკვირდება.
✦ სხვებისათვის მოტირალი თვალი უცრემლო დარჩებაო.
✦ სხვისი არა შვილობს, როგორც ნაცარი არ ფქვილობს.
✦ სხვისა სანთელო, საკმელო, ჩემი მკვდარი აცხონეო.
✦ სხვისი გიჟი სასაცილოა, თავისი კი სამარცხვინო.
✦ სხვისი თხა სხვისა ბოსტანში ოდელიას იძახოდაო.
✦ სხვისი იმედით ფართე ლოგინს ნუ დაიგებ.
✦ სხვისი ლუკმა გემრიელია.
✦ სხვისი პურმარილით, ღმერთო, ჩემი მკვდარი აცხონეო.
✦ სხვისი საფლავი არავის ამოუვსია.

✦ სხვის სანეხვეზე ორი ბეღურა იბრძოდა.
✦ სხვისი სახრე სხვის კამეჩზე ოროველას იძახოდაო.
✦ სხვისი ჩიტები სხვის კალოზე ლეკურს უელიანო.
✦ სხვისი ცოლის მოიმედე ლოგინს ნუ იფართოებო.
✦ სხვისი ხელით ნარის მოგლეჯა ადვილიაო.
✦ სხვისთვის მამაცი თავისთვის ზარმაცი.
✦ სხვისმა გაკეთებულმა გული მატკინაო, ჩემმა კი წელიო.
✦ სხვისმა ძაღლმა მიკბინოს, ოღონდ ჩემმა კი არა.
✦ სხვის შვილს აკამე და შენს შვილს შეერგება.
✦ სხვის ცხენზე შემჯდომი მალე ჩამოჯდებაო.

ტ

✦ ტაბახმელას ხუთი კომლი, ოცდახუთი მოურავი.
✦ ტაშტი გატყდა და კი არ გატყდა, ხმა გავარდაო.
✦ ტერტერ, ცოლსა გრთავენო და მეც ეგ მინდაო.
✦ ტირილით დამთესი სიხარულით მოიმკის.
✦ ტირილით მკვდარი არ დაიმარხება.
✦ ტკაცატკუცი ბევრია, ნაკვერჩხალი კი არა ჩანს.
✦ ტკბილი სიტყვა რკინის კარს გააღებსო.
✦ ტკბილი სიტყვითა მთას ირემი მოიწველაო.
✦ ტკბილის ნაჩვევი მწარეს ვერ შეეკამსო.
✦ ტლეკვია კაცი ცხრაჯერ გაასამართლეს და ვერა დააკლეს რაო.
✦ ტოლმა ტოლს რითი აჯობა და ადრე ადგომითაო.
✦ ტრაბახი უგვანი კაცის საქმეაო.
✦ ტურა და მელია — ორივე ერთ გზას არიან მავალნიო.
✦ ტურამ სორო გამოთხარა და მაჩვმა წაართვაო.
✦ ტურამ ქვეყანა დააქცია, მგელს ბრალდება აქვსო.
✦ ტურა ტოროლას ასწავლიდაო.
✦ ტყე უყურო ნუ გგონია და მინდორი უთვალო.
✦ ტყეში დათვია, სახლში დედინაცვალი, გზა კი არსაით.
✦ ტყეში ტურა არ გამოილევა.
✦ ტყეში წავიდე — კაცი არა მყავს გზის მასწავლებელი.
✦ ტყუილი თავიდანვე ეშმაკის მოგონილია და მისთვის ყველგან გასავალი აქვს.
✦ ტყუილი კაცს შეარცხვენს.
✦ ტყუილის თქმასაც შნო უნდაო.

✦ ტყუილის მთქმელს ის სარგებელი აქვს, რომ მართალსაც აღარ ეაუჯერებენო.
✦ ტყუილი ფიცი შვილიშვილამდე გასტანს.
✦ ტყუილს ბოლომდე უნდა მიყვე, რომ გაიცხო.
✦ ტყუილს კარამდი მიყევი.
✦ ტყუილს მოკლე ფეხები ასხია.
✦ ტყუილს ნუ ამბობ, თორემ ქარი ადგება.

უ

✦ უადგილო სიმართლე დიდხანს ვერ გაცოცხლებს.
✦ უაზრო ფრინველი დაჯდომის დროს აფრინდებაო.
✦ უარესზე უარესი არ დაილევაო.
✦ უბალღო და უძაღლო ოჯახი დაყრუებულიაო.
✦ უბედოდ არაფერი იქნება.
✦ უბედურება ბედს წინ უსწრებსო.
✦ უბედურის ნაშოვარი ბედნიერმა მოიხმარაო.
✦ უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო.
✦ უბედურმა კოკნა, კოკნა, ბედნიერმა კი შეკოკნაო.
✦ უბედურს წისქვილში შია, ბედნიერს — კალოში.
✦ უგზო-უკვლოდ მოარული მკვდარზე უარესიაო.
✦ უგუნური, უცნებური გადააგორეს ხრამშიო.
✦ უგუნურ მეგობარსა გონიერი მტერი სჯობიაო.
✦ უგუნურს მოყვარე გაჭირვებაში მოაგონდებაო.
✦ უეკლოდ ვარდი ვის მოუწყვეტია?
✦ უვახშმოდ დაწექ, უვალოდ ადექ!
✦ უთავბოლო სიცილი უჭკუობის ნიშანია.
✦ უთქმელი მთქმელი თქმულმა შეჭამაო.
✦ უკბილომ სამი ლუკმით აჯობა კბილიანსაო.
✦ უკეთუ მცოდნოდა, სად დავეცემოდი, ჩალას იქ დავიფენდიო.
✦ უკუდო ამპარტავანი ღმერთსაც სძულს და კაცსაცაო.
✦ უკუდო ვირი კუდის საძებრად მეზობლებში დარბოდა.
✦ უმადლო და უწყალო მდიდარსა და საწყალს შორის რა განსხვავებაა?
✦ უმამაცესი და უფეხმარდესი სიცრუე ვერ გაასწრებს სირბილში პატარა სიმართლეს.
✦ უნაგირი გქონდეს, თორემ ცხენს ბევრჯერ იშოვნი.
✦ უნაგირი ეიშოვე, ცხენი ვერ ეიშოვე, ცხენი ეიშოვე და უნაგირი ვერაო.

✦ უნათესაო ხეც არ არის.
✦ უნამუსო ვირზე შესვეს, „აჩი, ვირო!“ — დაიძახა.
✦ უნამუსოს პირში აფურთხებდნენ და ის იძახდა: იფ, რა კარგიაო!
✦ უნახავმა ლაფი ნახა და შიგ ჩავარდაო.
✦ უნახავმა სალი ნახა, ოჰ, რა სანახავიაო!
✦ უნახავმა რა ნახაო და — ცხრა მთა გადალახაო.
✦ უპატრონო ეკლესიას ეშმაკები შეესია.
✦ უპატრონო ცხვარი ზამთარშიაც იკრიჭებაო.
✦ უპერანგო სიზმარში ცხრა პერანგსა ხევდაო.
✦ უპერანგოს მზე არ ამოუვაო.
✦ უპერანგოს პერანგს ხდიდენ, რაც არ ეცვა, რას გახდიდენ.
✦ უპერანგოსა საკინძეს აგლეჯდნენო.
✦ ურაკუნე კედელსაო, დაარიგე რეგვენსაო.
✦ ურგები შვილი წყალსაო.
✦ ურემი მძიმეა, მაგრამ ტვირთს კი ამსუბუქებსო.
✦ ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მასუკან გამოჩნდებაო.
✦ ურემი რომ გაჩერდება, ხარებს უნდა გაუტლაშუნო.
✦ ურემი რომ ჭრიალს დაიწყებს, საპნის წასმა უნდა.
✦ ურემი უხაროდ არ ვარგა.
✦ ურემს მეტს რომ დაუდებენ, ისიც ჭრიალს დაიწყებსო.
✦ ურია წყალს მიჰქონდა, გზაც იქით ჰქონდა.
✦ ურიას ერთი დღე შეხვდა, ისიც შაბათიო.
✦ ურიგმარიგობამ ზღვა დააშრო.
✦ ურჩი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა.
✦ უსათუოდ მგელი შესჭამს, დედის წინ რომ წავა კვიცი.
✦ უსაყვარლოდ ეს სოფელი რად იქნება საყვარელი.
✦ უსინდისო სტუმარი მასპინძლის მტერიაო.
✦ უსწავლელი გონიერი მიჯაჭვული ლომიაო.
✦ უსწავლელი ქვაზე დაჯდა, ქვა ქვას დაემატაო.
✦ უფალო, ჩხიკვი მოკვდაო, და მე მისი დაბადებაც არ გამიგიაო.
✦ უფასო მუშასა პური არ დაეყვედრებაო.
✦ უფროსი და დედ-მამის სახელით, უმცროსი — უფროსი დის სახელით.
✦ უფროსს ცალი თვალი ბრმა უნდა ჰქონდეს და ცალი ყური — ყრუო.
✦ უფულოდ ვიცხოვრებ, უმეგობროდ — ვერა.
✦ უღმერთო ქუხილს გაიგონებს, ღმერთსაც მაშინ მოიგონებს.
✦ უღონო ღონიერთან დანაშაულია.
✦ უშვილოთა სჯობს სიკვდილი უკეთურ შვილის ყოლასა.
✦ უშვილო კაცი ჯირკია.
✦ უჩინარი მტერი გამოჩენილზე უარესია.
✦ უცბად გამწარებული გული დაუნდობელია.
✦ უცაბედად კაცს კაციც კი შემოაკვდება.

✦ უცებ მოსულ მტერს იმითი დახვდებიან, რითაც შეხვდებიან.
✦ უცეცხლოდ კვამლი არ იქნებაო.
✦ უცოდველი კაცი არაა.
✦ უცხო მხარეში შევარდენსაც ყვავს უძახიანო.
✦ უძრავად მდებარე ქვას ხავსი მოეკიდება.
✦ უწინ ბებერს მიართვი, ის უფრო სულწასულია.
✦ უწყლოდ, უპუროდ, უღვინოდ ყამი აროდეს იწირვის.
✦ უპკუო თავმა ფეხებს ზარალი მისცაო.
✦ უპკეო კაცს ცოტაც გაუკვირდებაო.
✦ უხეირო ამპარტავანი ღმერთსაც სძულს და კაცსაცაო.
✦ უხეირო ამპარტავანს შინ სცემენ, გარეთ არ ამბობს და გარეთ სცემენ, შინ არ ამბობსო.
✦ უხარო კაცს ისეთი სახვნელ-უღელი უნდა ჰქონდეს, რომ მას ხარიანი კაცი ეხვეწებოდეს — შენს სახვნელს ჩემს ხარებს მოვუბამო.
✦ უხეირო ქოლგა წვიმაში დაიშლებაო.
✦ უხეირო ხელსანი უხეირო ნაკეთებს უხეირო იარაღს დააბრალებსო.
✦ უხორცობის გამო ძაღლის ხორცი არავის შეუჭამიაო.
✦ უჯიშობისგან ჯიშიანი არ ნახულა, არ იქნება.
✦ უჯიშო ცხენსა ნუ აჭმევ ქერსა.

ფ

✦ ფათერაკს თვალი არ უჩანს.
✦ ფანციფუნცი გაცვდებაო, შავი ყამი დარჩებაო.
✦ ფარა უკან მობრუნდა და კოკლი ცხვარი წინ მოექცა.
✦ ფარამ რომ ხეს შებღავლოს, ხე გახმებაო.
✦ ფარაში მგელი შევარდა — ვაი ერთის პატრონსაო.
✦ ფაფა წამიხდა რევითა, კორკოტი მოურეველობითაო.
✦ ფაფით პირდამწვარი დოსაც სულს უბერავდაო.
✦ ფაფის მჭამელს კოეზი ზურგში უნდა ერეოსო.
✦ ფაცხა იყოსო, ოღონდ შიგ რამე იყოსო.
✦ ფერი ლალისა, გემო წყალისა.
✦ ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა.
✦ ფერისცვალობა დღეს ირემი ხეს არ შეეფხანება.
✦ ფეტვი და ყველაზე მეტიო.
✦ ფეხიანს დავეშუროთო, თორემ უფეხო სად წავაო!
✦ ფეხი თბილად, თავი გრილად.
✦ ფეხი ისე გადადგი, რომ თვალში ჩხირი არ მოგხვდესო.

✦ ფეხი იქამდე გასჭიმე, სანამ საბანი მოგწვდებაო.
✦ ფეხსაცმელი მოხუცს ქუსლში გაუცვდება, ახალგაზრდას წვერშიო.
✦ ფია-ფუა ყმაწვილსაო, დიდი ლუკმა შვილსაო.
✦ ფინთს უთხარი კარგი ხარო, თორემ კარგი თავადაც კარგიაო.
✦ ფიცი გასტეხს მტყუან კაცსა.
✦ ფიცი პატარაზე გასჭრის.
✦ ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.
✦ ფოთოლი რომ მიიტანო, სახლს ისიც შეემატებაო.
✦ ფონი გასვლის შემდეგ უნდა აქო.
✦ ფონი კარგია, მაგრამ გასავალს აღრჩობსო.
✦ ფრთხილთა დედანი არა სტირიანო.
✦ ფული მოსამსახურედ კარგია, ბატონად კი არ ვარგა.
✦ ფული ფულთან მივა.
✦ ფური ნახე და საწველი ისე ითხოვე.
✦ ფურმა იწველა, იწველა, ბოლოს ჰკრა წიხლი და სულ დაღვარაო.
✦ ფურო ვისი ხარო? — ვის კარზედაც ვბღავიო.
✦ ფუტკარი ასი თავი გყავდეს, ერთი თქვი. ერთი გყავდეს და ასი თქვიო.
✦ ფუტკარს თავი თაფლში ედო, კიდევ თაფლს დაეძებდაო.
✦ ფუყე თავთავი თავს მაღლა იწევს, სავსე კი მუდამ თავდახრილიაო.
✦ ფუჭი კაკალი არც ყვავს არგია და არც კაცსაო.

ქ

✦ ქათამი რომ დაგვილს ნახავს, გულზე შემოეყრებაო.
✦ ქათამი რომ წყალს დალევს, ღმერთს შეხედავსო.
✦ ქათამმა უთხრა კვერცხსაო: ეგეთი ვიყავ მეცაო.
✦ ქათამმა ჩხრიკა-ჩხრიკა და თავისი დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო.
✦ ქათმის მომჩივანს ინდოური კალთაში უნდა ჰყავდესო.
✦ ქათმის შესაძლო კვერცხია.
✦ ქალაქი რომ შენდებოდეს, იქიდან ფეხი არ უნდა გამოდგაო.
✦ ქალაქის კარი სათლელი დუმა არისო.
✦ ქალი აშენებულ ოჯახს დააქცევს და დაქცეულს ააშენებს.
✦ ქალი — თმიანიო, მწვადი ცერიანიო.
✦ ქალი სხვისი კერის ნაცარია.
✦ ქალი სხვისი საქონელიაო.
✦ ქალი ქმარს სწუნობდა, იყო მისი ამარაო.
✦ ქალი — ქმრითა, ცხვარი — მთითა.

✦ ქალი შენ საკუთარ ჩრდილსა ჰგავს, თუ მისდევ, გარბის, თუ გაურბი — მოგდევს.
✦ ქალს რომ დედა მოუკვდება, ბედი მაშინ შეეკვრებაო.
✦ ქამარს რომ გახსნიან, ჩოხასაც გაგხდიან.
✦ ქანქი-ქუნქი ქანქარაო, გინდ ყოფილა, გინდ არაო.
✦ ქარი ვაზს ფოთოლს ვერ დააყრევინებს.
✦ ქარისა არც მოტანილი მინდა, არც გატანილიო.
✦ ქარის მთესველი ქარიშხალს მოიმკისო.
✦ ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო.
✦ ქაჩალი ისე არ მოკვდება, დალაქი არ დასჭირდესო.
✦ ქაჩალი სავარცხლის გაძვირებას ჩიოდაო.
✦ ქაჩალიც მივა დალაქთან.
✦ ქაჩალმა თავი ჯერ არ მოიფხანა, მერე სულ მოიგლიჯაო.
✦ ქაჩალმა წამალი იცოდეს, თავის თავს უწამლებდაო.
✦ ქაჩალს ერთი ნავი სავარცხელი ახარებსო.
✦ ქაჩალს ჰკითხეს, ვინ უფრო გძულსო და ვინც თავი დამვარცხნაო.
✦ ქაჩალმა უთხრა ქოჩრიანს: აი, შე ქაჩალოო.
✦ ქერის ლავაშს დედაბრის ქორწილში აბა ვინ დაიწუნებს?
✦ ქვა თავის ადგილზე მძიმეა, დაიძვრება — გამსუბუქდებაო.
✦ ქვა ნუ აგორდება და მე ნუ მეცემაო.
✦ ქვა რაკი ადგილიდან დაიძვრება, ბუმბულზე უფრო დამსუბუქდებაო.
✦ ქვა რომ ქვა არის, დაიშექებს და გასკდებაო.
✦ ქვას კლდიდან დანაგორევსა დამსხვრევა არ ასცილდებაო.
✦ ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო.
✦ ქვეითი ცხენოსანს დასცინოდაო.
✦ ქველის სახელი მოფინე, ნუ მოისურვებ ქებასა.
✦ ქვეყანა ბორბლიანია, ზოგს აქეთ აბრუნებს, ზოგს იქით.
✦ ქვეყანა იქცეოდა და ქეციანი აბანოში გარბოდაო.
✦ ქვეყანა იქცეოდა, ტურა ქორწილს ექცეოდაო.
✦ ქვეყანა კიბეა, ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის.
✦ ქვეყანას რომ თითო ძაფი ჩამოარჩინო, შიშველს პერანგი გამოუვაო.
✦ ქვეყანა ქარვასლაა, ზოგი შედის, ზოგი გამოდის.
✦ ქვეყანა ქარვასლაა, ჩვენ კი ქარავანი.
✦ ქვეყანა ქვეყნის მოვალეაო.
✦ ქვეყანა ქვეყნობითაა.
✦ ქვეყანა ჭრელია.
✦ ქვეყნის მაზიარებელი დარჩა უზიარებელი.
✦ ქვეყნის სატირალს ცენტერაძის მონოზონი ტიროდაო.
✦ ქვიდან გამოძვრა, სიპში შეძვრაო.
✦ ქვიდან ქვაზე გარდამავალს წყალსაც ფერი შეეცვლებაო.
✦ ქვით ქვასა სტეხენ და რკინით რკინას ულესავენ პირსაო.

✦ ქვისლებმა ვირი ყანიდან ვერ გადმოდენესო, სიძემ და ცოლის-ძმამ კი დევი ყურით დააბესო.

✦ ქვიშის საბელი ვის დაუგრეხიაო.

✦ ქვრივი დედაკაცის ქალს ნუ შეირთავ, სათუთად ეყოლება გაზრდილიო.

✦ ქვრივი რომ განაზდებაო, მაშინ გალამაზდებაო.

✦ ქვრივმა თქვა: ისეთი ბედი ვინ მომცა, რომ სანეხვეზე ჩურჩხელა ვიპოვნოო.

✦ ქისტი კაის მოლოდინში კვდებაო.

✦ ქისტს დუმაის ხსენება ჭამად მიაჩნიაო.

✦ ქიც ვიცი და ქიცმაცურიც.

✦ ქმარი ლაშქრიდან დაბრუნდა, ცოლი ამბავს მოუთხრობდაო.

✦ ქმარი მუშა არის, ცოლი კალატოზი.

✦ ქმარი სვამს — ნახევარი სახლი იწვის, ცოლი სვამს — მთელი სახლი იწვის.

✦ ქმარმა რომ სიზმარი ნახოს, ცოლმა უნდა გაიგოსო.

✦ ქოთანი დაგორდა, სარქველი იპოვნაო.

✦ ქოთანი ქვაბს აქებდა, ქვაბი ქოთანსაო, მაგრამ ჭვარტლი არც ერთს არ აკლდაო.

✦ ქოთნის ამბავი ციცხვს ჰკითხე.

✦ ქონება თავს არ დამალავსო.

✦ ქონება მგზავრია.

✦ ქონი აიღეს და მსუქანს მიაკერესო.

✦ ქორი ქორსა სჩეკს, ძერა — ძერუკასაო.

✦ ქორო მრავლისა მღევარო, ბევრჯერ დამრჩები მშიერი.

✦ ქორს აფრენა უნდოდა და ხელის აქნევას ელოდაო.

✦ ქოფაკმა ძაღლმაც კაი ძებნა იცის, მაგრამ ცხვირში ეკალი ეჭავრებაო.

✦ ქორწილში ძაღლებიც მივლენ.

✦ ქრთამი ღმერთთანაც სჭრისო.

✦ ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებსო.

✦ ქუდი დასდე და სამართალი ისე ჰქენიო.

✦ ქურდთან რომ გაიარო, შენც ქურდს დაგიძახებენო.

✦ ქურდი თავის სახლს ვერ ააშენებს, სხვისას კი დააქცევსო.

✦ ქურდი ისე არ სტყუის, როგორც ნაქურდალის შემნახველი.

✦ ქურდის ქურდი არ წაწყდება.

✦ ქურდი ქურდობას არ მოიშლის.

✦ ქურდის შემნახველი ქურდზე უარესიაო.

✦ ქურდი ფიცზედ მზად არისო.

✦ ქურდმა ერთი ცოდვა ჰქნა, დამკარგავმა — ათასიო.

✦ ქურდმა თავისი წისქვილი მოიპარაო.

✦ ქურდმა მოსაპარი რომ ვერაფერი ვერ ნახა, თავის ქუდი დასდო და ის მოიპარაო.
✦ ქურდმა ფიცი იშოვა და შინ მახარობელი გაგზავნაო.
✦ ქურდმა ქურდს მოპარა და ღმერთმა გაიცინაო.
✦ ქურდს რომ კაცმა ყური უგდოს, დღეში ათჯერ გამოტყდებაო.
✦ ქურდს სახლი ეწვოდა და არ უჯერებდნენო.
✦ ქურდს ფიცი პირზე აკერიაო.
✦ ქურდს ქუდი ეწვისო.
✦ ქუხილით წვიმა არ მოვა, ხმა დაგდებითა — ლაშქარი.

ღ

✦ ღამემ გაიარა, ამაგმა ჩაიარაო.
✦ ღამის ქურდს დღისით დაიჭერენ.
✦ ღარიბი კაცი დღეში ცხრაჯერ მოკვდებაო.
✦ ღარიბის ლუკმა ტკბილია.
✦ ღარიბს ორი ეხარჯება, მდიდარს — ერთი.
✦ ღარიბს უთქვამს: სტუმარს რომ ხახეი მივართვა, ისიც მწვადად ჩამეთვლებაო.
✦ ღვინით გალახულს ჯოხით გალახული სჯობიანო.
✦ ღვინის ქურდი მთხლეზე დაიჭირეს.
✦ ღვინო არსად იყო და ეშმაკები ტიკს ალბობდნენ.
✦ ღვინო მთხლეზე რომ დავა, მაშინ გაგემრიელდებაო.
✦ ღვინომ თქვა: ჭკვიან კაცთან ბრძენი ვარ, რეგვენთან წამოვჩქარდებიო.
✦ ღვინომ კასრი გახეთქა და კაცს რას უზამსო.
✦ ღვინოს დაუმეგობრდები, ნამუსს დაეშვიდობებიო.
✦ ღვინო — უფროსისაა, წყალი — უმცროსისაა.
✦ ღობემდის რომ გინდოდეს, ღობეს იქით დაიჩემეო.
✦ ღომის ჭამასაც ცოდნა უნდა.
✦ ღორზე და დათვზე ღონიერი არაფერია, მაგრამ ღორობა და დათვობა მოსდევთო.
✦ ღორი ლაფში გორვას არ მოიშლის.
✦ ღორი როცა დაიკვლება, წონა მაშინ გამოჩნდება.
✦ ღორი საღორეში არ შევა, სანამ ზურგზე თოვლი არ დაედინება.
✦ ღორის თავი ხალიჩაზე დადეს, იგორა, იგორა და ისევ ლაფში ჩავარდაო.
✦ ღორის კუდი ნუ გექნება, თორემ ეშვები თავის თავად გამოგებმისო.

✦ ღორმა გვერდი იქით იბრუნა, საითაც დიდი ლაჟი ნახაო.
✦ ღორმა თქვა: დამკალ და დამაფასეო.
✦ ღორმა თქვა: თუ შემინახავ, მეც შეგინახავ, თუ არ შემინახავ და აღარც მე შეგინახავო.
✦ ღორმა თქვა: რაც გოჭები დაეზარდე, წმინდა წყალი აღარ დამილევიაო.
✦ ღორსა სიმინდი გინდა ქეჩოში ჰქონია, გინდა ცხრა მთას იქითო.
✦ ღორს გინდა აღმა დაფხანე და გინდა დაღმა, მაინც ღორია.
✦ ღორს თუ დინგით არა, კუდით მაინც იცნობენო.
✦ ღორს რომ რქებიც მისცა, მთელ ქვეყანას გადააბრუნებდაო.
✦ ღრუბლიანი დღე ზარმაც პატარძალს დილა ეგონაო.

ყ

✦ ყანა რომ წახდა, ბაღჩამ შემოუძახაო.
✦ ყარყუმი რამ მოკლა და თავისმა ენამაო.
✦ ყბადაღებული — წყალწაღებული.
✦ ყბედი ვინ მოღალა და მუნჯმაო.
✦ ყბედმა რამდენიც უნდა იყბედოს, მაინც არ მობეზრდება.
✦ ყეფითა და ყივილითა სოფელი არ აშენდებაო.
✦ ყვავი თითონ ყარდა და ბუდეს იცვლიდაო.
✦ ყვავი ნეხვზე იჯდა და ბოლოს არიდებდაო.
✦ ყვავის კვერცხისაგანა ყვავი დაიჩეკებაო.
✦ ყვავმა თქვა: შავ ზღვაზე რომ გადავფრინდები, იქ თოვლივით თეთრ კვერცხებს დავდებო, მაგრამ რომ გადაფრინდა, იქაც შავი კვერცხი დადო.
✦ ყვავმა ყვავს წასძახა: ჰაი, შე ყვანჩალაო.
✦ ყვავმა შვილები დაზარდა — დაჯდა, თვითონვე დასჭამაო.
✦ ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონს.
✦ ყვავს რა აქვს, კაჭკაჭს რა მისცესო?
✦ ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდა.
✦ ყვავს რომ კაკალი გააგდებინო — ისიც კარგიაო.
✦ ყვავს შევარდნად ზრდიდენ და ის ისევ „ყვას“ იძახდაო.
✦ ყვავს შვილი მოუკვდა, ბუს მიუგდო: დიდი თავი გაქვს და იტირეო.
✦ ყველა ბებიასა სცემდა, ერთი მეც წაუქნიეო.
✦ ყველა ბუზი ბზუისო, ფუტკართან ყველა სტყუისო.
✦ ყველა გლახას დიდი გული აქვსო.
✦ ყველა გულითა ხარობდა, ცეცხლი კი — უგულობითო.

✦ ყველა დაბალ ღობეზე გადადისო.
✦ ყველა თავისას სჩიოდა, მენახირე — ბუზანკალსაო.
✦ ყველა თავისი ბედის მჭედელია.
✦ ყველა კაცი სიკვდილის შვილია.
✦ ყველა მელას თავისი კუდი მოსწონსო.
✦ ყველამ თავის კერას უბეროსო.
✦ ყველას აკლდებოდეს, სარეცხს კი არა.
✦ ყველა საქმე ქვეყანაზე რიგდება, ცოლქმრობა კი ზეცაშიო.
✦ ყველა სიკვდილმა გვერდით ჩამოიარაო, შვილის სიკვდილმა გულზე გადამიარაო.
✦ ყველაფერი დროს ელის, დრო კი — არაფერსო.
✦ ყველაფერი ნატკენს ეტანება.
✦ ყველაფერი, როგორც არ იქმება, ისე არც ითქმება.
✦ ყველა ფეხთ იხდიდა, კახაბერი იცვამდაო.
✦ ყველა ფრინველი ფრთით ფრინავს, ქალი კი — ქმარ-შვილითაო.
✦ ყველა ყველას არგებს, მაგრამ მუცელი მუცელს არ არგებსო.
✦ ყველა ძაღლი ერთი ჯოხით არ გაიდენებაო.
✦ ყველა ძაღლი თავის ჭიშკართან მამაცია.
✦ ყველა ჭაში რომ ჩააფურთხო, რომელი უნდა დალიო.
✦ ყველი და პურის მჭამელმა ღმერთს აღარ შეხედაო.
✦ ყველიერმა ზღვა დააშრო.
✦ ყველიჭამიას ყველი აგონდებაო.
✦ ყვითელი ოქრო შავი დღისთვისო.
✦ ყმაწვილებს სათამაშოებით იტყუებენ, მოზრდილებს — ფიცითაო.
✦ ყმაწვილი ტირილით იზრდება, გოჭი — ჭყივილითაო.
✦ ყმაწვილს გვამი პატარა აქვს და გული დიდიო.
✦ ყმაწვილს რომ კაკალს მისცემ, იმის გასატეხიც თან უნდა გააყოლოო.
✦ ყმაწვილს ხელმწიფეზედაც დიდი უფლება აქვსო.
✦ ყოველგვარ ჭირს ფეხი ზიდავს, ფეხს კი — არაფერიო.
✦ ყოველი გამყიდველი თავის საქონელს აქებს.
✦ ყოველი საათი ჩვენ გვკოდავს, უკანასკნელი კი გვკლავს.
✦ ყოველი კაცი თავისი ჭირის მჭამელია.
✦ ყოველი ყური ვერ შესძლებს ხვაშიადისა სმენასა.
✦ ყორანმა შაშვის ჯავრითა შროშანი მოჰკლაო, შენც შავი ხარო და ისიცაო.
✦ ყრმა გასულ-გამოსული სჯობს, ქალი კერას პირს მჯდომიო.
✦ ყრმა სწავლაში დამშვიდდების, რკინა ცეცხლში დარბილდებისს.
✦ ყრუსთვის ორჯერ არა სწირავენო.
✦ ყურმა თქვა: უცხო-უცხო ამბები რომ მესმის, იმიტომ არ ვიზრდებიო.
✦ ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნიდნენო.
✦ ყურძნის ქურდი იანვარში გამოტყდებაო.

შ

✦ შავი მიწისთვის ბეწვიც კი დასანანია.
✦ შავი მიწის მეტი კაცის თვალს ვერა გააძღებს რაო.
✦ შავი ტანი, თეთრი ტანი — აბანოში გამოჩნდებაო.
✦ შავი ძაღლი და თეთრი ძაღლი ორივეა მამაძაღლი.
✦ შავი ცხვარი ბანით მოკლეს, თეთრი — დაუბანელობით.
✦ შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა, განა სულ ყველას სმა უნდა? პირში მოსულსა სიტყვასა განა სულ ყველას თქმა უნდა?
✦ შავ მთასა შავი ყორანი არ დააკლდებაო.
✦ შავ ღორსა გინდა აღმა დაფხანე და გინდა დაღმა, მაინც ღორია და ღორიაო.
✦ შავ ღორს შავი კერი არ დაელევაო.
✦ შარიანმა კაცმა შარის გულისათვის შარა მოხნაო.
✦ შარშან მამიდა მომიკვდა, წრეულს ახდა, ვაგლახ მეო.
✦ შარშან ჩემი შვილი ცხენს აჭენებდა, წრეულს ველარც კი გააჩიქჩიქაო.
✦ შაშვსა არ უნდა ლაგამი, არც ბულბულს უნაგირიო.
✦ შეაქეს მურია და შეაჭამეს მგელსაო.
✦ შეემატოს მღვიძარესო, შემოაკლდეს მძინარესო.
✦ შემოდგომაზე ბუზი მწარედ იკბინება.
✦ შენახულს შემნახავი უნდა სჯობდესო.
✦ შენ გძინავს, ვალი იზრდება.
✦ შენი ბატონი ათ წელიწადს ვირად რომ გყავდეს, ჰაცე არ უნდა ჰკადროო.
✦ შენი ბატონი ხიდად რომ გაგედოს, ზედ ნუ გაივლიო.
✦ შენი თუ არ იცოდე, სხვისი უნდა დაიჯერო.
✦ შენი კარი გააღევი, სხვისი ღია დაგხვდებაო.
✦ შენი მეზობელი შენს სხვენზეაო.
✦ შენ იმისი გეშინოდეს, ეისაც შენი ეშინია.
✦ შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერე.
✦ შენიჭირიმეთი შვილი არ გაიზრდებაო.
✦ შენი ჯაგლაგის ჭენება გერჩივნოს სხვისი ბედაურის ჭენებასაო.
✦ შენ მოკეთეს სამჯერ მოსწიე, თუ არ მოვიდეს, ჰკარ, უკუ და გააგდე.
✦ შენ რას იკვეხი, მამულო, ყანა ამინდის შვილია.
✦ შენ რომ დიდი ტანი გქონდეს, ჩემი შეიდიშისა რა ბრალია.
✦ შენ რომ სასწავლად მიხვიდოდი, მე ნასწავლი მოვდიოდი.
✦ შენს მტერს თუ ხელთ აქეს ისარი, ნურც შენ გიჭირავს ფიცარი.
✦ შენ ხილი იგემე და მეხილეს რას კითხულობ.
✦ შენც გინდოდა, მეც მინდოდა, მოციქული რად გვინდოდა.
✦ შენც იგი უყავ სხვასაო, რაც არგებს შენსა თავსაო.
✦ შერიგებული მტერი ორმაგი მტერია.
✦ შეუდეგი აღმართსაო, ნურას იტყვი მართალსაო.

✦ შეუცდომელი მამაცი გულოვნად გამბედაკია
✦ შეშინებულმა ძაღლმა სამ დღეს ბუჩქს უყეფა
✦ შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსაო
✦ შეძახებული — წყალწაღებული.
✦ შეძლეული პური ძაღლმა არ შეჭამაო.
✦ შვიდ მაისს რომ შვიდი ღერი ყანა გედგას, ნურც აქებ და ნურც აძაგებო.
✦ შვიდჯერ თეალი გადააველე, ერთხელ ხმალი გადააველე.
✦ შვილი თუ სტყუა, მამაც სტყუა.
✦ შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრულად გამოგადგებაო.
✦ შვილი ჩემია, მაგრამ ჭკუა კი თავისი აქვსო.
✦ შვილმა გული გაიარა, შვილიშვილმა გულის გული.
✦ შვილმა რომ დედის გულისათვის ხელისგულზე ერბოკვერცხი მოიწვას, იმის ამაგს მაინც ვერ გადიხდისო.
✦ შვილსა დედა გაუსინჯე, სამოსელსა — ნაწიბური.
✦ შვილსაცა და შვილის მკვლელსაც სამართალი ერთი უნდა.
✦ შვილს დედ-მამა ხაზინა ჰგონიაო.
✦ შიგ ჩაეგდე თონისტოლა, გამოვიდა ქოთნისტოლა.
✦ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.
✦ შინ დაბარებული გარეთ არ გამოდგებაო.
✦ შინაური ქალი ელამია.
✦ შინაურულად გაყოფილი კაცი მუდამ გასაყოფი იქნებაო.
✦ შინ მოტანილი ქვაც ქადაა.
✦ შინ მოუსვლელი და მკვდარი ერთიაო.
✦ შინ მცემენ კარში ვერ მითქვამს, კარში მცემენ, შინ ვერ მი-თქვამს.
✦ შიში მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო.
✦ შიში მაჩვენე და მუხლს გაჩვენებო.
✦ შიშს დიდი თვალები აქვს.
✦ შოლტი ისე უნდა მოიქნიო, რომ შენვე არ მოგხვდესო.
✦ შორეულ მოყვარეს ახლობელი მტერი გერჩიოსო.
✦ შორეულ ცხენოსანს მახლობელი ვიროსანი სჯობიანო.
✦ შუაკაცის გული ხალვათიაო.
✦ შუბი ხალთაში არ დაიმალებაო.
✦ შურიანები კვდებიან, მაგრამ შური კი ისევ რჩებაო.
✦ შურიან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ეკლად ეჩხირებოდაო.
✦ შური ფრინავს ჰაერში, სიკეთე კი — მთლად ერში.

ჩ

- ჩათრევას ჩაყოლა სჯობიანო.
- ჩამავალი მზე ამომავალ მთვარეს განზე უყურებსო.
- ჩამოხრჩობილის ოჯახში თოკზე ვინ ილაპარაკებს.
- ჩანჩალა კაცი წინ ვერ წაეა.
- ჩემი ავლადიდებაო კურდღელს აეკიდებაო.
- ჩემი არ გითხრა, გული რით დაგწყვიტო?
- ჩემი ურგები ქოთანი ქვას და მაწონი ძაღლსაო.
- ჩემი გასამტყუნარი თოხი დამრჩა ახოშიო.
- ჩემი გაჭედილი ხატის მადლი მე თვითონ ვიციო.
- ჩემმა დაჭედილმა ჯორმა წიხლი ისევ მე მკრაო.
- ჩემი მტერი ჩემი სინიდისიაო.
- ჩემი ენა ჩემი მტერი, იგივ მეგობარი ჩემი.
- ჩემი ურგები შვილი წყალსაო.
- ჩემი უსიამოვნო მარჯვენა ხელიც არ მინდა.
- ჩემი წყველა — ტალიფითა, მეზობლისა — ალიეითა.
- ჩემმა ენამ პანღური ამომკრაო.
- ჩემმა თავმა ქვა მესროლა.
- ჩემმა ტიკტიკა ენამა მეევ გამარტყა ყბაშიო.
- ჩემს იქით თოფი გინდა კუნძს მოხვდეს და გინდა კაცსაო.
- ჩემს მუნიან თავზეც შემოჯდება მწერი.
- ჩვენ ერთმანეთისგან მხოლოდ თოხი და ბარი გაგვყრისო.
- ჩვენი ქვაბი და მეზობლის ბატი სწორი-სწორ მოვიდენო.
- ჩვენს ბატონს გაუვიდაო და ნამუსი წაუვიდაო.
- ჩვენც მართალნი ვიქნებით, როცა აღარ ვიქნებით.
- ჩვეულებამ პანღური ამომკრაო.
- ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.
- ჩიტი ბდღვნად არ ღირდა, დევნა სულ მეტი იყო.
- ჩიტი მთაში გაიზარდა, მთას შეაკვდაო.
- ჩიტი ოქროს გალიაში რომ ჩასვა, მაინც ტყვეაო.
- ჩიტი სადაც გაიზრდება, მისი ბაღდადი ის არის.
- ჩიტის ნანახი კანაფი არ გაიხარებსო.
- ჩიტი ღობეს იმიტომ შეხიზნდა, ქარს ნუ გამატანო.
- ჩიტს აფრენა უნდოდა და აფრთხობას ელოდაო.
- ჩიჩხინა კაცი ბევრ კურდღელს გააქცევსო.
- ჩიქორა ცემით მოკლეს, რატომ ძმა არა გყავსო.
- ჩუმჩუმათობა ოჯახის დამქცეველიაო.
- ჩურჩულმა ქვეყანა ამოაგდო.
- ჩუქებას ჩუქება უნდაო.
- ჩქარი კაცი სიტყვისა საქმეში ბევრჯერ წააგებსო.

✦ ჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო.
✦ ჩხავანა კატა მახეში გაბმულ თაგვზე გაიმარჯვებსო.
✦ ჩხუბს თაელაფიანობა მოსდევსო.
✦ ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, რომ შერიგების დროს შეგრცხვესო.

ც

✦ ცალი ხელით ტაში არ დაიკვრებაო.
✦ ცალკე მომჩივანი ბატონს ორივე მართალი ეგონაო.
✦ ცა მწყალობდეს, თორემ ღრუბელი რას დამაკლებსო.
✦ ცარიელ კაცს საბაჟოზე მიუხაროდაო.
✦ ცარიელი ტომარა ფეხზე არ ღადგებაო.
✦ ცარიელმა თითმა პირი გამოქლიბა.
✦ ცარიელ ჯამში ხელს არავინ ჩაჰყოფს.
✦ ცას არავინ შეაბერდებაო.
✦ ცაცი ძირს ვერ დადიოდა, ხეზე დაბაჯბაჯებდაო.
✦ ცდა ბედის მონახევრეაო.
✦ ცდომილებას ათასი გზა აქვს, ჭეშმარიტებას კი ერთიო.
✦ ცეკვას დათვსაც ასწავლიან.
✦ ცეტისათვის სულ მუდამ აღდგომაა.
✦ ცეცხლი თივაში არ დაიმალებაო.
✦ ცეცხლს ნუ ეხუმრები, წყალს ნუ ერწმუნები.
✦ ცეცხლს ხელსა ვკიდებდი და გულსა მწვავდაო.
✦ ცეცხლი ისე ჩააქრე, რომ ბოლი არ აუვიდესო.
✦ ცეცხლიდან გაქცეული წყალში დაიხრჩობაო.
✦ ცეცხლი და წყალი არც ერთი სანდო არ არის.
✦ ცეცხლის პატარა ნაპერწკალი დიდ გორას გადაწვავსო.
✦ ცვარში დახრჩობას ზღვაში დახრჩობა სჯობიანო.
✦ ცვარი ცვარსა ჰკარ ზღვად იქცევაო.
✦ ცვარი წვიმა კი არ არის, მაგრამ მისებრ მარგებელიაო.
✦ ცვილი რვალად არ გამოდგებაო.
✦ ცივი ღომი კარამდე, ხინკალი მთამდე.
✦ ციება კაცსა, თუ სიცოცხლეში არა — მკვდარს მაინც გაუვლიმო.
✦ ცინგლიანი კაცის მიზეზი ავი დარიაო.
✦ ცისარტყელას დარი მოსდევს.
✦ ცის ვალი დედამიწას არ შერჩენია და დედამიწისა — ცასაო.
✦ ციხე ვისიცაა, მინდორიც მისია.
✦ ციხე შიგნიდან გატყდებაო.

✦ ციხეს კარი უნდა, კარს უკან კაცი.
✦ ცოდვა კაცს არ მოასვენებს.
✦ ცოდვა გამქღავნებული სჯობია.
✦ ცოდვავ, გაანებე კაცს თავი, დაიცა, ჯერ კიდევ პირში სული უდგიაო.
✦ ცოდნა გონების ფარია, თუ რომ არავინ არია.
✦ ცოდო კაცს არ დააყენებს.
✦ ცოდო შვილიშვილამდეო.
✦ ცოდნა სამოთხეა და არცოდნა ჯოჯოხეთი.
✦ ცოდნა სიწათლეა, უცოდინარობა — სიბნელე.
✦ ცოლი შერთეს უნდილსაო, ეგრე იყო უწინაცო.
✦ ცოლ-ქმრის ამბავი მარტო ლოგინმა უნდა იცოდესო.
✦ ცოლს ნუ უწევ ღაზობასა, არ მოგიშლის ბრაზობასა.
✦ ცოლის ნამზითევს კვირის სადილი მირჩევნიაო.
✦ ცოტა და კარგი ნახნავი სჯობია ბევრსა და ხარვეზიანსა.
✦ ცოტავ, სად მიხვალ და ბევრთანაო.
✦ ცოლი მყავს და გაღმა კაცსა ჰყავსო.
✦ ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ლიტრა საფანელი.
✦ ცოლის ამორჩევაში უფრო ყურები მოიშველიე, ვიდრე თვალებიო.
✦ ცოლ-ქმარის ლაპარაკი რეგვენს გაყრა ეგონაო.
✦ ცოტა მოთოხნე, ცოტა მოხოხნე.
✦ ცოტა მეძინა, ბევრი რამ მესიზმრა.
✦ ცოტა რამ კვერის დამკვრელის ხელშიც არისო.
✦ ცოტას მხვნელ-მთესველი ღმერთს ემდურებოდაო.
✦ ცოტა ყოველთვის დარჩებაო.
✦ ცოფიან ძაღლს, სადაც მოჰკლავენ, იქვე დამარხავენო.
✦ ცოცხალს არ მეცვა კაბანი, მკვდარსა ჩამაცვეს ფარჩანი.
✦ ცუდად ჯდომას, ცუდად შრომა სჯობიანო.
✦ ცუდი, უსაქმური კაცი სულ მშიერი იქნებაო.
✦ ცუდ მუშას შემოდგომაზე მოუკვდება გულიო.
✦ ცუდი მეზობელიც კი მეზობლისათვის ამომავალი მზეა და კარგი რაღა იქნებაო.
✦ ცუდ მოყვარეს კარგი მტერი სჯობიაო.
✦ ცუდი გაზრდილი შვილი დედის სირცხვილია და მამის მწუხარებაო.
✦ ცუდი შემნახველი ქურდზე უარესიაო.
✦ ცუდმა მჭედელმა თავისი წაადოო.
✦ ცუდი ჩვეულებისათვის ჭკვიანსაც სულელს დაუძახებენო.
✦ ცუდობა და უსაქმობა კაცისათვის დიდი ჭირიაო.
✦ ცუდს არ მაკადრიანო, კარგს არ მაღირსიანო.
✦ ცულით პატარა ხელი დიდ ხეს მოსჭრის.
✦ ცხარე ქოთანი თავის თავს გახეთქავს.

✦ ცხარე ძმარი თავის ჭურჭელს გახეთქავსო.
✦ ცხვარს უთქვამს: დუმა რომ არ მიშლიდეს, ასეთს გავიქცეი, ვერავინ დამეწევაო.
✦ ცხვარი შიმშილითა კვდება, თხა კიკინით გამოვიდა.
✦ ცხვარი ცხვარია და თუ გაცხარდა, ცხარეაო.
✦ ცხენი თუ არ ამუშავე — ბატონია.
✦ ცხენს კუდს მოედანზე თუ მოსჭრი, ზოგი გრძელს იტყვის, ზოგი მოკლეს და დაგიმახინჯებენო.
✦ ცხენის სიკვდილი ძაღლების ქორწილია,
✦ ცხენი თუ სადავით მიგყავს, სიარულით არ დაიღლებიო,
✦ ცხენის მოლოდინით კაცი სიარულით არ დაიღლებაო.
✦ ცხენი ჯობს მდგომიარე, ხარი მწოლიარე.
✦ ცხენი დაბერდა და თოხარიკი მერმე ისწავლაო.
✦ ცხენიდან გადმოვარდნა სჯობს — ვირიდან გადმოვარდნასაო.
✦ ცხენიდან გადმოვარდნილი — ვირმაც არ შეისვაო.
✦ ცხენიც კი არ წავა უმათრახოდ.
✦ ცხენს ვერა დააკლო რა, უნაგირს ამტვრევედაო.
✦ ცხენს მისივე ფეხები იპარავსო.
✦ ცხენდავარდნილ კაცს შინ მშვიდობით მისვლის მეტი რა ეთქმის.
✦ ცხრა მექოთნეს ერთმა მთესველმა აჯობა.
✦ ცხრა ძმას ცხრა ცალი ხარი ბევრი ეგონაო.
✦ ცხრა ქალის ჭკუა ერთ კაკლის ნაჭუჭში ჩაიდებაო.
✦ ცხრა რძალი მოვიყვანე და ცხრა თავი საქმე მომემატაო.

ძ

✦ ძალა აღმართსა ხნავსო.
✦ ძალა ერთობაშია.
✦ ძალად გატანებული ძაღლი ცხვარს არ გამოადგებაო.
✦ ძალად მიტევებული მწევარი კურდღელს ვერ დაიჭერსო.
✦ ძალა მდევრისა, გახტომა ფურირემისა.
✦ ძალით მოსული სტუმარი ჭირზედაც უარესია.
✦ ძაღლები წაიჩხუბენ, მათხოვარს გაუხარდაო.
✦ ძაღლი ახსენე და ჯოხი გვერდზე მოიდეო.
✦ ძაღლი გაკრიჭეს და პატრონი გამოჩნდაო.
✦ ძაღლი დაასაქმეს და მანაც — თავისი კუდიო.
✦ ძაღლი ვინც მოჰკლა, მანვე გადაათრიოსო.
✦ ძაღლი ისე ვერ დაწვება, რომ მუცელი არ გამოჩნდეს.

✦ ძაღლი იყეფებს, იყეფებს, ბოლოს მაინც დადგებაო.
✦ ძაღლი კოპლობით არ მოკედებაო.
✦ ძაღლი ლეკვობისას გამოიზრდება.
✦ ძაღლი მყავდა ახარაო, მე მრცხვენოდა, მას არაო.
✦ ძაღლი რაც უნდა გაწვრთნა, ყეფას მაინც არ მოიშლისო.
✦ ძაღლი სადაც სალაფავს სვლეპავს, იქავე ჰყეფავსო.
✦ ძაღლი სამჭედლოდან რას გაიტანსო!
✦ ძაღლისა ყეფაო.
✦ ძაღლის ბატკანი ვის უნახავსო.
✦ ძაღლის კუდი თხუთმეტ წელიწადს ყალაპოტში იდგა, მერე ამოიღეს და ისევ მოკაკული იყოო.
✦ ძაღლი საყასბოს არ მოშორდება.
✦ ძაღლი სხვა ქვეყანაში კუდამოძუებული დადისო.
✦ ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო.
✦ ძაღლი ჩვენია, მაგრამ საყელო სხვისა აბიაო.
✦ ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს.
✦ ძაღლი ძაღლობას და გველი გველობას არ მოიშლისო.
✦ ძაღლი ხსენებაზედაო.
✦ ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდის.
✦ ძაღლმა თუ ურემს დაუწყო დევნა, მარხილსაც გაჰყვებაო.
✦ ძაღლმა რომ კუდით შინ რაიმე მოიტანოს, ისიც ხეირიაო.
✦ ძაღლსა სცემდნენ, რძალს ასმენდნენო.
✦ ძაღლს დაუმეგობრდი და ჯოხს ხელიდან ნუ გააგდებო.
✦ ძაღლს თავის კარზე დიდი გული აქვს.
✦ ძაღლს რომ გააძღებ — გიკბენსო.
✦ ძაღლს ძაღლი იცნობს და კაცს კაციო.
✦ ძაღლს ძაღლის ნაკბენი არ ეტკინება.
✦ ძაღლს ძვალი ეწუნებოდა და მეორე ძაღლმა წაართვაო.
✦ ძერამ წიწილა წაიღო და მელა ნაშოვარ სადილს გაეკიდაო.
✦ ძეძვში ფულის ჩამყრელსა აკრეფა გაუჭირდება.
✦ ძველთაგან ნაამბობია, ღონესა ხერხი სჯობია.
✦ ძველი გზა და მეგობარი სულ ადვილად იკარგება.
✦ ძველი თივა ძველდებოდეს, ძველი ბზე კი თაფლდებოდეს.
✦ ძველი ჩოხა და ნაბადი ზამთარში მოგეწონებაო.
✦ ძველმა ახალი იცის.
✦ ძილის წინ სიზმარი ვის გაუგონია.
✦ ძილი ძილის პურის ცომია.
✦ ძილმა მოპარვა იცის.
✦ ძილს სასთუმალი არ უნდა, სიმშილს შეკამანდიო.
✦ ძლიერ სიყვარულს ძლიერი სიძულილი მოსდევს.
✦ ძმამ ძმას ანგარიში უყო და ისევ ძმები იყვნენო.
✦ ძმა ძმისთვინაო — შავი დღისთვინაო.

✦ ძმას შეხედო, პატარა ლუკმა ჩაიდე, ქმარს შეხედო, დიდი ლუკმა ჩაიდეო.
✦ ძმებს სიმინდი რომ შემოელევათ, მაშინ გაიყრებიანო.
✦ ძნა იწოდა და ულო იცინოდა — მოიცა, ულო, შენთანაც მოვაო.
✦ ძროხა ერთი წლის ბერწობისათვის არ დაიკვლება.
✦ ძროხამ თქვა: დასაბმელი მიშოვე და დასაწოლს მე ვიშოვიო.
✦ ძროხა რომ ადრე იბღავლებს, გვიან მოიწველისო.
✦ ძროხა ხბოს იგებდა, მოზვერს შიშით გული უსკდებოდაო.
✦ ძროხას მარილი ატყუებს, კაცს — ენაო.
✦ ძუნწი კაცის პურ-მარილი მეტი იხარჯებოდესო.
✦ ძუნწი კაცის ჯამშია ლუკმა არ დასველდებაო.
✦ ძუნწის ოქრო მემკვიდრესო.
✦ ძუნწმა კაცმა თაფლი გასცა და უკან გაჰყვა ლოკვითაო.

წ

✦ წაიქცა ჯირკვი — მიეხვია ჭიანჭველა.
✦ წამხედურმა წაიხედა, წინა ფეხი წაიტეხა.
✦ წამხედურობამ წამწყმიდაო.
✦ წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვნება ხანისა.
✦ წახდა მამულის პატრონი და არა შვილის პატრონიო.
✦ წელიწადში ერთხელ ნეხვიც აყვავდებაო.
✦ წვეთ-წვეთი წყალი ქვასაც გახვრეტსო.
✦ წვერის დაგლეჯა სჯობია ავი ცოლის ხელში ყოფნასა.
✦ წვიმა მოვა, მაგრამ ქვეყანას ვერ გასწვდებაო.
✦ წვიმიან დღეს ქათამი ბევრ წყალს დალევს.
✦ წვიმიანი ამაღლება — ყანა მაღლა ამაღლდება:
✦ წვიმის დაჭერა უფრო ადვილია, ვიდრე გასათხოვარი ქალისაო.
✦ წვინტლიან კაცს ავდარი მიზეზად მოქონდაო.
✦ წითელი ცხენი წითელ ტყავში მოკვდაო.
✦ წითელო ვაშლო, შენ გესვრი, თეთრო, შენ ჩამოვარდიო.
✦ წითელო ხარო, ვერ შესძლებ მაგ შავ კამეჩთან ბრძოლასაო.
✦ წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო.
✦ წინამდგომი მტერი სჯობია უკანმდგომ მეგობარსაო.
✦ წინანი უკანა და უკანანი წინაო.
✦ წინდა სიპატარავემ გაცვითა და პაჭიჭი სიდიდემაო.
✦ წინ ნუ უსწრებ, უკან ნუ ჩამორჩები.

✦ წინ წასული ურემი უკან მიღრიჭინობდაო.
✦ წისქვილი ორ ჩანახს ფქვავდა, სამ ჩანახსა სჭამდაო.
✦ წისქვილის ქვები თუ ერთმანეთს არ ეხმარებიან, ცალმა რამდენიც არ უნდა იბრუნოს, ვერაფერს დაფქვავსო.
✦ წისქვილიც ფქვავს და ენაც.
✦ წისქვილი ჯერით ფქვავსო.
✦ წიწაკის თავს ვინ სჩივის, როცა თესლიც მწარე აქვსო.
✦ წკავწკავა ძაღლი მგელს მოყვრობას ვერ გაუწევსო.
✦ წკნელი სანამ წვრილია, მანამდი მოგრიხე, გაიზრდება — აღარ მოიგრიხებაო.
✦ წლის მოსავალი ყველას უნდა ხედესო.
✦ წლის საფიქრებელი და წამის საკეთებელი.
✦ წმინდა ბერი — წმინდად წაწყდაო.
✦ წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება, თუ ერთმანეთს არ ვახარებთ, ამის მეტი რა შეგვრჩება.
✦ წუნიას აკლდებოდესო.
✦ წყალბერძულ ლობიოს წყალბერძული წყალი მოხარშავსო.
✦ წყალგაღმა შეედავე და გამოღმა დაგრჩებაო.
✦ წყალი თავის გზას არ დაკარგავს.
✦ წყალი ნარწყურს, გზა ნაგზურს.
✦ წყალი რომ დაგუბდება, აყროლდება.
✦ წყალი რომ შენ არ მოგყვეს, შენ მიჰყევიო.
✦ წყალი საგუბარში ჩადგებაო.
✦ წყალი სათავით მონახე.
✦ წყალი წყაროსთან სჯობიან სათორნესთან გადატანილსო.
✦ წყალი უმცროსისაა.
✦ წყალმა თქვა: ნე მხოლოდ მცურავს დაეახრჩობო.
✦ წყალსაც დაზოგვა უნდაო.
✦ წყალსაც მოუვა ერთი პირი ძილი.
✦ წყალს საყდარშიც გაიყვანენო.
✦ წყალში დამხრჩვალი წყალს ეძალებოდაო.
✦ წყალში მცურავს ცალი ფეხი სამარეში აქვსო.
✦ წყალში ნუ ჩავარდები, თორემ მშრალად ვერ ამოხვალო.
✦ წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდა.
✦ წყეულმა თქვა: სწორი გზა მიჩვენე, თორემ უკანვე დაგიბრუნდებიო.
✦ წყევლა მაწყევარსაო.
✦ წყევლა უწყეველავი არ არის და ლოცვა ულოცველი.
✦ წყლული გულის წამალი გულშივე არისო.

✦ ჰადაოი მაღალი იზრდება, მაგრამ საყოფს კი არ იძლევა.
✦ ჰამა ერთი დღისა და საყვედური ასი წლისაო.
✦ ჰამამ რა მიყო, ლოკვამ რა მიყოსო.
✦ ჰამა ქონებაზე ჰკიდიაო.
✦ ჰამაში გამარჯვებული — საქმეში წყალწაღებული.
✦ ჰამა ძღომამდე და სმა თრობამდეო.
✦ ჰამით უნდა გაძღე და არ გასკდე.
✦ ჰამის დროს ძაღლსაც არ გალახავენ.
✦ ჰამის საზღვარი გაძღომაა.
✦ ჰაში ჩახედვით თავს ვერ დაინახავ.
✦ ჰეშმარიტება იმისთვის არის ხანგრძლივი, რომ კაცი იშვიათად ცმარობს.
✦ ჰიანი კბილი კაკალს ვერ გასტეხსო.
✦ ჰიანშველა პატარაა, მაგრამ მთებს ანგრევს.
✦ ჰიანშველას თვალები არა ჰქონდა და ღმერთს ეხვეწებოდა წამ-წამები გამომასხიო.
✦ ჰიანშველას რომ ფრთები გამოუვა, ღმერთიც მაშინ გაუწყრება.
✦ ჰიანშველა ფეხზე დაისვი, თავზე ავა.
✦ ჰიანშველა ჯერ თვითონ რა არის და მერმე მისი ფილტვ-თირკ-მელი რა იქნება.
✦ ჰიას უთქვამს: ისე პურს ვერ მომკიო, რომ ჩემი საყოფი არ დარ-ჩესო.
✦ ჰიაყელა რომ გველს წაეზმანება, გაწყდებაო,
✦ ჰინკრაქა გულღმა დაწვა: ცა რომ ჩამოვარდეს, ფეხებით დაეა-ჭერო.
✦ ჰინკრაქას ახედ-დახედე და ბარკალი ისე აართვიო.
✦ ჰინკრაქას რომ ღმერთი გაუწყრება, ხის წვერში შემოჯდებაო.
✦ ჰინკრაქას შვილი შევარდენი გამოუვიდაო.
✦ ჰინკრაქა წამოდგა და თავისი ჰირი წამოაგდოვო.
✦ ჰინკრაქა ჯერ თვითონ რა არის და მერე მისი ქონი რა იქნებაო.
✦ ჰინკრის ძირში ჰინკარი ამოვაო.
✦ ჰინკარი ჰირის ჰირია.
✦ ჰირვეულობა რიგით არისო.
✦ ჰირი ლხინის მოზიარეა.
✦ ჰირი მართალსაო.
✦ ჰირიც აღარ მობრუნდება მეორედაო.
✦ ჰირი ჰირს გაართობსო.
✦ ჰირმა შეჩვევა იცისო.
✦ ჰირს მოგცემ, ჰირს დაგავიწყებო.
✦ ჰკვიანი ბუზი დოს დააჯდება, ქალაქს გაჰყვება.

✦ ჭკვიანი კაცი ტყეში მრუდე შეშას არ მოსჭრის, აქ ძე გამაწვალებს და შინ ჩემს ცოლ-შვილსაო.
✦ ჭკვიანი რომ შესცდება, ბრიყვზე უარესიაო.
✦ ჭკვიანისაგან ძაგება გიჯობს სულელის ქებასა.
✦ ჭკვიანი ჩიტი ორთავე ფეხებით გაება მახეშიო.
✦ ჭკვიან კაცს სისულელე არ დაელევაო.
✦ ჭკვიანურ სიტყვას რეგვენის ყურში სძინავს.
✦ ჭკვიანს ჭკუით გადაახტუნებენო.
✦ ჭკუა ბევრსა აქვს, მაგრამ მოხერხება კი ცოტამ იცისო.
✦ ჭკუავ, გიყიდი ფასადა, თუ მოგიღებდა ვაჭარიო.
✦ ჭკუა მოგონებაზე ჰკიდიაო.
✦ ჭკუამ მოსჭამა სოფელი — ვერც ხმალმა ამოღებულმა.
✦ ჭკუას მეზობლებში ვერ ისესხებ.
✦ ჭკუა უნდა გონებასო, მოხმარება ქონებასო.
✦ ჭკუა ჰკითხე ახალგაზრდას, მოსწრება ბერიკაცსაო.
✦ ჭორი თვეი და მეჭორე ხელში დაიჭირეო.
✦ ჭრელი ღორი გინდა ზღვის გაღმა გაიყვა, გინდ გამოღმა. მაინც ჭრელი ღორიაო.
✦ ჭრელ-ჭრელი გიჟის ლხინიაო.
✦ ჭურს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო.
✦ ჭური უძღები არისო.

ხ

✦ ხათრიანი კაცი სამოთხეში ვერ შევაო.
✦ ხათრი ხათაბალაოო.
✦ ხალხი აგამაღლებს, მოგცემს წარმატებას, ხალხი მოგცემს დაღმატებას.
✦ ხალხი მირბოდეს — გაჰყევი, გაჩერდეს — გაჩერდი.
✦ ხალხი ქვევრივით არის, რასაც ჩასძახებ, იმას ამოიძახებს.
✦ ხალხი ღმერთს ეხვეწება და წალდი კი წვერსაო.
✦ ხანდაზმულ კაცს სიზმარიც დაეჯერება.
✦ ხანი გაივლისო, ჭირიც გაივლისო.
✦ ხან სულ არაო, ხან სულ ვარხალალაო.
✦ ხანძარს ნაპერწკალი აჩენს.
✦ ხარბი კაცი რომ სარგებელში შევა, კვნესას მოუმატებსო.
✦ ხარბი სანამ არ გაიფცქვნება, არ გაიქცევაო.
✦ ხარბმა ჭორმა იხვიც გაუშვა და ვერც კაკაბი დაიჭირაო.

✦ ხარბის თვალს მიწა გააძღებსო.
✦ ხარი მშლე, ორმო მსუქანი.
✦ ხარი სანამ დახარდა, პატრონი გათავდაო.
✦ ხარი ქირაზე მოკვდება, კოკა წყალზე გატყდებაო.
✦ ხარი ხართან რომ დაბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო.
✦ ხარმა თქვა: ხარი ვერ მომკლავს, თუ მეხრე შემხვდა ღვთიანი.
✦ ხარმა ხარს ურქინა და უკეთეს ბაგაზე მიაგდოვო.
✦ ხარს მამობით მოსპამენ და ფურს — დედობითაო.
✦ ხარს რქები არ ამძიმებს.
✦ ხარს რქით დაბამენ, კაცს ენითაო.
✦ ხარს უღელი მოუშვეს და ეგონა, რომ მოსძვრაო.
✦ ხაფანგში გაბმული მელა იძახდა: თუ მთელი ქათამი არ მომეცით, ბარკალს არ დავჯერდებიო.
✦ ხე ერთი შემოკვრით არ წაიქცევა.
✦ ხელზე რასაც წამისვამ, პირზეც იმას წაგისვამ.
✦ ხელით ტარებას მუცლით ტარება სჯობიან.
✦ ხელი — ხელსა, გოში — მგელსა.
✦ ხელმა ხელი დაბანა და ორივემ — პირიო.
✦ ხელოსანი ხელოსანის მტერიაო.
✦ ხელს თვალზე მოფარებითა — ფარად ვერ აქცევო.
✦ ხელში ნაქერი ერთი ჩიტი, გიჯობს ორ-სამ ხეზე მჯდომარესა.
✦ ხელში ნაქერი კეთილი — შეგვექნა საძებნელიო.
✦ ხემა თქვა: მე ცული რას დამაკლებს, შიგ რომ ჩემი გვარისა არ ეჩაროსო.
✦ ხემ გამოისხა ხილიო, რაც მამა ისა შვილიო.
✦ ხე ნაყოფით იცნობებაო.
✦ ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ყველა ზედ შემოასხდებაო.
✦ ხე სადაც მოიპრება, ნაფოტიც იქ დაცვივდება.
✦ ხეს ერთი ვაშლი ება, ისიც ჭიანიაო.
✦ ხეს რომ გააციებს, გასკდებაო.
✦ ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.
✦ ხე ფესვითა სდგას, ადამიანი — მოყვრითაო.
✦ ხვავი მიწის, გემო შაქრის.
✦ ხვალ წვიმა მოვაო და დღეს ჭიამ თვალები დაითხარაო.
✦ ხვნაზე გარიგება სჯობია მკაზე გარიგებასაო.
✦ ხიდი მდინარის ზომა უნდა იყოსო.
✦ ხილით ხე იცნობაო.
✦ ხილი მეხილესაო.
✦ ხილს რომ ვიხილებთ, მებაღეც ვიკითხოთ, ბაღსაც მივხედოთ.
✦ ხილს უთქვია: პირი რომ მქონდეს, ჩემს თავს მე თვითონვე შევეჭამდიო.

✦ ხმალსა არ უშლის სიმოკლე, ფეხი წინ წასდგი, გასწვდება.
✦ ხმამაღლა ყვირის შვილის პატრონი, წელღია ჯდება წისქვილის პატრონი.
✦ ხოსიკა — თან სთოხნიდა და სტკეპნიდაო.
✦ ხოხობივით თავსა მალავს და ბოლოს კი ფართედ შლისო.
✦ ხოჯას სახლში კაკალი ბევრი არის, მაგრამ დათვლილი არისო.
✦ ხუთი თითი აქვს კაცსა, ხუთივ უთანასწორო.
✦ ხუცესი უწინ წაწყდებაო.
✦ ხუცესო და ხუთმუცელო, ხუთი დოქის გამომცელელო.

ჯ

✦ ჯამში ღალატს ომში ღალატი სჯობია.
✦ ჯანი ჯანია, განა ბადრიჯანია.
✦ ჯანდაგი ვირი თაგვებთან გმირი.
✦ ჯარავ, ჯარავ, ბზიო, ლამბო, ლამბო, წყდიო, დედამთილის საპერანგევ ოხრად დამირჩიო.
✦ ჯარ მოყვარეს ჯარი მტერი სჯობია.
✦ ჯარი წავიდა და თოფები მერე დასცალესო.
✦ ჯერ არ ვარგა ნავში ჯდომა, მერე მენავესთან ბრძოლა,
✦ ჯერ არ მინდოდა შობა, მერე სიკვდილიო.
✦ ჯერ ბავშვი არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდენო,
✦ ჯერ გაუშვებს მელასაო, მერე უწყებს სტვენასაო.
✦ ჯერ ერთი მუწუკი გამოირწყე, მერე მეორე.
✦ ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოვო.
✦ ჯერის დაკარგვას ლუკმის დაკარგვა სჯობიაო.
✦ ჯერ ფონს იკითხავენ და მერე წყალში შესტოპავენო,
✦ ჯერ შრომა, მერე ხტომა.
✦ ჯერ ჩიტი ნახე და მერე მისი მხარ-ბარკალიო,
✦ ჯერ ცხენი მიაბი და მერე ღმერთს მიანდე.
✦ ჯერ ძილი — მერე სიზმარი.
✦ ჯიშსა და ჯილაგსა კაცი ჭინჭილით უტარებია.
✦ ჯიუტს — ჯოხი, კუზიანს — სამარე.
✦ ჯიხვმა თქვა: ჩემი რქის ზევით მარტო ღმერთი უნდა მეგულებოდესო.
✦ ჯოხს რომ აიღებ, ქურდი კატა მაშინვე გაიპარება.
✦ ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო,
✦ ჯოჯოხეთში ძახილია და გაგონება კი არაო.

✦ ჰა ბურთი და ჰა მოედანიო.

✦ ჰა დათვი, და ჰა კვალიო.

✦ ჰა პირი და ჰა პურიო.

✦ ჰაი-ჰუი ოხრობასო, ამისთანა მოყვრობასო.

✦ ჰაცე ვირო, არტანელო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე ითესა ამოვ-და მოძოვეო.

გამომცემლობისაგან

ანდაზებში აღბეჭდილია ხალხის შრომა, ბრძოლა, სულიერი ცხოვრება ბუნებრივია, განსაკუთრებული ინტერესი ანდაზებისადმი. ჩვენ სამართლიანად გვეამაყება ქართველი ხალხის უმდიდრესი ანდაზები. დღემდე გამოცემულია რამდენიმე კრებული. არც ერთ მათგანს არ შეიძლება ეწოდოს აკადემიური. ასეთ კრებულს მხოლოდ ახლა ამზადებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტი. ვინემ ეს არ განხორციელებულა, ამ კრებულის გამოცემა გამართლებულად მიგვაჩნია.

ანდაზები შედგენილია დამსახურებული მასწავლებლის არჩილ კანდელაკის მიერ.